საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

ყაზბეგი

№237 (12 307)

8 ოქტომბერი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. იტალია-საქართველო. ჩვენ და მეტოქე

# ასათიანი გადარჩა, ღვინიანიძე ვერა

UEFA EURO2008




დღეს, გამთენიისას, საქართველოს ნაკრები, ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელთა შემადგენლობით, პლუს ტექნიკური პერსონალი და დელეგაცია (**ნოდარ ახალკაცი** და **გრიგოლ ცაავა**), თბილისიდან, მიუნხენის გავლით, იტალიაში ჩაფრინდება. სამწუხაროდ, **კახა კალაძისა** და **ლევან კობიაშვილი** გარდა, გამოგვაკლდა **მათე ღვინიანიძეც**. "მიუნხენის" მცველი "კარლ ცაისთან" სტუმრად მოგებულ მატჩში, 85-ე წუთზე დაშავდა და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. მოგვიანებით გაირკვა, რომ მათეს ტრავმა უმნიშვნელო არ ყოფილა. მას ორი კვირის განმავლობაში მოუწევს მკურნალობა. ღვინიანიძეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან დაუკავშირდნენ და ტრავმის სიმძიმეზე განმარტება სთხოვეს. აღმოჩნდა, რომ მას კოჭი გადაუბრუნდა და მყესიც გაუწყდა.

საბედნიეროდ, გადარჩა **მალხაზ ასათიანი**. "ზენიტთან" მატჩში მან ტრავმა კი მიიღო, მაგრამ სერიოზული არაფერია. მალხაზმა თამაშის გაგრძელება შეძლო და ნაკრებს იტალიაში შეუერთდება. საბოლოოდ, **კლაუს ტოპმიოლერის** განკარგულებაში ეს ფეხბურთელები დარჩნენ:

მეკარეები - **გიორგი ლომაია** (უკლუბოდ), **გიორგი მაკარიძე** (დინამო), **რევაზ თევდორაძე** (მერანი);

მცველები - **ზურაბ ხიზანიშვილი** (ბლექბერნი, ინგლისი), **მალხაზ ასათიანი** (ლოკომოტივი, რუსეთი), **გიორგი შაშიაშვილი** (შტურმი, ავსტრია), **ილია კანდელაკი** (კარლ ცაისი, გერმანია), **ლაშა სალუქვაძე** (რუბინი, რუსეთი), **ალექსანდრე კვახაძე** (ვიტ ჯორჯია);

ნახევარმცველები - **დავით მუჯირი** (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), **ლევან ცქიტიშვილი** (უკლუბოდ), **დავით კვირკველია** (მეტალურგი ზაპოროჟიე, უკრაინა), **ჯაბა კანკავა** (დნიპრო, უკრაინა), **ზურაბ მენთეშაშვილი** (ვენტსპილსი, ლატვია), **დავით ბოლქვაძე**, **გრიგოლ დოლიძე** (ორივე ამერი), **ლევან ყენია** (ლოკომოტივი თბილისი);

თავდამსხმელები - **გიორგი დემეტრაძე** (არსენალი, უკრაინა), **ლაშა ჯაკობია** (მეტალისტი, უკრაინა), **დავით სირაძე** (პადერბორნი, გერმანია), **ლევან მჭედლიძე** (ემპოლი, იტალია), **დიმიტრი ტატანაშვილი** (ამერი).

ჩვენი დელეგაცია გენუაში, ლიგურიის ზღვისპირა უბან არენცანოში მდებარე "გრანდ ოტელში" დაბინავდება. ლეგიონერთა ნაწილი იტალიაში დღესვე ჩაფრინდება, ნაწილი კი გუნდს 9 ოქტომბერს შეუერთდება, ადგილზე ჩავლენ ტოპმიოლერი და მისი თანაშემწეებიც. საქართველოს ნაკრების პირველი ვარჯიში გენუაში დღეს, ჩვენი დროით 20 საათზე გაიმართება.

**დავით ცაგაძე**

# აღარც ალექსი, აღარც პიპო

## დონადონი ულტიმატუმს არ ცნობს

გუშინ, იტალიის ჩემპიონატის მორიგი ტურის შემდეგ, "სკუადრა აძურის" მწვრთნელმა **რობერტო დონადონიმ** დაასახელა შემადგენლობა, რომელსაც საქართველოსთან შესარჩევი (13 ოქტომბერი) და სამხრეთ აფრიკასთან (17 ოქტომბერი) ამხანაგური მატჩისთვის მოამზადებს. საგულისხმოა, რომ "დონმა" გამოძახებულთა სიაში არ შეიყვანა **ალესანდრო დელ პიერო** და **ფილიპო ინძაგი**, საგულისხმოა, მაგრამ არა გასაკვირი. მწვრთნელმა პირველი ადრევე გააფრთხილა, რომ თუ ფორმაში არ იქნებოდა, ნაკრების მაისურას ვერ მოირგებდა. დელ პიერომ კი იქით წაუყენა ულტიმატუმი დონადონის: თუ მათამაშებ, მხოლოდ თავდასხმაშიო. საბოლოოდ, ალექსი "აძურის" მიღმა დარჩა. რაც შეეხება ინძაგის, დონადონი არ დაელოდა "ლაციო"-"მილანის" წუხანდელ მატჩს და რაკი წინა ექვს მატჩში "პიპომ" თავი ერთხელაც ვერ გამოიჩინა, ეროვნული გუნდის კარი მისთვისაც დაიკეტა.



"სკუადრაში" ერთი დებიუტანტია - "ფიორენტინის" ნახევარმცველი **რიკარდო მონტოლივო**. გარკვეული პაუზის შემდეგ გუნდში დაბრუნდნენ **დანიელე ბონერა** და **სტეფანო მაური**. დისკვალიფიცირებულია კაპიტანი **ფაბიო კანავარო**, ხოლო **მარკო მატერაცის**, **ჯანლუკა ძამბროტას**, **მაურო კამორანეზისა** და **სიმონე პეროტას** ტრავმები აწუხებთ. დონადონის ჩამონათვალი სრულად ასე გამოიყურება:

მეკარეები - **ჯანლუიჯი ბუფონი** (იუვენტუსი), **მარკო ამელია** (ლივორნო), **ჯანლუკა კურჩი** (რომა);

მცველები - **ანდრეა ბარძალი** (პალერმო), **მასიმო ოდო**, **დანიელე ბონერა** (ორივე მილანი), **ჯორჯო კიელინი** (იუვენტუსი), **ალესანდრო გამბერინი** (ფიორენტინა), **ფაბიო გროსო** (ლიონი), **კრისტიან პანუჩი** (რომა);

ნახევარმცველები - **მასიმო ამბროზინი**, **ჯენარო გატუზო**, **ანდრეა პირლო** (ყველა მილანი), **დანიელე დე როსი** (რომა), **სტეფანო მაური** (ლაციო), **რიკარდო მონტოლივო** (ფიორენტინა);

თავდამსხმელები - **ანტონიო დი ნატალე**, **ფაბიო კვალიარელა** (ორივე უდინეზე), **პასკუალე ფოჯა** (კალიარი), **ვინჩენცო იაკუინტა** (იუვენტუსი), **კრისტიანო ლუკარელი** (შახტარი), **ლუკა ტონი** (ბაიერნი).

ხვალიდან: დავით ცაგაძის რეპორტაჟები გენუიდან

iRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

# ორი ფავორიტი სახლში წავიდა

ნახევარფინალი

13 ოქტ, 23:00. სენ დენი
**ინგლისი-საფრანგეთი**

14 ოქტ, 23:00. სენ დენი
**სამხ. აფრიკა-არგენტინა**



საფრანგეთი-ზელანდია 20:18. კულმინაცია. იანიკ ჟოზიონის გადამწყვეტი ლელო

13

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



**ამერი-დინამო**

**0:2**

6.10. თბილისი. ამერი. 1000 მაყურებელი

0:1 სპასოევიჩი (25. ხუციშვილის პასით), 0:2 ხუციშვილი (39. მერებაშვილის პასით)

ამერი: ქვაჩახია-მესხი, დავითნიძე, დიდავა, ელბაქიძე (59. ჩიკვილაძე)-დობროვოლსკი, დეკანოსიძე-დავითაშვილი (57. ტატანაშვილი), ბოლქვაძე (68. ა. ალავიძე), დოლიძე-რ. გოცირიძე.

*სათადარიგოები:* ნადირაშვილი, ჯელაძე, კაკაშვილი, ცხადაძე.

დინამო: ოვონო-შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში-ხმალაძე, დილმელაშვილი-სპასოევიჩი (83. ოდიკაძე), ხუციშვილი (46. კობახიძე), მერებაშვილი-აკირემი (90. ფეიქრიშვილი).

*სათადარიგოები:* გრიშიკაშვილი, თომაშვილი, ფირცხალავა, გ. კაშია.

გაფრთხილება: ხუციშვილი (19), ელბაქიძე (19), დოლიძე (68), დავითნიძე (70).

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი (თბილისი).

**4.** ხუციშვილის შორი მანძილიდან დარტყმული ბურთი ქვაჩახიამ მოიგერია.

**6.** ქვაჩახიას შეცდომით სპასოევიჩმა ვერ ისარგებლა.

**7.** ხუციშვილის თავური ოდნავ არაზუსტი აღმოჩნდა.

**10.** ბოლქვაძის კუთხურს დავითნიძის თავური დარტყმა მოჰყვა - ბურთი გარედან მოხვდა "დინამოს" კარის ბადეს.

**17.** გოცირიძის შორეული დარტყმისას ოვონომ კინაღამ საბედისწერო შეცდომა დაუშვა.

**24.** გოცირიძეს ოვონომ აჯობა, დამატებაზე კი დოლიძემ ვერ ივარგა და ხელსაყრელი პოზიციიდან ბურთი კარს ააცილა;

**25.** 1:0 - ხმალაძის ჩინებულ პასს ხუციშვილის ეფექტური თამაში მოჰყვა და ყველაფერი სპასოევიჩის გოლით დასრულდა.

**31.** დეკანოსიძემ ჩინებულად შეასრულა საჯარიმო, მაგრამ ოვონომ არანაკლებ დიდებულად ითამაშა და ბურთი "ცხრიანიდან" მოხსნა.

**34.** "ამერის" მცველების შეცდომით მერებაშვილმა ვერ ისარგებლა.

**39.** 2:0 - მერებაშვილი-ხუციშვილის ეფექტური კომბინაცია ამ უკანასკნელის ძლიერი და ზუსტი დარტყმით დასრულდა.

**45.** საკამათო ეპიზოდი "ამერის" საჯარიმოში - მერებაშვილის წაქცევისათვის სტუმრები პენალტს ითხოვდნენ.

**52.** მერებაშვილი-კობახიძის კომბინაცია აკირემმა ვერ დააგვირგვინა.

**59.** აკირემის ჩინებული პასის მერე სპასოევიჩი მკერდით(!) ცდილობდა გოლის გატანას.

**70.** დოლიძის სახიფათო ფლანგური გარღვევა კრშკოს თავგანწირული თამაშით განიმუხტა.

**75.** ოვონოს პასის მერე აკირემი ქვაჩახიასთან პირისპირ დარჩა, მაგრამ არაზუსტად დაარტყა.

**78.** დეკანოსიძის შორეული დარტყმა ოვონომ მოიგერია.

**90.** რამდენიმეწამიან ინტერვალში ქვაჩახიამ ჯერ ხმალაძეს აუღო, მერე კი - მერებაშვილს.

# ახალი დინამო: მობილური და მოტივირებული



გრიგოლ დოლიძე, ლევან ხმალაძე და მიხეილ ხუციშვილი



კრშკო ერთ-ერთი საუკეთესო იყო

...როდის ჰქონდა "დინამოს" ასეთი წარმატებული სტარტი, ველარც ვიხსენებთ - რვა შეხვედრაში რვა გამარჯვება, მართლაც, ჩინებული შედეგია! მოკლედ, ამ ჩემპიონატში ახალი ინტრიგაც გაჩნდა - პირველ ქულებს "დინამოს" რომელი გუნდი დააკარგვინებს? ეს როდის მოხდება, არავინ იცის, რამეთუ **დუშან უჰრინის** გუნდს ისეთი ტემპი აქვს აღებული, არც აუტსაიდერს ინდობს და არც - უშუალო კონკურენტს. ახლაც, როგორც იქნა, ნავსი გატეხა და "ამერს" სტუმრად სძლია - ამ გუნდების დაპირისპირებაში კი ასეთი რამ პირველად მოხდა. "დინამომ" მეტოქეს ყველაფერში აჯობა და სავსებით დამსახურებულადაც გაიმარჯვა; აი, "ამერზე" კი მერამდენედ გვიხდება იმის თქმა, რომ ამ ჩემპიონატში გუნდი ერთობ არასტაბილურად თამაშობს. შესაძლოა, ვცდებით, მაგრამ გარედან ისე ჩანს, თითქოს გუნდს მოტივაცია აქვს დაკარგული; არ დავკონკრეტდებით და "ამერის" ლიდერებიც ველარ გვიცნია - არადა, ეს ბიჭები სულ ახლო წარსულში მშვენივრად თამაშობდნენ...

**გიორგი ჩიხრაძემ** და **დუშან უჰრინმა** იდენტური ტაქტიკური განლაგება (4-2-3-1) აირჩიეს. თუმცა თუ ჩეხი სპეციალისტი თბილისში ჩამოსვლის დღიდან ამ ტაქტიკას მიმართავს, "ამერისგან" ასეთ სახეცვლილებას მიჩვეულები არა ვართ. ჩიხრაძის გუნდი ორი "საყრდენით" (დობროვოლსკი-დეკანოსიძე) თამაშობდა, მათ წინ **ბოლქვაძე** იყო, **დოლიძე** და **დავითაშვილი** ფლანგებზე გარემარბების ფუნქციებს ასრულებდნენ, ხოლო გამოკვეთილი ცენტრფორვარდი **გოცირიძე** იყო. ისიც უნდა ითქვას, რომ თავიდან, ცოტა არ იყოს, მოულოდნელიც იყო დავითაშვილის მარჯვენა ფლანგზე და დოლიძის მარცხენა ფლანგზე გამოჩენა, თუმცა მათ მალე ადგილები გაცვალეს და "თავიანთ" პოზიციებს დაუბრუნდნენ. ამას შედეგი არ მოუტანია - "დინამომ" თავიდანვე აქტიური თამაში მოახვია მეტოქეს და პირველ ათ წუთში სამი სახიფათო მომენტიც შექმნა **ქვაჩახიას** კართან. განსაკუთრებით კი **მიხეილ ხუციშვილი** აქტიურობდა, რომელიც სულ მოკლე დროში "დინამოს" ლიდერად იქცა და "ამერთან" შეხვედრაშიც გამორჩეული იყო. ბოლოს და ბოლოს, თავისი გუნდის გამარჯვებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა და, ეს იმის მიუხედავად, რომ მოედანზე მხოლოდ ერთი ტაიმი დაჰყო. თუმცა მოვლენებს გავუსწარით და ისევ შეხვედრის საწყის წუთებს დავუბრუნდეთ.

მოკლედ, თვალსასეირო თამაში გაჩაღდა და მალე გოლიც ვიხილეთ: **ხმალაძემ** შორეული პასით საჯარიმოში ხუციშვილი მოძებნა, ამ უკანასკნელმა კი ქვაჩახიას თავზე გადაუგდო ბურთი და დაუცველი კარისკენ გაგზავნა, სადაც "ჩასაფრებული" სპასოევიჩი სრულიად მარტო იდგა.

გოლის მერე თამაშის სანახაობრივმა მხარემ უფრო მოიმატა და პირველი ტაიმის ბოლომდე არაერთი დასამახსოვრებელი ეპიზოდიც ვიხილეთ. მათგან ერთ-ერთი კი "დინამოს" მეორე გოლით დასრულდა: **გიორგი მერებაშვილმა** და მიხეილ ხუციშვილმა მოკლე პასებით ლამის ნახევარი მოედანი გადასერეს და სტუმართა ლამაზი შეტევა ხუციშვილის ზუსტი დარტყმით დაგვირგვინდა! ტაიმის მიწურულს კი მერებაშვილის ფლანგური გარღვევა საჯარიმოში წაქცევით დასრულდა. არბიტრმა მცირე ყოყმანის მერე თამაშის გაგრძელება არჩია. კიდევ ერთხელ გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ ამ ახალგაზრდა არბიტრს ურიგოდ არ უმსაჯია. აქედან გამომდინარე, ცოტა არ იყოს, გაუგებარიც იყო მასპინძელთა ქომაგთა ერთი ნაწილის (მეტწილად - ახალგაზრდების) ზღვარგადასული აგრესია და უკმაყოფილება (რბილად ნათქვამია) მატჩის მიწურულს. საბედნიეროდ, სტადიონის დაცვის თანამშრომელთა და "ამერის" ადმინისტრატორის **მამუკა კვანტალიანის** დიდი ძალისხმევით ვაი-ქომაგთა ის ნაწილი ტრიბუნებს მოარიდეს და შეხვედრაც მშვიდობიანად დასრულდა.

...მანამდე კი მთელი მეორე ტაიმი იყო, ასევე საინტერესოდ და დაძაბულად რომ წარიმართა. სამწუხაროდ, პირველი გოლის დროს მიღებულმა ტრავმამ ხუციშვილს თამაში არ გააგრძელებინა. მის ნაცვლად შემოსულმა **სანდრო კობახიძემ** მარცხენა ფლანგზე დაიკავა ადგილი, ხოლო მერებაშვილი ცენტრში "შემოიწია" და მეორე ტაიმში აშკარად მოტივირებულადაც გამოიყურებოდა. გააქტიურდა **ჯორჯ აკირემიც**, ზედიზედ ორჯერ ხელსაყრელი მომენტი რომ ვერ გამოიყენა. რაც შეეხება "ამერს", გიორგი ჩიხრაძე შეცვლებით შეეცადა თამაშის შემობრუნებას: **დიმიტრი ტატანაშვილისა** (რამხელა ფუფუნებაა ნაკრების ფეხბურთელის თადარიგში ყოლა) და **არჩილ ალავიძის** გამოსვლით მასპინძლები ტრადიციულ (4-4-2) განლაგებაზე გადავიდნენ, მაგრამ "დინამოს" დაცვა და მეკარე უშეცდომოდ თამაშობდნენ. განსაკუთრებით კი **მილოშ კრშკოს** დამაჯერებელი თამაში უნდა აღვნიშნოთ - სლოვაკი მცველი, მართლაც, ჩინებულ ფორმაშია! **რომან დობეშიც** არ გარჯილა ურიგოდ, მით უმეტეს, რომ თითქმის მთელი მატჩი **გრიგოლ დოლიძის** წინააღმდეგ უწევდა თამაში. პარტნიორებთან შედარებით, დოლიძეს ნაკლები საყვედური ეთქმის - ჩვეული სისწრაფითა და ფლანგური გარღვევებით თამაშს ამწვავებდა, მაგრამ მისი აქტიურობა არასაკმარისი იყო ორგანიზებულ მეტოქესთან.

"დინამომ" ორგანიზებული და "დალაგებული" თამაშით სავსებით დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა და კვლავაც უდანაკარგოდ მიიწევს წინ! ასეთი მობილური და მოტივირებული "დინამო" კარგა ხანია აღარ გვინახავს...



მერებაშვილი ამერელთა გარემოცვაში

## მატჩის შემდგომ

**დუშან უჰრინი ("დინამო"):** "კარგი სანახაობა იყო - ჩინებული მინდორი, სავსე ტრიბუნები და დაძაბული თამაში. მართალია, ფაქტობრივად, პირველ ტაიმში გადავწყვიტეთ მატჩის ბედი, მაგრამ მაინც ვფრთხილობდით - "ამერს" არაერთი თამაში "შემოუტრიალებია". ეს გამარჯვება იმითაც არის დასაფასებელი, რომ მატჩის წინ საკადრო პრობლემები გვქონდა: მხოლოდ ბოლო მომენტში გადაწყდა მერებაშვილის, აკირემისა და სპასოევიჩის თამაში."

**გიორგი ჩიხრაძე ("ამერი"):** "საინტერესო თამაში გამოდგა და, ალბათ, გულშემატკივრებმაც ისიამოვნეს - ორივე გუნდმა ხომ აქცენტი შეტევაზე აიღო. ჩვენდა სამწუხაროდ, რამდენიმე შეცდომა დავუშვით და დავისაჯეთ. არადა, მომენტები ჩვენც გვქონდა, მაგრამ, მეტოქისგან განსხვავებით, ვერ გამოვიყენეთ. მეორე ტაიმში თამაშს მოვუმატეთ, თუმცა მატჩის "შემობრუნება" უკვე ძნელი იყო..."

## რჩეული

### მიხეილ ხუციშვილი

მიხეილ ხუციშვილმა მხოლოდ ერთი ტაიმი ითამაშა, მაგრამ ეს დროც საკმარისი იყო, თავისი საუკეთესო თვისებების გამოსავლენად. იმის გარდა, რომ ერთი გოლი გაიტანა და მეორეშიც ლომის წილი დაიდო, თამაშს მუდამ ამწვავებდა და ერთობ დამაჯერებლად გამოიყურებოდა.

**გია ტუხაშვილი**

## სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 8 | 8 | 0 | 0 | 24-2 | 24 |
| 2. ზესტაფონი | 8 | 7 | 1 | 0 | 17-3 | 22 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 8 | 5 | 1 | 2 | 11-7 | 16 |
| 4. მგლები | 8 | 5 | 0 | 3 | 9-6 | 15 |
| 5. ბორჯომი | 8 | 4 | 2 | 2 | 10-5 | 14 |
| 6. მესხეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 10-9 | 14 |
| 7. ამერი | 8 | 4 | 0 | 4 | 14-10 | 12 |
| 8. ოლიმპი | 8 | 3 | 2 | 3 | 6-7 | 11 |
| 9. ლოკომოტივი | 8 | 3 | 0 | 5 | 6-12 | 9 |
| 10. სპარტაკი | 8 | 2 | 2 | 4 | 3-7 | 8 |
| 11. სიონი | 8 | 2 | 2 | 4 | 7-12 | 8 |
| 12. დილა | 8 | 1 | 1 | 6 | 6-13 | 4 |
| 13. მერანი | 8 | 1 | 0 | 7 | 3-19 | 3 |
| 14. ბათუმი | 8 | 0 | 1 | 7 | 2-15 | 1 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ხუციშვილი (დინამო) | 6 |
| აკირემი (დინამო) | 5 |
| გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 5 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 5 |
| გ. მერებაშვილი (დინამო) | 4 |
| შ. ჯიქია (ბორჯომი) | 4 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 4 |
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 4 |
| რ. ჯიქია (ოლიმპი) | 4 |
| ჭელია (მგლები) | 4 |

## მომდევნო ტური

**19 ოქტომბერი. პარასკევი**

| | |
|---|---|
| 15:00 | დინამო-ვიტ ჯორჯია |
| 15:00 | ბათუმი-ამერი |
| 15:00 | ბორჯომი-ლოკომოტივი |
| 15:00 | სიონი-დილა |

**20 ოქტომბერი. შაბათი**

| | |
|---|---|
| 15:00 | სპარტაკი-მესხეთი |

**21 ოქტომბერი. კვირა**

| | |
|---|---|
| 15:00 | ოლიმპი-მგლები |
| 15:00 | მერანი-ზესტაფონი |

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

# სერია გრძელდება

## ხაჩიძემ, მეტოქემ გოლი თამაშგარიდან გაგვიტანაო

**ზესტაფონი-ბორჯომი**

**1:0**

7.10. ზესტაფონი. ცენტრალური
5000 მაყურებელი

1:0 გ. ნოდ. ჭელიძე (59. ჩხეტიანის პასით)

ზესტაფონი: ჭანტურია - თოდუა, საჯაია, ლობჟანიძე - ჩხეტიანი, ონიანი, ტორესი, კესანი, ვიეირა (88. ლონლაძე) - გ. ნოდ. ჭელიძე (68. იონანიძე), ფიფია (75. ბიტოო)

სათადარიგოები: რ. კვასკვაძე, ნ. კვასკვაძე, ბ. გოცირიძე, გ. ნუგ. ჭელიძე

ბორჯომი: შეყრილაძე - ლონლაძე, ლ. ჭელიძე, გ. მერებაშვილი, აკობია - კ. ხანიშვილი (65. ქარქუზაშვილი), მემარნიშვილი, ნერგაძე, ბაბუნაშვილი (73. ყველაშვილი), გრიგალაშვილი - ჯიქია (90. გოგიჩაიშვილი)

სათადარიგოები: გლუნჩაძე, თედიაშვილი, დევიძე

გაფრთხილება: ნერგაძე (43), კესანი (57), ლონლაძე (59), ბაბუნაშვილი (59), ხანიშვილი (64)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

**18.** ჟონატასი შორიდან ურტყამს ძლიერად და მცირედით აცილებს.

**27.** გრიგალაშვილის ძლიერად დარტყმულს მეკარე მუშტებით იგერიებს.

**42.** გრიგალაშვილი ურტყამს სახიფათოდ, მაგრამ აცილებს.

**55.** ფიფია ჯარიმიდან აწვდის და ჟონატასის თავური მცირედით სცდება კარს.

**58.** გრიგალაშვილი 25 მეტრიდან ძლიერად ურტყამს ჯარიმას და ოდნავ აცილებს.

**59.** 1:0 - კახა ჩხეტიანს გრძელი გადაცემით მეკარესთან პირისპირ გაჰყავს გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე და ისიც ხსნის ანგარიშს.

**65.** ვიეირა ხელსაყრელი მდგომარეობიდან ვერ ურტყამს ზუსტად.

**85.** ლობჟანიძეს ჩინებული პასით მეკარესთან პირისპირ გაჰყავს ბიტოო, მაგრამ ეს უკანასკნელი არაზუსტად ურტყამს.

ტურის ერთ-ერთმა პრინციპულმა მატჩმა, ზესტაფონში დიდი ინტერესი გამოიწვია და მაყურებელმაც სტადიონი თითქმის პირთამდე შეავსო.

პირველ ტაიმში ცოტა სახიფათო მომენტი შეიქმნა. ამაში მთავარი დამნაშავე სტუმრები გახლდნენ, რომლებმაც მასპინძლებს პრესინგით სივრცეები შეუზღუდეს და გასაქანი არ მისცეს. დებიუტმა პოზიციურ ბრძოლაში ჩაიარა და მეტოქეებმა სახიფათო მომენტი თითქმის მეოცე წუთამდე ვერ შექმნეს. ამ დროისთვის კი ჯერ მასპინძელმა **ჟონატასმა** გაისროლა, მერე კი სტუმარმა **გრიგალაშვილმა**. მერე კი იყო ისევ პოზიციური შეხლა-შემოხლა, რომელიც ძირითადად საჯარიმოდან საჯარიმომდე იმართებოდა და საგოლე მომენტამდე საქმე არ მიდიოდა.

მეორე ტაიმის საწყის წუთებში ძალიან გააქტიურდნენ მასპინძლები. ჯერ **ონიანს** მიეცა შანსი, შემდეგ კი ჟონატასს, თუმცა ორივემ ააცილა კარს მცირედით. ამას ბორჯომელთაგან ტრადიციულად ერთ-ერთი აქტიურის, გრიგალაშვილის კარგად შესრულებული ჯარიმა მოჰყვა, რომელიც **ჭანტურიას** კარს სულ ცოტათი ასცდა.

59-ე წუთზე კი გოლიც ვიხილეთ - **კახა ჩხეტიანმა** გრძელი პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა **გიორგი ჭელიძე**, რომელმაც აუღელვებლად მაღალ კუთხეში გაუტანა **შეყრილაძეს** და სტადიონიც ოვაციის მორევში ჩაიძირა. "ბორჯომმა" ბევრი იდავა თამაშგარე იყოო, თუმცა მსაჯმა წესების დარღვევა არ აღნიშნა. გოლმა თამაში დაძაბა და შიგადაშიგ უხეშობის ზღვარზეც მიიყვანა, თუმცა "დაუკრეფავში" არავინ გადსულა. მატჩის ბოლო აკორდი კი **ლობჟანიძის** ჩინებული პასით **ბიტოოს** პირისპირ გასვლა გახლდათ, თუმცა გაბონელმა ლეგიონერმა ბოლო წამს ვერ ივარგა. საბოლოოდ მასპინძლებმა იმარჯვეს და ჩემპიონატში შარშანდლიდან მოყოლებული ზედიზედ 30-მატჩიანი წაუგებელი სერია გამოაცხვეს.

**მატჩის შემდეგ**

**ვლადიმერ ხაჩიძე (ბორჯომი)** - "დაძაბული მატჩი გამოვიდა. ჩვენ მოკლე სათადარიგოთა სკამი გვაქვს, რის გამოც წავაგეთ ეს თამაში. ვთვლი, რომ ბევრ პრინციპულ მატჩში მსაჯები ვერ ამართლებენ, ჩემი აზრით, გოლი თამაშგარეში მყოფმა ფეხბურთელმა გაგვიტანა".

**თემურ მახარაძე (ზესტაფონი)** - "მნიშვნელოვანი სამი ქულა ავიღეთ ძლიერ და კარგ მეტოქესთან. პირველ ტაიმში მობილიზება გვაკლდა, მეორეში უკეთ ვითამაშეთ და ვფიქრობ, დამსახურებულადაც მოვიგეთ".

**რჩეული**

**სევასტი თოდუა.**

დაცვაში საიმედოდ და მიზანმიმართულად თამაშობდა. ამავდროულად მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციასაც ითავსებდა და ხშირად ერთვებოდა შეტევებშიც.

**მერაბ ბრძელიძე**
ზესტაფონიდან

**მგლები-ბათუმი**

**1:0**

6.10. ზუგდიდი. ცენტრალური
2 500 მაყურებელი

1:0 ჭედია (34)

მგლები: ივარდავა – ექონია, ფარულავა, (42. გაბედავა), მაჭავარიანი – ქირია, ნარსია, ვართაგავა, კრასოვსკი, ხუბუა (74. წურწუმია) – ჯანაშია (46. ბაკარანძე), ჭედია

სათადარიგოები: ჭითანავა, ქომეთიანი, ლიპარტია, კუტალია

ბათუმი: მამინაშვილი – თედორაძე, კ. მახარაძე, გალოგრე, ლ. მახარაძე – კუნქულია (46. დარჩიძე), ზ. ჭელიძე, ცანავა, ბეჟანიძე (77. ბაცაკაძე) - ოქროაშვილი, მოდებაძე

სათადარიგოები: თოთლაძე, ბაჯელიძე

გაფრთხილება: ივარდავა (90)

არბიტრი: პ. დოგრაშვილი

**12.** ბაჯელიძის შორეული დარტყმა ასცდა მიზანს.

**34.** 1:0 ბათუმელმა მცველებმა უხეში შეცდომა დაუშვეს და ბურთი ჭედიას ჩააბარეს, რომელმაც საჩუქარი შეირგო.

**70.** მოდებაძემ საჯარიმოში ჩააწოდა ბურთი, რასაც ჭელიძის შეუჩერებელი დარტყმა მოჰყვა, მაგრამ მაღალი ტრაექტორიით წასული ბურთი კარს ოდნავ ასცდა.

**79.** ბაციკაძის სახიფათო დარტყმა ივარდავამ მოიგერია.

**84.** ბაციკაძემ შორეული ცხრიანისკენ გაგზავნა ბურთი, ივარდავამ აკრობატულ ნახტომში შეძლო ბურთის მოგერიება.

# მგლები შეცდომას არავის პატიობს

ზუგდიდელები დებიუტანტის კვალობაზე ჩემპიონატში ურიგოდ არ გამოიყურებიან. „ბათუმმა" კი პირიქით, სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო და მისი დღევანდელი სატურნირო მდგომარეობა ძალზედ შემაშფოთებელია. აქედან გამომდინარე, ზუგდიდურ მატჩში ფავორიტი „მგლები" იყო. როგორც ჩანს, ეს მასპინძლებსაც ჰქონდათ გათვითცნობიერებული, მაგრამ მეტოქის მიმართ ზედმეტად „არხეინი" დამოკიდებულება გამოავლინეს და კინაღამ დაისაჯნენ. ბათუმმა გუშინდელი თამაშით დაამტკიცა, რომ უიმედო მდგომარეობის მიუხედავად, ბოლომდე ბრძოლის უნარი გააჩნია და ამ გუნდის დაუფასებლობა მეტოქეს, შესაძლოა, ძვირად დაუჯდეს.

მატჩის უმეტეს დროს ბურთს ისინი აკონტროლებდნენ და მასპინძლებზე მეტი საგოლე მომენტიც შექმნეს, მაგრამ უიღბლობამ და ერთადერთმა უხეშმა შეცდომამ ზღვისპირელები მორიგ დამარცხებამდე მიიყვანეს.

თამაში საკმაოდ დაბალ ტემპში, მოსაწყენად მიმდინარეობდა, თუმცა ეპიზოდური გამონათებები ორივე გუნდს ჰქონდა. საწყისი ნახევარი საათის განმავლობაში უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ. მართალია, მათ ზუგდიდელი მცველები საჯარიმოში არ უშვებდნენ, მაგრამ ბათუმელები შორეული დარტყმებით ახერხებდნენ მეტოქის შეწუხებას. "მგლების" პასიურობამ გულშემატკივრები გაალიზიანა, ისინი ფეხბურთელებს უსტვენდნენ და მათგან გააქტიურებას მოითხოვდნენ. 34-ე წუთზე ბათუმელ მცველთა უხეშ შეცდომას მატჩის ერთადერთი გოლი მოჰყვა. მათ საჯარიმოს მისადგომებთან მყოფ **ჭედიას** ჩააბარეს ბურთი და ამანაც დალაშქრა **მამინაშვილის** კარი.

მეორე ტაიმი ზუგდიდელების შეტევებით დაიწყო. 15 წუთის განმავლობაში მათ მეტოქე კარებს მიაჯაჭვეს, მაგრამ რეალურ საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა. შემდეგ ისევ ბათუმელებმა მოიპოვეს უპირატესობა. კარგად ჩაერთო თამაშში შეცვლაზე შემოსული ბაციკაძე, რომელმაც ზედიზედ სამი საგოლე მომენტი შექმნა, მაგრამ თანაგუნდელები მარცხს მაინც ვერ გადაარჩინა.

**დავით კოხრეიძე**
ზუგდიდიდან

# სამწუხარო ეპიზოდი

**ლოკომოტივი-სიონი**

**1:0**

7.10. თბილისი. მ. მესხი
200 მაყურებელი

1:0 იმედაძე (77. პენ.)

ლოკომოტივი: გვარამაძე - დ. ფოფხაძე, ლალაძე, გუშარაშვილი, ქუხილავა - ბარბაქაძე, სამხარაძე, მალიჩავა (69. ტიკურიშვილი), გულორდავა (55. ჟლენტი) - მიქაძე, ბობოხიძე (65. იმედაძე)

სათადარიგოები: მიგინეიშვილი, გ. კვახაძე, ხოხონიშვილი, დ. ჩაგელიშვილი

სიონი: სტურუა - ქურასბედიანი, სვანიძე, ბოიომო, რაქვიაშვილი (80. კვიციანი) - სანიკიძე, ნადირაძე, ბაჯელიძე, ქუცურუა (46. კვიტაიშვილი)- ჩასემი, ქარდავა (45. ოქროპირიძე)

სათადარიგოები: ბობლიაშვილი, მენთესაშვილი, ვაშაკიძე, გაგუა

გაფრთხილება: ქუხილავა (17), ბოიომო (43), მალიჩავა (59), მიქაძე (61), ოქროპირიძე (77), ბარბაქაძე (90)

გაძევება: ბოიომო (44), სამხარაძე (44)

არბიტრი: ო. ხეცაძე

**18.** გულორდავამ ბობოხიძის პასი მიიღო, მაგრამ სუსტად და არაზუსტად დაარტყა.

**25.** ბობოხიძის არცთუ სახიფათო დარტყმა სტურუამ კუთხურზე მოიგერია.

**39.** ხელსაყრელ პოზიციაზე გასულმა ქარდავამ კარში ვერ დაარტყა.

**44.** სამხარაძისა და ბოიომოს წაკინკლავება მათი გაძევებით დასრულდა.

**51.** ბარბაქაძის ჯარიმა "სიონის" კარს ზემოდან გადასცდა.

**54.** მეტოქის მცველთა გარემოცვაში მოქცეულმა ბობოხიძემ მიზანს ვერ მიაღწია.

**68.** მიქაძის შორეული სახიფათო დარტყმა სტურუამ მოიგერია.

**76.** ჩასემი ორ მეურვეს გასცდა, მაგრამ სუსტად დაარტყა.

**77.** 1:0 - ქურასბედიანმა საკუთარ საჯარიმოში იმედაძე წააქცია. ამ უკანასკნელმა პენალტი აუღელვებლად შეასრულა.

**87.** მეკარესთან პირისპირ გასულმა კვიციანმა უხეიროდ დაარტყა და გვარამაძემ კარი გადაარჩინა.

**90.** ჟლენტმა ახლო მანძილიდან ააცილა.

ვაკეში აუტსაიდერთა ქიდილის შესაფერი მატჩი გაიმართა, ბრძოლის თანხლებითა და ორმხრივი შეცდომებით სავსე. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, "ლოკომოტივსაც" და "სიონსაც" გამარჯვება სჭირდებოდათ, თუმცა შეხვედრის მიმდინარეობა ისეთი იყო, რომ ფრე ყველაზე ლოგიკური შედეგი იქნებოდა.

ყველაფერი აქეთკენ მიდიოდა, მაგრამ გამოცდილმა **გრიგოლ იმედაძემ** მოედანზე შესვლიდან რამდენიმე წუთში თავის გუნდს ჰაერივით საჭირო სამი ქულა მოუტანა. **ქურასბედიანის** მხრიდან თამაშის წესების დარღვევა აშკარა იყო, ბოლნისელებს პროტესტი არ გამოუხატავთ.

"ლოკომოტივს" რამდენიმე დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი დაუბრუნდა, მაგრამ რკინიგზელთა თამაშის ხარისხი არ იყო სახარბიელო. ყველაფერთან ერთად, კიკნაძის შეგირდები კვლავ უდისციპლინობით "გამოირჩეოდნენ". **სამხარაძე** სამმატჩიანი სასჯელის შემდეგ გუშინ დაუბრუნდა მოედანს, მაგრამ ნერვები ისევ ვერ მოთოკა, მას არც სიონელი **ბოიომო** ჩამორჩა და მათი ძიძგილაობის შემდეგ თამაში ათი-ათზე გაგრძელდა. აქვე დავძენთ, რომ ჯგუფურმა წაწევ-გამოწევამ დაახლოებით სამი წუთი წაიღო, მაგრამ არბიტრს პირველი ტაიმისთვის, ფაქტობრივად, არაფერი დაუმატებია.

შესვენებამდე ყველაზე ხელსაყრელი შანსი **ქარდავას** ჰქონდა, რომელიც ხელსაყრელ პოზიციაზე კი გავიდა, მაგრამ დროული გადაწყვეტილება ვერ მიიღო და "ლოკომოტივის" მცველებმა გატანა აღარ დაანებეს. ბოიომოს გაძევების შემდეგ, "სიონის" მწვრთნელი **გიორგი ყიფშიძე** იძულებული გახდა, ქარდავას ნაცვლად მოედანზე ცენტრალური მცველი **ოქროპირიძე** შეეშვა.

კაცნაკლულმა მეტოქეებმა მეორე ტაიმში შედარებით მეტი მომენტი შექმნეს. გამოსარჩევი **მიქაძისა** და **ჩასემის** ეპიზოდები იყო, მასპინძელთა ფორვარდს **სტურუამ** აუღო, კამერუნელმა კი სუსტად დაარტყა.

"სიონს" თამაშის გადარჩენა მაინც შეეძლო, მასპინძელთა დაცვამ უხეში შეცდომა დაუშვა და **კვიციანი გვარამაძესთან** პირისპირ გავიდა. ახალგაზრდა სიონელს დიდი არჩევანი ჰქონდა, მაგრამ ბურთი მაინცდამაინც მეკარის მიმართულებით გაგზავნა.

**რჩეული**

**გრიგოლ იმედაძე**

**როგორც უკვე ვთქვით, მატჩი საკმაოდ უხარისხო იყო, მისი ბედი კი ერთმა ეპიზოდმა გადაწყვიტა. ასე რომ, შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე, ალბათ, არა, მაგრამ გმირი ნამდვილადაა გრიგოლ იმედაძე.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

## მიხეილ აშვეთია: ტოპმიოლერთან კონფლიქტი მომივიდა

რუსულმა ინტერნეტ გაზეთმა "ევროფუტბოლმა" ინტერვიუ ჩამოართვა **მიხეილ აშვეთიას**. ქართველი თავდამსხმელი დაღესტანში ზაფხულში მიიწვიეს და გულშემატკივარი მასზე დიდ იმედებს ამყარებს. აშვეთიამ წარსულსა და აწმყოზე საინტერესო ფაქტები გაამხილა.

"მოსკოვის "ლოკომოტივიდან" წასვლას შეცდომად ვთვლი. მძიმე ტრავმის შემდეგ, სათამაშო პრაქტიკა მაკლდა და ამის იმედად წავედი "როსტოვში". ეს იყო ჩემი შეცდომა. "ლოკომოტივში" უნდა დავრჩენილიყავი, გულიანად მევარჯიშა და დამემტკიცებინა, რომ ძირითადში მოხვედრას ვიმსახურებდი. "როსტოვიდან" რომ დავბრუნდი, სიომინის ადგილას, ეშტრეკოვი დამხვდა. მასთან ურთიერთობა ვერ ავაწყვე და ყაზანის "რუბინში" გადავედი... გული იმაზე მწყდება, რომ მოსკოვში თავს კომფორტულად ვგრძნობდი, საუკეთესო ფორმაში ვიყავი და ამ დროს დავშავდი. ამან გეგმები ამირია."

აშვეთიამ ეროვნულ ნაკრებში გამოუძახებლობის მიზეზები დაასახელა. მისი თქმით, მთავარ მწვრთნელთან კონფლიქტი მოუვიდა.

"კლაუს ტოპმიოლერთან ბოლო გამოძახების შემდეგ კონფლიქტი მქონდა. მიმაჩნია, რომ ნაკრებში გამოძახებულმა მოთამაშემ შეცვლაზე მაინც უნდა ითამაშოს. ის კი კატეგორიულად არ აპირებდა მოედანზე ჩემს შეშვებას. მაშინ ვუთხარი კიდეც - რატომ მიძახებ, თუკი სკამზე ჯდომა მიწევს-მეთქი... საქართველოს ნაკრებს რა სჭირს? სახლში კარგად ვთამაშობთ, გასვლაზე კი არაფერი გამოგვდის. გუნდს ყოველწლიურად მწვრთნელს უცვლიან და აქედან გამომდინარეობს ყველაფერი."

როგორ აღმოჩნდა მეორე ბუნდესლიგიდან მახაჩყალაში?

"სხვა ვარიანტებზე ბევრი არც მიფიქრია. თავიდანვე დავთანხმდი თეთრაძის წინადადებას. მახაჩყალა? რითია სხვა ქალაქებზე ნაკლები? ფეხბურთში ასეა - ხან ერთ ქალაქში თამაშობ, ხან მეორეში... ისე, მე და აბრამიძე "ანჟის" ხელმძღვანელობასთან თავიდან ვერ შევთანხმდით, ყველაფერი მალე მოგვარდა, მაგრამ განაცხადში ველარ შემიყვანეს. სხვა რა გზაა, მომავალ სეზონს დაველოდები... ისე, ნალჩიკის "სპარტაკში" თამაშის შანსი მქონდა, მაგრამ თეთრაძის ხათრით, "ანჟი" ვამჯობინე. თანაც, ნალჩიკელებს მხოლოდ იჯარა სურდათ, მახაჩყალაში კი უფრო ხანგრძლივი კონტრაქტი შემომთავაზეს. მთავარია, "ანჟიმ" პრემიერლიგაში გადასასვლელად იბრძოლოს. სხვაგვარად, აქ დარჩენას აზრი არ აქვს."

**მერაბ მამულაშვილი**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



ვეტერინარებმა ერთადერთი გოლი პენალტით გაიტანეს

# თერთმეტი მეტრის ამბავი

## ჯორჯია უპენალტოდ კარს ვერ უმიზნებს, სპარტაკი კი მცხეთაშიც პენალტით წააქციეს

**ვიტ ჯორჯია-სპარტაკი**

**1:0**

7.10. მცხეთა. არმაზი
150 მაყურებელი

1:0 რაზმაძე (36 პენ.)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - პ. დათუნაიშვილი, კვახაძე, ლომაია, ბეჭვაია - გ. დათუნაშვილი, მელქაძე (72. ინჯგია), რაზმაძე (83. ლუჭაშვილი), კლიმიაშვილი - გელაშვილი (87. ბერიაშვილი), სახოკია

*სათადარიგოები: მიქაბერიძე, ადამაძე, კაიშაური, ჯაფარიძე*

სპარტაკი: კოდალაევი - ბახტურიძე, ქემოკლიძე, ცქვიტაია, მამუკაშვილი - კუპრეიშვილი, ძარია, თარხნიშვილი (80. მედოევი), გოგოხია (58. დარბაიძე) - ხიდეშელი (58. ჯანელიძე)

*სათადარიგოები: ქვილითაია, ტატაევი, კეტაშვილი, თექთუმანიძე*

გაფრთხილება: ცქვიტაია (36), კლიმიაშვილი (51), ბეჭვაია (70), კოდალაევი (70), ინჯგია (84)

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

**11.** გიორგი დათუნაიშვილმა ოცდახუთიოდე მეტრიდან დაარტყა და ბურთი ხარიხას გადაავლო.

**28.** ირაკლი კლიმიაშვილმა ფლანგური ჯარიმიდან ბურთი კარისკენ გაგზავნა, თუმცა მხოლოდ კუთხურს გამორჩა.

**36.** 1:0 - გიორგი დათუნაიშვილი კახაბერ ცქვიტაიამ წააქცია და ლუკა რაზმაძემ ზუსტად შეასრულა 11-მეტრიანი.

**63.** ნიკა გელაშვილი ბესო კოდალაევთან პირისპირ დარჩა, თავზეც გადაავლო მას ბურთი, მაგრამ მცველთაგან დაცულ კარს ვერ დაუმიზნა.

**65.** მელქაძის პასით გელაშვილი ისევ ინახით აღმოჩნდა კოდალაევთან, დაარტყა და ააცილა.

**68.** იმავე მელქაძის პასით ისევ გელაშვილი გაიჭრა ჩინებულ პოზიციაზე და ისევ უმტყუნა მიზანმა.

**83.** არეულობა "ვიტ ჯორჯიის" საჯარიმოში, დავით ლომაიამ ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი.

**90+2.** ზაზა სახოკია კოდალაევთან პირისპირ დარჩა, ჯერ მეკარეს ვერ აჯობა, დამატებაზე კი არაზუსტად დაარტყა.

**90+4.** ხელსაყრელი პოზიციიდან სახოკიამ კოდალაევის ხელებს დაუმიზნა ბურთი.

თბილისის "ვიტ ჯორჯიამ" ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო, ხოლო ცხინვალის "სპარტაკმა" ზედიზედ მეორე მატჩი წააგო 0:1-ით და ზედიზედ მეორედ გოლი 11-მეტრიანით გაუშვა.

გუშინდელ შეხვედრაში ორივე მხარე უკმაყოფილო იყო მსაჯობით. "სპარტაკი" იმას ჩიოდა, მეორე ტაიმში **დავით ჯანელიძე** ვიტელთა საჯარიმოში წაიქცა და არა საჯარიმოს გარეთო. "ვიტ ჯორჯია" კი იმით იყო უკმაყოფილო, არბიტრმა **ფანიაშვილმა გიგა ბეჭვაია** და **რევაზ ინჯგია** რატომ გააფრთხილა, რამეთუ ისინი მომდევნო მატჩს გამოტოვებენ, რომელიც "ვიტ ჯორჯიას" 19 ოქტომბერს აქვს თბილისის "დინამოსთანო".

პირველ ტაიმში "ვიტ ჯორჯია" ისე უტევდა, რომ მეტოქე მას აქეთ ვერ აწუხებდა. არ იყო ძალიან მძლავრი მასპინძელთა იერიშები და **ნესტორ მუმლაძის** გუნდსაც ბევრი ხიფათი არ შეუქმნია **ბესარიონ კოდალაევის** კართან.

პენალტით გატანილი გოლის გარდა "ვიტ ჯორჯიას" პირველ ტაიმში მხოლოდ ერთი საგოლე შანსი ჰქონდა, როცა **ზაზა სახოკიამ** მახვილი კუთხიდან ვერ მოუძებნა ღრიჭო "სპარტაკის" კარს.

შეხვედრა ახალი დაწყებული იყო, სამხრეთი ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **დიმიტრი სანაკოევი** რომ მოვიდა, იქვე იყო **ვლადიმერ სანაკოევიც**, მოძრაობა "კოკოითი ფანდარასტის" დამრტყმელი ძალა.

უმაღლეს ლიგაში პოლიტიკურ-პატრიოტული პრინციპით მოასპარეზე "სპარტაკი" ურიგოდ როდი ირჯებოდა, მაგრამ გუნდი ფაქტობრივად მხოლოდ სეზონის დაწყების წინ შეიქმნა და ძალიან უჭირს უკეთესად მომზადებულ მეტოქეებთან გამკლავება - ასე იყო გუშინაც, თუმცა...

მეორე ტაიმში "სპარტაკმა" "ვიტ ჯორჯია" გვარიანად აწერვიულა. მუმლაძის გუნდმა ბევრი საგოლე მომენტი გააცუდა და დიდი იყო შანსი, ამისთვის დასჯილიყო - სტუმრებმა რამდენიმე მწვავე შეტევა გაახერხეს და აჩვენეს, რომ "სპარტაკი" ანგარიშგასაწევი ძალაა.

**მატჩის შემდეგ**

**კობა ჟორჟიკაშვილი (სპარტაკი):** "ფავორიტი "ვიტ ჯორჯია" იყო, რადგან ამ გუნდს ყველა ასპექტში ჩამოვრჩებით. რაც შეეხება საკამათო ეპიზოდებს, ჯერ ჩანაწერი უნდა ვნახოთ, თუმცა თვითონ ჯანელიძე ირწმუნება, საჯარიმოში წამაქციესო".

**ნესტორ მუმლაძე (ვიტჯორჯია):** "დაძაბული თამაში გამოდგა, მეორე ტაიმში ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. "სპარტაკს" მწვრთნელის ხელი ეტყობა, გუნდი გამართულად თამაშობს. მოკლედ, მნიშვნელოვანი სამი ქულა ავიღეთ და ჩემი ფეხბურთელების გარჯით კმაყოფილი ვარ".

**დავით თავართქილაძე**

# ამათ რას გაუგებ?

**დილა-ოლიმპი**

**1:1**

6.10. გორი. თ. ბურჯანაძე
300 მაყურებელი

1:0 ტლაშაძე (14), 1:1 ჯიქია (25)

დილა: კეჩხუაშვილი - იჩქითი (46. შატაკიშვილი), დ. ხანიშვილი, ბალაშვილი, ბალიაშვილი - ლაცაბიძე, ტლაშაძე (90. ლომიძე), ნოზაძე, ჩიტაია, სულთანიშვილი- სამადაშვილი (85. თურმანიძე)

*სათადარიგოები: ილურიძე, კურტანიძე, ი. თაყაძე, მასურაშვილი*

ოლიმპი: მერლანი - აკუასაგა, ორბელაძე, მახვილაძე, ნავალოვსკი - სილაგაძე, გეწაძე (72. კოშკაძე), ქებაძე (88. მოდებაძე), კახელიშვილი, დვალიშვილი (80. მასუანგა)-ჯიქია

*სათადარიგოები: კობახიძე, ჩივაძე, მგელაძე, დევდარიანი*

გაფრთხილება: სულთანიშვილი (44), მახვილაძე (65), შატაკიშვილი (79)

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

**14.** 1:0 - საბა სულთანიშვილის ჩაწოდებულ ბურთს სამადაშვილი ფეხის წვერით მიწვდა, თუმცა იგი ძელს მოხვდა, გამოვარდნილი კი მეკარემ რამდენიმე მეტრით მოიშორა, მაგრამ დამატებაზე დავით ტლაშაძემ კარის დაუცველ გადაგზავნა.

**18.** ჯიქიამ ვერ ისარგებლა „დილის" დაცვის შეცდომით და უხეიროდ დაარტყა.

**25.** 1:1 - ამ მომენტში რუსთაველთა მთავარი მოიერიშე დროულად გაერკვა „დილის" საჯარიმოში შექმნილი მდგომარეობაში.

**60.** 20 მეტრიდან მახვილაძის დარტყმული კეჩხუაშვილმა მოიგერია.

**81.** ნავალოვსკიმ ფლანგური გარღვევის შემდეგ კარის გასწვრივ ჩააწოდა, კოშკაძემ მეურვეს დაასწრო, მაგრამ ცუდად დაარტყა.

**89.** ლაშა თურმანიძის პასით სახეირო მომენტი შეექმნა ბექა ჩიტაიას, თუმცა ვერ გამოიყენა.

უცნაურია „დილა". გუნდებთან, რომლებიც ამინდს ქმნიან საქართველოში, ისე მარცხდება, რომ დაგენანება და „წაგებას არ იმსახურებდაო", იტყვი. თავისი დონის კოლექტივებთან კი ყველაფერი პირიქით ხდება. ზედიზედ ექვსი მარცხის და განსაკუთრებით „მგლებთან" ნაჩვენები უსახური მატჩის შემდეგ, ძნელად თუ ვინმე ივარაუდებდა „ოლიმპთან" ქულის მოპოვებას.

როგორც „დილის", ასევე „ოლიმპის" მდგომარეობა არც სატურნირო ცხრილის მიხედვითაა დამაკმაყოფილებელი, ამიტომაც გულშემატკივრისთვის სანახაობის მოსაწყობად არ გამოსულან ისინი მოედანზე. სასურველი შედეგის მისაღწევად „ოლიმპმა" პირველი წუთებიდანვე შეუტია. ტერიტორიული უპირატესობა და მოედნის ცენტრი მოიპოვა, თუმცა სწრაფი ტემპით და თავბრუდამხვევი იერიშებით არ უცდია გოლის მონადირება. მიუხედავად ამისა, რუსთაველებს პირველ ნახევარში უფრო ნაკლებად უჭირდათ მასპინძლების თავდაცვითი ზღუდეების გარღვევა, მაგრამ შეტევის დაგვირგვინებას რიგიანად ვერ ახერხებდნენ და, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ვერც ისეთ მომენტებს ქმნიდნენ, რომ მისთვის მაყურებელს საგოლე ეწოდებინა. **ანატოლი პისკოვეცის** შეგირდებს მე-14 წუთზე **საბა სულთანიშვილის** კონტრშეტევა გამოეპარათ და გოლითაც დაისაჯნენ, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, **გურამ სამადაშვილის** მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს. ამ ფეხბურთელს არასოდეს ეზარება ბურთისთვის ბოლომდე ბრძოლა და სწორედ ამის წყალობით მოახერხა თანაგუნდელების დაწინაურება. გოლის შემდგომ დროის მცირე მონაკვეთში „დილამ" თითქოს გაილაღა კიდეც, საკუთარი თავის რწმენა მიეცა მაგრამ მასპინძელთა დაცვის მორიგი შეცდომა რუსთაველებმა მალევე აქციეს საპასუხო გოლად.

შეტევებისას, სტუმართა გუნდი უმეტესწილ მარჯვენა ფლანგზე **კახელიშვილის** აქტიურობის იმედად იყო, თუმცა აქ მასპინძლებს **გიორგი ბალაშვილი** ჰყავდათ და გამოცდილი კაპიტნის საიმედო თამაში ანეიტრალებდა მომხვდურთ.

მეორე ტაიმის დასაწყისში **ქებაძემ** გამოაჩინა კლანჭები, მოსინჯა რა ზედიზედ ორჯერ სახიფათო დარტყმებით მასპინძელთა ახალბედა კარის დარაჯის **ბესიკ კეჩხუაშვილის** მზადყოფნა.

„ოლიმპს" ქულების დაკარგვის საფრთხე რომ გამოეკვეთა, დაწოლა გააძლიერა, თუმცა ამავდროულად გორელებმაც ირწმუნეს, რომ ჩემპიონისთვის ქულის ართმევა რეალური იყო და თავი არ დაუზოგავთ, რათა აქამდე არაერთხელ ბოლო წუთებში ნაგებული მატჩების სენი დაეძლიათ.

**მატჩის შემდეგ**

**ანატოლი პისკოვეცი (ოლიმპი):** „კარგი თამაში იყო, თუმცა ჩვენთვის არასასურველი შედეგით დასრულდა. შესამჩნევი ნაკლი ფეხბურთელების არასაკმარისი ოსტატობაა. ვფიქრობ, ეს ორივე გუნდის უმთავრესი პრობლემა იყო"

**მამუკა ვარდოსანიძე (დილა):** „დილა" ზედიზედ ექვსი მატჩია აგებს და ახლა ფსიქოლოგიური წნეხი აქვთ ბიჭებს დასაძლევი. საკუთარ ძალებში დასარწმუნებლად კარგად ნაგვადგა თასზე მოგებული მატჩი. „ოლიმპს" კი ის თამაში დავუპირისპირეთ, რაც მათ ჩვენი დამარცხების საშუალებას არ მისცემდა."

**რჩეული**

**გიორგი ბალაშვილი**

ყველაზე მეტი სამუშაო და ყველაზე ხარისხიანად ამ დღეს „დილის" მარცხენა მცველმა შეასრულა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

U17. ქალთა ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი

# ელიტის ქალებს საქართველოში შეარჩევენ

ჭაბუკთა ნაკრებებს შორის ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ციკლში ჩვენი ჯგუფის მატჩებს, ამ ბოლო ხანს, საქართველო ხშირად მასპინძლობს. შარშან 17 წლამდე ვაჟთა შორის ანალოგიურ ტურნირს ვუმასპინძლეთ, წლეულს 19-წლამდელები ჩამოვლენ. ამის ფონზე ალბათ, გასაკვირიც არ უნდა იყოს, რომ 17-წლამდე გოგონათა შორის ევროპის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის, ჯგუფური ეტაპი საქართველოში ჩატარდება.

სწორედ თბილისში გაირკვევა საქართველოს, ინგლისის, რუსეთისა და სლოვაკეთის 17-წლამდე გოგონათა შორის ის ორი გუნდი, ვინც მოიპოვებს ელიტრაუნდში ასპარეზობის უფლებას.

შესარჩევი ეტაპი 27 ოქტომბერს დაიწყება და 1 ნოემბრამდე გასტანს.

**დავით ცაბაძე**

27 ოქტომბერი. 12:00 . რუსთავი. ფოლადი
**რუსეთი-სლოვაკეთი**

27 ოქტომბერი. 15:00. თბილისი. მ.მესხი
**საქართველო-ინგლისი**

29 ოქტომბერი. 12:00 რუსთავი. ფოლადი
**საქართველო-რუსეთი**

29 ოქტომბერი. 15:00 თბილისი. მ.მესხი
**ინგლისი-სლოვაკეთი**

1 ნოემბერი. 15:00 რუსთავი. ფოლადი
**რუსეთი-ინგლისი**

1 ნოემბერი. 15:00 ბოლნისი. თ. სტეფანია
**საქართველო-სლოვაკეთი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ი. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



# კვირკველია გოლით დაბრუნდა

ეროვნულ ნაკრებში დაბრუნება დავით კვირკველიამ გოლით აღნიშნა. სამწუხაროდ, ევროპის მოწინავე ლიგებში მოთამაშე ქართველთაგან მხოლოდ ზაპოროჟიეს "მეტალურგის" მცველმა გაიტანა გოლი. ნაკრებს კი კიდევ ერთი ფეხბურთელი გამოაკლდა, მათე ღვინიანიძე

## ტოპლიგური კრიზისი

**კახა კალაძე** ტრავმის გამო ტოვებს, როგორც საკლუბო, ასევე სანაკრებო მატჩებს, ასე რომ, წუხელ მას რომში "ლაციოს" წინააღმდეგ არ უთამაშია. ჯერჯერობით არ თამაშობს არც ნაოპერაციები **შოთა არველაძე** ესპანურ პრიმერაში. **ზურა ხიზანიშვილს** კი ამ სეზონში ალმაცერად უყურებს "ბლექბერნის" ულსელი თაკაცი **მარკ ჰიუზი**, "ბირმინგემთან" ქართველი მცველი სათადარიგო იყო. მოკლედ, ევროპის ტოპლიგებში ჩვენს ნარგზავნილებს ერთობ უჭირთ.

## ღვინიანიძეც დაგვაკლდა

დიდი ხანია ბუნდესლიგაში ქართული დაპირისპირება არ შემდგარა, ეს არც შაბათს მოხდა, **ლევან კობიაშვილის** "შალკე" უქართველოდ დაუხვდა **ალექსანდრე იაშვილის** "კარლსრუეს". ორივე ლეგიონერი ვერ ითამაშებს საქართველოს ნაკრების მომავალ მატჩში მსოფლიო ჩემპიონი იტალიის წინააღმდგ, თუკი კობიაშვილი ტრავმირებულია, იაშვილის გამოძახება **კლაუს ტოპმიოლერმა** არ ინება, არადა იაშვილი ნელ-ნელა ათამაშდა, მან "შალკესთან" მარცხენა შემტევ ნახევარმცველად ითამაშა შეუცვლელად, "კარლსრუემ" კი **კრისტიან ტიმის** დუბლით სენსაცია მოახდინა - 0:2. ეს გუნდი მეორე ადგილზეა, რაც სეზონის მთავარი მოულოდნელობაა. "შპორტალმა" იაშვილის თამაში "შალკესთან" 4-იანით შეაფასა.

მეორე ბუნდესლიგაშიც ქართველთა დაპირისპირების გარეშე დავრჩით. "კარლ ცაისის" ლიტველმა თავკაცმა **ვალდას ივანაუსკასმა** სათადარიგოთა სკამს არ გააცილა **ილია კანდელაკი** და **გიორგი ონიანი**, მისი გუნდი კი შინ 0:2 დამარცხდა "მიუნხენთან", რომლის ქართველი მცველი **მათე ღვინიანიძე** 85-ე წუთზე შეცვალეს. სამწუხაროდ, შეცვლის მიზეზი ტრავმა იყო, მათემ კოჭლობით დატოვა მოედანი. "მიუნხენის" ექიმის **ვილი ვიდენმაიერის** პირველადი დასკვნით მას ძვალი აქვს გაბზარული, ხელმეორე გამუქება მიუნხენში უნდა ჩატარდეს. ექიმი თითქმის გამორიცხავს, რომ ღვინიანიძე სანაკრებო მატჩებისთვის მწყობრში იქნება.

გუშინ **დავით სირაძემ** საკუთარი გუნდის მარცხს ჰამბურგში სათადარიგოთა სკამიდან უყურა, "პადერბორნი" 1:2 დამარცხდა "ზანკტ პაულისთან" და 3 ქულით ბოლო ადგილზე დარჩა.

## 1260 და არც ერთი წუთით ნაკლები!

ავსტრიაში კვლავ შეუცვლელად ითამაშა **გიორგი შაშიაშვილმა**, "შტურმის" მარჯვენაფლანგელი არც მე-14 ტურის მატჩში "მატერსბურგთან" (0:0) დაუსვენებიათ. ქართველმა 67-ე წუთზე სტუმართა სახიფათო მომენტი გააუვნებელყო. "შტურმი" 21 ქულით ცხრილის შუაში, მეხუთე ადგილზეა, თუმცა ლიდერ "აუსტრიას" მხოლოდ ხუთი ქულით ჩამორჩება. ზედიზედ 1260 წუთია გიორგი შაშიაშვილი შეუცვლელად თამაშობს. **მირზა ბჟალავას** ლუსტენაუს "აუსტრია" რანგით მეორე ლიგაში მეორე ადგილზე დაქვეითდა, რაც "ლოიბენთან" 0:2 დამარცხდა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველს სერიოზული ტრავმა აქვს და ვერ თამაშობს.

დანიაში "ვიბორგი" შინ 1:2 დამარცხდა "ბრონდბიუსთან", მასპინძელთა განაცხადში არ ყოფილა **გიორგი ფოფხაძე**. მან წინა ტურში მორიგი ყვითელი ბარათი მიიღო, "ბრონდბიუსთან" თამაშის გამოტოვების მიზეზიც ეს იყო. "ვიბორგი" 10 ქულით მეცხრე ადგილზეა, "ბორნდბიუს" 7 ქულა აქვს და ბოლოსწინაა.

**სანდრო იაშვილის** გულშემატკივრებს კვლავ ვერაფრით გავახარებთ. "თუნი" შვეიცარიის ჩემპიონატის უიმედო აუტსაიდერ "სენტ გალენს" ესტუმრა და 4:0 მოუგო. მიუხედავად მეტოქის სისუსტისა, მწვრთნელმა სანდრო კვლავ სათადარიგოთა სკამზე დატოვა.

## უკმაყოფილო ტარხანოვი

რუსეთის პირველობა სრულდება, ფინიშამდე სულ ოთხი ტური დარჩა და სულ უფრო უნუგეშო ხდება **დავით მუჯირის** "კრილია სოვეტოვის" მდგომარეობა. სამარული კლუბი 26 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა - შაბათს "კრილიამ" ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი წააგო სტუმრად "კუბანთან" - 2:3 და მეტოქეს გადასწრების საშუალება მისცა. დავით მუჯირი 67-ე წუთამდე თამაშობდა. მატჩის შემდეგ სამარელთა მწვრთნელი **ალექსანდრ ტარხანოვი** ქართველის თამაშით უკმაყოფილო იყო: "*კოვბამ თამაში საერთოდ ჩააგდო, ხოლო მუჯირი ძალიან ცოტას მოძრაობდა მოედანზე*". არადა წინა ორ ტურში ქართველმა ორი გოლი გაიტანა და თითქოს ჩვეული ფორმაც დაიბრუნა.

აი, **გოგიტა გოგუას** "სატურნი" კი ყოჩაღობს, ქართველის გარეშე დარჩენილმა კლუბმა (გოგიტას დისკვალიფიკაცია ჰქონდა) 2:1 დაამარცხა მოსკოვის "დინამო" და 41 ქულით მეხუთე ადგილი დაიმკვიდრა. გუშინ მოსკოვის "ლოკომოტივმა" საჩემპიონოდ გამზადებული "ზენიტი" დაამუხრუჭა - 1:0. **მალხაზ ასათიანმა** ერთ ეპიზოდში ტრავმა კი მიიღო, მაგრამ მოედანზე დაბრუნება შეძლო. ქართველს **დენისოვი** ეუხეშა, თუმცა მსაჯმა მხოლოდ საჯარიმო დანიშნა და ზენიტელი არ გაუფრთხილებია.

## ციმაკურიძის სადებიუტო, კვირკველიას პირველი

მე-12 ტურში კიევში ქართული გოლი გავიდა, "არსენალმა" 2:1 დაამარცხა ზაპოროჟიეს "მეტალურგი", დამარცხებულთა ერთადერთი გოლი კი **დავით კვირკველიას** ანგარიშზეა. ეს კვირკველიას პირველი გოლია ამ სეზონში. ქართველმა მცველმა შეუცვლელად ითამაშა. მასპინძელთა რიგებში ბოლოს (82-ე წუთზე) **გიორგი დემეტრაძე** გამოჩნდა.

"ზაკარპატიემ" ვერ შეძლო დონეცკის "მეტალურგის" დამარცხება, სასტარტოში მასპინძლებს მხოლოდ ერთი ქართველი, **კახა ალადაშვილი** ჰყავდათ, **ოთარ მარცვალაძე** კი 68-ე წუთზე გამოჩნდა. კახა ძალიან აქტიური იყო, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, როცა რამდენჯერმე დაარტყა კარში და სახიფათოდაც ჩააწოდა კუთხური. ის ორივე გუნდში საუკეთესოდ აღიარეს.

"ნეფტიანიკი" სტუმრად 0:1 დამარცხდა "ტავრიასთან" მატჩში, **ვასილ გიგიაძე** კი 88-ე წუთზე შეცვალეს. ამ მატჩში ქართველ ფორვარდს ორი ჩინებული შანსი ჰქონდა სეზონში პირველი გოლი გაეტანა.

ლუგანსკში "ზარია" კრიზისში მყოფ "დინამოს" დაუხვდა და კინალამ აართვა ქულები, მასპინძლებმა გადამწყვეტი გოლი მესამე დამატებულ წუთზე გაუშვეს - 1:2. "ზარიის" რიგებში სასტარტოში ორი ქართველი იყო, **ვლადიმერ ბურდული** და **გიორგი ციმაკურიძე**.

**ჯაბა კანკავას** "დნიპრომ" სტუმრად 2:1 მოუგო "ჩერნომორეცს", ჯაბა 82-ე წუთზე შევიდა და ბოლო წუთზე ანგარიშის გაზრდის შესანიშნავი შანსი მიეცა, მაგრამ ბურთი კარს გადააცილა. "დნიპრომ" მაინც მოიგო და 25 ქულით მეორე ადგილზეა. "მეტალისტის" ძირითადში ითამაშა **ლაშა ჯაკობიამ**, თუმცა მხოლოდ პირველი 45 წუთი.

## მელქაძის მეორე სუნთქვა

ყაზახეთში შესანიშნავ ფორმაშია **ლევან მელქაძე**, რომელმაც ბოლო ტურში "ყაირათს" გამარჯვების გოლი გაუტანა - 1:0. რაც **რევაზ ძოძუაშვილი** "შახტიორში" გადავიდა, ქართველმა ფორვარდმა თვენახევარში მეოთხე გოლი გაიტანა, არადა მანამდე მხოლოდ ერთი გოლი ჰქონდა გატანილი. აზერბაიჯანში თავი გამოიჩინეს **გოგა ბერაიამ** და **რომან ახალკაცმა**, თუმცა ამაზე უფრო დაწვრილებით ხვალ...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



იაშვილმა (მარჯვნივ) 90 წუთი ითამაშა

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სეზ. სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **იტალია** | | | | |
| სერია A, VII ტური | | | | |
| კახა კალაძე | ლაციო-მილანი | 1:5 | ტრავმა | 5 თ, 0 გ. |
| **ესპანეთი** | | | | |
| პრიმერა, VII ტური | | | | |
| შოთა არველაძე | სარაგოსა-ლევანტე | 3:0 | ტრავმა | 0 თ, 0 გ. |
| **ინგლისი** | | | | |
| პრემიერლიგა, IX ტური | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი-ბირმინგემი | 2:1 | სათადარიგო | 0 თ, 0 გ. |
| **გერმანია** | | | | |
| ბუნდესლიგა, IX ტური | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე-კარლსრუე | 0:2 | ტრავმა | 4 თ, 1 გ. |
| ალექსანდრე იაშვილი | შალკე-კარლსრუე | 0:2 | 90 წუთი | 8 თ, 0 გ. |
| II ბუნდესლიგა, IX ტური | | | | |
| მათე ღვინიანიძე | კარლ ცაისი-მიუნხენი | 0:2 | 85 წთ. (შეცვალეს) | 9 თ, 0 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ალემანია-ფრაიბურგი | - | დღეს | 1 თ, 0 გ. |
| დავით სირაძე | ზ. პაული-პადერბორნი | 2:1 | სათადარიგო | 5 თ, 0 გ. |
| ილია კანდელაკი | კარლ ცაისი-მიუნხენი | 0:2 | სათადარიგო | 6 თ, 0 გ. |
| გიორგი ონიანი | კარლ ცაისი-მიუნხენი | 0:2 | სათადარიგო | 3 თ, 0 გ. |
| გიორგი სეთურიძე | კარლ ცაისი-მიუნხენი | 0:2 | ტრავმა | 0 თ, 0 გ. |
| რეგიონალლიგა, X ტური | | | | |
| მიხეილ საჯაია | როიტლინგენი-უნტერჰახინგი | 2:2 | 8 წთ. (შეცვლაზე) | 4 თ, 0 გ. |
| **უკრაინა** | | | | |
| ვიშა ლიგა, X ტური | | | | |
| დავით კვირკველია | არსენალი-მეტალურგი ზ. | 2:1 | 90 წუთი, 1 გოლი | 12 თ, 1 გ. |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი-კრივბასი | 3:2 | 45 წთ. (შეცვალეს) | 2 თ, 0 გ. |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია-ნეფტიანიკი | 1:0 | 90 წუთი | 12 თ, 0 გ. |
| ლადო ბურდული | ზარია-დინამო | 1:2 | 81 წთ. (შეცვალეს) | 12 თ, 0 გ. |
| გიორგი ციმაკურიძე | ზარია-დინამო | 1:2 | 92 წთ. (შეცვალეს) | 1 თ, 0 გ. |
| გიორგი დემეტრაძე | არსენალი-მეტალურგი ზ. | 2:1 | 8 წთ. (შეცვლაზე) | 11 თ, 2 გ. |
| ოთარ მარცვალაძე | ზაკარპატიე-მეტალურგი დ. | 1:1 | 22 წთ. (შეცვლაზე) | 10 თ, 1 გ. |
| კახა ალადაშვილი | ზაკარპატიე-მეტალურგი დ. | 1:1 | 93 წთ. (შეცვალეს) | 6 თ, 0 გ. |
| ჯაბა კანკავა | ჩერნომორეცი-დნეპრი | 1:2 | 8 წთ. (შეცვლაზე) | 10 თ, 1 გ. |
| **ავსტრია** | | | | |
| ბუნდესლიგა, XIV ტური | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | შტურმი-მატერსბურგი | 0:0 | 90 წუთი | 14 თ, 0 გ. |
| II ბუნდესლიგა, XI ტური | | | | |
| მირზა ბჟალავა | ლოიბენი-აუსტრია ლ. | 2:0 | ტრავმა | 3 თ, 0 გ. |
| **დანია** | | | | |
| სუპერლიგა, XII ტური | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი-ბრონდბიუ | 1:2 | დისკვალიფიკაცია | 6 თ, 0 გ. |
| **შვეიცარია** | | | | |
| სუპერლიგა, XII ტური | | | | |
| სანდრო იაშვილი | სტ. გალენი-თუნი | 0:4 | სათადარიგო | 7 თ, 0 გ. |
| **რუსეთი** | | | | |
| სუპერლიგა, XXVI ტური | | | | |
| 1. არტმედია | 12 | 9 | 1 | 2 | 31-13 | 28 |
| 2. ჟილინა | 12 | 8 | 2 | 2 | 28-15 | 26 |
| 3. ნიტრა | 12 | 8 | 1 | 3 | 17-7 | 25 |
| 4. რუჟომბეროკი | 12 | 6 | 3 | 3 | 19-16 | 21 |
| 5. ტრნავა | 12 | 5 | 4 | 3 | 22-15 | 19 |
| 6. კოშიცე | 12 | 5 | 4 | 3 | 16-11 | 19 |
| 7. სლოვანი | 12 | 4 | 2 | 6 | 16-16 | 14 |
| 8. დუბნიცა | 12 | 3 | 5 | 4 | 14-19 | 14 |
| 9. ბისტრიცა | 12 | 3 | 2 | 7 | 15-19 | 11 |
| 10. მორავცე | 12 | 3 | 2 | 7 | 10-27 | 11 |
| 11. ტრენჩინი | 12 | 2 | 2 | 8 | 15-32 | 8 |
| 12. შენეცი | 12 | 0 | 4 | 8 | 9-22 | 4 |

## არგენტინა

XIII ტური

| | |
|---|---|
| ხიმნასია (ხ)-ურაკანი | 2:0 |
| ბანფილდი-კოლონი | 3:1 |
| ოლიმპო-სან მარტინი | 2:1 |
| რასინგი-როსარიო | 2:2 |
| ველესი-ტიგრე | 1:1 |
| სან ლორენსო-ხიმნასია (ლ) | 1:1 |
| რივერი-ბოკა | 2:0 |

## იაპონია

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| კაშიმა-კობე | 3:2 |
| ჰიროშიმა-ივატა | 0:1 |
| ტოკიო-იოკოჰამა მარინოსი | 2:1 |
| ნიიგატა-ომიია | 1:0 |
| კაშივა-გამბა | 1:2 |
| კოფუ-იჩიჰარა | 0:1 |
| შიმიცუ-ნაგოია | 3:0 |
| იოკოჰამა-კავასაკი | 0:1 |
| ურავა-ოიტა | 2:1 |

## უკრაინა

XII ტური

| | |
|---|---|
| ვორსკლა-ხარკოვი | 1:1 |
| ტავრია-ნაფტოვიკი | 1:0 |
| ზაკარპატია-მეტალურგი (დ) | 1:1 |
| ზარია-დინამო | 1:2 |
| არსენალი-მეტალურგი (ზ) | 2:1 |
| ჩერნომორეცი-დნიპრო | 1:2 |
| მეტალისტი-კრივბასი | 3:2 |
| შახტარი-კარპატი | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 12 | 11 | 1 | 0 | 31-7 | 34 |
| 2. დნიპრო | 12 | 8 | 1 | 3 | 22-13 | 25 |
| 3. დინამო | 12 | 7 | 3 | 2 | 23-13 | 24 |
| 4. მეტალისტი | 12 | 7 | 2 | 3 | 20-14 | 23 |
| 5. ჩერნომორეც | 12 | 5 | 2 | 5 | 9-10 | 17 |
| 6. ტავრია | 12 | 5 | 2 | 5 | 13-19 | 17 |
| 7. მეტალურ (დ) | 12 | 3 | 6 | 3 | 16-15 | 15 |
| 8. მეტალურ (ზ) | 12 | 4 | 3 | 5 | 11-13 | 15 |
| 9. არსენალი | 12 | 4 | 2 | 6 | 23-20 | 14 |
| 10. ვორსკლა | 12 | 2 | 7 | 3 | 9-12 | 13 |
| 11. კრივბასი | 12 | 4 | 1 | 7 | 16-20 | 13 |
| 12. ხარკოვი | 12 | 3 | 4 | 5 | 8-12 | 13 |
| 13. ზაკარპატია | 12 | 3 | 4 | 5 | 9-16 | 13 |
| 14. ზორია | 12 | 4 | 1 | 7 | 12-18 | 13 |
| 15. კარპატი | 12 | 3 | 3 | 6 | 11-17 | 12 |
| 16. ნაფტოვიკი | 12 | 1 | 2 | 9 | 5-19 | 5 |

## სერბეთი

VIII ტური

| | |
|---|---|
| ბეჟანია-ბორაცი | 1:2 |
| ჩუკარიჩკი-ნაპრედაკი | 0:0 |
| ჰაიდუკი-ვოივოდინა | 1:2 |
| მლადოსტი-ოფკ | 2:2 |
| სმედერევო-პარტიზანი | 1:1 |
| ცრვენა ზვეზდა-ბანატი | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პარტიზანი | 8 | 6 | 2 | 0 | 19-7 | 20 |
| 2. ვოივოდინა | 8 | 4 | 3 | 1 | 10-7 | 15 |
| 3. ბორაცი | 8 | 4 | 2 | 2 | 6-4 | 14 |
| 4. ცრ. ზვეზდა | 7 | 3 | 4 | 0 | 8-3 | 13 |
| 5. ოფკ | 8 | 3 | 3 | 2 | 11-8 | 12 |
| 6. ბანატი | 8 | 2 | 3 | 3 | 8-10 | 9 |
| 7. ჩუკარიჩკი | 8 | 2 | 3 | 3 | 5-9 | 9 |
| 8. ჰაიდუკი | 7 | 2 | 2 | 3 | 5-6 | 8 |
| 9. მლადოსტი | 8 | 1 | 5 | 2 | 5-8 | 8 |
| 10. სმედერევო | 8 | 2 | 2 | 4 | 4-7 | 8 |
| 11. ნაპრედაკი | 8 | 1 | 2 | 5 | 3-10 | 5 |
| 12. ბეჟანია | 8 | 1 | 1 | 6 | 5-10 | 4 |

## სლოვენია

XIII ტური

| | |
|---|---|
| დომჟალე-ნაფტა | 5:0 |
| გორიცა-ინტერბლოკი | 1:0 |
| დრავა-პუბლიკუმი | 0:2 |
| ლივარი-მარიბორი | 0:6 |
| კოპერი-პრიმორიე | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დომჟალე | 13 | 9 | 2 | 2 | 32-11 | 29 |
| 2. პუბლიკუმი | 13 | 7 | 3 | 3 | 19-8 | 24 |
| 3. კოპერი | 13 | 6 | 5 | 2 | 24-15 | 23 |
| 4. გორიცა | 13 | 7 | 2 | 4 | 19-16 | 23 |
| 5. მარიბორი | 13 | 5 | 3 | 5 | 23-21 | 18 |
| 6. ინტერბლოკი | 13 | 5 | 2 | 6 | 18-15 | 17 |
| 7. ნაფტა | 13 | 4 | 5 | 4 | 17-25 | 17 |
| 8. პრიმორიე | 13 | 4 | 2 | 7 | 17-16 | 14 |
| 9. დრავა | 13 | 4 | 1 | 8 | 16-31 | 13 |
| 10. ლივარი | 13 | 1 | 1 | 11 | 11-38 | 4 |

## ბრაზილია

XXXI ტური

| | |
|---|---|
| ბოტაფოგო-სანტოსი | 1:2 |
| ნაუტიკო-ჟუვენტუდე | 4:1 |
| პალმეირასი-გრემიო | 2:0 |
| ატ. მინეირო-სპორტ რესიფე | 3:1 |
| ატ. პარანაენსე-ვასკო | 1:0 |
| ინტერნასიონალი-ამერიკა | 2:0 |
| სან პაულუ-კორინთიანსი | 0:1 |

## მექსიკა

XI ტური

| | |
|---|---|
| ვერაკრუსი-ატლანტე | 0:2 |
| პაჩუკა-გვადალახარა | 1:2 |
| ატლასი-ტეკოსი | 3:2 |
| სან ლუისი-პუებლა | 0:3 |
| კრუს ასული-მონტერეი | 2:1 |
| ტიგრესი-ხაგუარესი | 1:1 |
| ნეკაქსა-მორელია | 1:1 |
| ტოლუკა-ამერიკა | 3:1 |

## ჩილე

X ტური

| | |
|---|---|
| უნ. ესპანიოლა-დ. კონსეპსიონი | 1:5 |
| უნ. ჩილე-პალესტინო | 3:1 |
| ევერტონი-კოკიმბო | 3:1 |
| პუერტო მონტი-კობრესალი | 1:0 |
| ო'ჰიგინსი-კოლო კოლო | 2:1 |
| უაჩიპატო-ლოტა | 2:2 |
| აუდაქსი-სანტიაგო | 7:1 |

## ურუგვაი

X ტური

| | |
|---|---|
| ბელა ვისტა-უონდერერსი | 1:2 |
| ლივერპული-პროგრესო | 1:2 |
| სერო-ტაკუარემბო | 0:2 |
| ხუვენტუდი-სენტრალი | 3:1 |
| რამპლა-ნასიონალი | 1:0 |
| რივერ პლეიტი-მირამარი | 2:2 |
| დანუბიო-პენიაროლი | შეწყდა |

## აშშ

XXVII ტური

| | |
|---|---|
| კანზას სიტი-დი სი იუნაიტედი | 1:1 |
| კოლამბუსი-დალასი | 1:3 |
| ჩიკაგო-ნიუ ინგლენდი | 2:1 |
| სოლტ ლეიკი-ჩივასი | 2:3 |
| ჰიუსტონი-ლოს ანჯელესი | 1:2 |

## პოლონეთი

X ტური

| | |
|---|---|
| ოდრა-რუხი | 2:0 |
| ვიძევი-ლკს | 0:0 |
| ბელხატოვი-პოლონია | 0:3 |
| გურნიკი-სოსნოვეცი | 4:2 |
| კორონა-კრაკოვია | 2:0 |
| ლეხი-ლეგია | 1:0 |
| ვისლა-იაგელონია | 5:0 |
| ზაგლებე-გროცლინი | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვისლა | 10 | 8 | 2 | 0 | 29-5 | 26 |
| 2. ლეგია | 10 | 8 | 0 | 2 | 20-4 | 24 |
| 3. კორონა | 10 | 7 | 1 | 2 | 13-7 | 22 |
| 4. ლეხი | 10 | 6 | 2 | 2 | 22-13 | 20 |
| 5. გროცლინი | 10 | 6 | 1 | 3 | 17-12 | 19 |
| 6. გურნიკი | 10 | 5 | 1 | 4 | 14-15 | 16 |
| 7. ზაგლებე | 10 | 4 | 2 | 4 | 12-12 | 14 |
| 8. ბელხატოვი | 10 | 3 | 4 | 3 | 9-10 | 13 |
| 9. კრაკოვია | 10 | 4 | 1 | 5 | 7-8 | 13 |
| 10. იაგელონია | 10 | 3 | 2 | 5 | 8-18 | 11 |
| 11. პოლონია | 10 | 3 | 1 | 6 | 6-18 | 10 |
| 12. ოდრა | 10 | 2 | 3 | 5 | 11-16 | 9 |
| 13. რუხი | 10 | 2 | 2 | 6 | 12-20 | 8 |
| 14. ლკს | 10 | 1 | 4 | 5 | 6-9 | 7 |
| 15. ვიძევი | 10 | 1 | 4 | 5 | 9-14 | 7 |
| 16. სოსნოვეცი | 10 | 2 | 0 | 8 | 9-23 | 6 |

## ახალი კონტრაქტი ადვოკაატს?

"ზენიტი" **დიკ ადვოკაატს** ახალ ორწლიან კონტრაქტს და ...ჯერ მეტ ხელფასს სთავაზობს. ჰოლანდიელმა მწვრთნელმა მოსაფიქრებლად დრო ითხოვა. ამ უქმეებზე "ზენიტი" მოსკოვის "ლოკომოტივს" ესტუმრა და მინიმალური ანგარიშით წააგო. მოსკოვის "სპარტაკი" ნალჩიკელ თანაკლუბელებს დღეს შეხვდება. გამარჯვების შემთხვევაში, სახალხო გუნდი ჩრდილოელებს წამოეწევა. ჩემპიონატის დასრულებამდე ექვსი ტურია დარჩენილი. გასულ ზაფხულს ადვოკაატმა რამდენიმე სარფიანი შეთავაზება მიიღო. მან თქვა, რომ "ზენიტის" შემდეგ საკლუბო ფეხბურთში მუშაობას აღარ აპირებდა. ადვოკაატი ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებს შეხვდა, მაგრამ მათთან არავითარ წინასწარ კონტრაქტზე არ მოუწერია ხელი. მწვრთნელს წლიურად 2 მილიონ დოლარს უხდიან. თუ "ზენიტი" 4 მილიონს შესთავაზებს და მით უმეტეს, თუ კლუბი რუსეთის ჩემპიონი გახდება, საეჭვოა, ადვოკაატმა სხვა სამსახურის ძებნა დაიწყოს.

## ლაციო აბონდანსიერის ეპატიჟება

"ლაციოს" ხეტაფელი **რობერტო აბონდანსიერის** შეძენა სურს. რომაელები გამოცდილ მეკარეს ეძებენ. **ანჯელო პერუცის** პენსიაში გასვლის შემდეგ ისინი 42 წლის მარკო ბალოტას ამარა დარჩნენ. აგვისტოს ტრანსფერებისას "ბიანკოჩელესტემ" "რივერ პლეიტის" გოლკიპერ **ხუან პაბლო კარისოს** დაადგა თვალი, მაგრამ საპასპორტო პრობლემების გამო ტრანსფერის განხორციელება არ მოხერხდა. "ხეტაფეს" კიდევ ერთი არგენტინელი მეკარე **ოსკარ უსტარი** ჰყავს. ამიტომ სარფიანი შეთავაზების შემთხვევაში, აბონდანსიერის დაფიქრებლად გაყიდიან.

## პალისტერის ჩელსიში და იოლი თენ კეიტის ნაცვლად

"ლივერპულის" ყოფილი ვარსკვლავი **გარი პალისტერი**, შეიძლება, "ჩელსის" სამწვრთნელო შტაბში ვიხილოთ. მერსისაიდელებისა და შოტლანდიის ნაკრების ყოფილ კაპიტანს ავრაამ გრანტის ასისტენტობას უწინასწარმეტყველებენ. მისი სამწვრთნელო გამოცდილება მოკრძალებულია. კარიერის დასრულების შემდეგ 2002-03 წლების სეზონში მან მხოლოდ რამდენიმე თვე იმუშავა "ქოვენთრიში". გრანტის კიდევ ერთი სავარაუდო ასისტენტია "აიაქსის" თავკაცი **ჰენკ თენ კეიტი**. ჰოლანდიური სააგენტოების ცნობით, თენ კეიტის ლონდონში გადასვლის შემთხვევაში, "აიაქსში" "ტოტენჰემის" დღევანდელი დამრიგებელი **მარტინ იოლი** დაინიშნება. ამ ინფორმაციას ინგლისური ტაბლოიდებიც ადასტურებენ. "დეილი მეილის" მტკიცებით, ლონდონელები იოლს კომპენსაციის სახით, 6 მილიონ გირვანქას გადაუხდიან.

იუვენტუსი. ახალი ამბები

# დელ პიეროს რედ ბულიც გამოუჩნდა

### ქალბატონმა დორტმუნდელი კრინგე მოიკითხა, ბარსელონამ ტურინელი ჯოვინკო...

**ალესანდრო დელ პიერო** "იუვენტუსთან" შეთანხმებას ვერ ახერხებს. მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. ამ ინფორმაციას "კორიერე დელო სპორტი" ავრცელებს. პოპულარული იტალიური გამოცემა ვარაუდობს, რომ იტალიელ ვარსკვლავს ახალი სამსახურის პოვნა მოუწევს. მისი კონტრაქტი 2008 წლის ივნისში იწურება. "იუვემ" დელ პიეროს ხელშეკრულების გაგრძელება შესთავაზა. ფეხბურთელს პირობები არ აკმაყოფილებს. ის გაკვირვებულია, რომ **პაველ ნედვედს** მასზე უკეთესი ხელფასი აღუთქვეს. ორი დღის წინ გაუწყეთ, რომ დელ პიეროს დონეცკის "შახტარი" დაუკავშირდა. უკრაინულმა გრანდმა ფეხბურთელს ასტრონომიული თანხა შესთავაზა. ალექსს კიდევ ერთი ხელსაყრელი ვარიანტი გამოუჩნდა - ამერიკულ ლიგაში გადაბარგება. დელ პიეროს ნიუ იორკის "რედ ბულიც" შეეხმიანა. სატრანსფერო სპეკულაციებთან დაკავშირებით დელ პიეროს წარმომადგენლებს კომენტარი არ გაუკეთებიათ.

ამასობაში, "იუვენტუსმა" დაადასტურა, რომ დორტმუნდელი **ფლორიან კრინგე** სურს. 25 წლის ნახევარმცველი უნივერსალური თვისებებით გამოირჩევა. ის ორივე ფლანგზე თამაშობს და საჭიროების შემთხვევაში, მცველის ფუნქციების შესრულებაც შეუძლია. კრინგეს "ბორუსიასთან" კონტრაქტი ივნისში ეწურება. "ბებერ ქალბატონს" სურს, ფლორიანი უფასოდ გადაიბიროს.

გადაწყდა ისიც, რომ "იუვე" ახალ კონტრაქტს შესთავაზებს 30 წლის მცველ **ნიკოლა ლეგროტალიეს**. ეს უკანასკნელი ძირითად შემადგენლობას **ჟორჟე ანდრადეს** ტრავმის გამო დაუბრუნდა. ნიკოლამ დაკისრებულ ამოცანას კარგად გაართვა თავი. დღის წესრიგში დგას ხელშეკრულებების გაგრძელება მცველ **ჯორჯო კიელინისა** და თავდამსხმელ **რაფაელე პალადინოსთან**. შეთანხმების შემთხვევაში, ფეხბურთელები ტურინში 2012 წლამდე დარჩებიან.

"ქალბატონის" კიდევ ერთ ახალგაზრდა ვარსკვლავს **სებასტიან ჯოვინკოს** "ბარსელონა" ეპატიჟება. ჯოვინკო იჯარით "ემპოლიში" თამაშობს. კატალონიელი ემისრები მის თამაშებს ხშირად ესწრებიან. ხუთშაბათს ისინი უეფას თასზე, "ციურიხისა" და "ემპოლის" შეხვედრაზეც შენიშნეს. ჯოვინკო მინდორზე მხოლოდ მეორე ტაიმში გამოვიდა. სებასტიანით მოსკოვის ცსკაც დაინტერესდა და "იუვეს" 15 მილიონი ევრო შესთავაზა. ტურინელებმა ყმაწვილის გაყიდვაზე თავაზიანი უარი განაცხადეს.




ალესანდრო დელ პიერო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

კალათბურთი | დადიანის მემორიალი

# სპრინტი აზოტმა მოიგო



გამარჯვებულები

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

**გუშინ** რუსთავის "აზოტის" დარბაზში დასრულდა დუდუ დადიანის თასის მეექვსე გათამაშება. საპატიო ჯილდოს ზედიზედ მეორედ რუსთავური კლუბი დაეუფლა. გადამწყვეტ მატჩში აზოტელებმა ის გუნდი დაამარცხეს, რომელშიც დუდუ წლების განმავლობაში თამაშობდა.

*"ძალიან გვინდოდა, თასი აგვეღო, ამისთვის მონდომებით ვემზადებოდით, მაგრამ ფინალში ძალები არ გვეყო, - გვითხრა "ვითას" მწვრთნელმა* **ზურაბ ტომარაძემ** *- გუნდი ერთი თვის შეკრებილია, ფიზიკურად სათანადოდ მომზადება ჯერ ვერ მოვასწარით, ამიტომ ზედიზედ ორი რთული მატჩის დაუღალავად ჩატარებისთვის მზად არ ვიყავით, მეორე ტაიმში ბიჭებს დაღლილობა დაეტყოთ და აზოტელთა შეჩერება გაუჭირდათ".*

ორიოდ სიტყვა მატჩის პერიპეტიებზე. პირველ ტაიმს ორივე გუნდმა დიდი ენერგია შეალია - "აზოტიცა" და "ვითაც" დიდ ყურადღებას უთმობდნენ დაცვას. იყო ეპიზოდები, როცა ბადე 3-4 წუთის განმავლობაში ამაოდ "ელოდა" შერხევას. მასპინძლები ფარქვეშიდანაც ცდილობდნენ შეტევის დაგვირგვინებას, საშუალო დისტანციიდანაც და პერიმეტრიდანაც. ხშირად ვერა, მაგრამ გარკვეული პერიოდულობით ბურთს სამივე დისტანციიდან აგდებდნენ. ხოლო ვითელები ვიდრე მოედანზე "აზოტის" ახალწვეული **იოვან სტეფანოვი** გამოვიდოდა, ფარქვეშ მცირე უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ სერბი მეფარის კარგი დაცვის გამო ვითელთა სასროლმა ნერტილებმა სამწამიანის მოშორებით გადაინაცვლა. მძიმე ცენტრ **დავით უგრეხელიძეს** სწრაფი სერბის წინააღმდეგ დაცვაშიც გაუჭირდა, ამიტომ ზურაბ ტომარაძემ დათო მსუბუქი **ლუკა ნოზაძით** შეცვალა და თამაში კვლავ დაბალანსდა. პირველი ტაიმი მასპინძლებმა არაფრისმთქმელი სხვაობით მოიგეს - 34:27.

თასის გამარჯვებულის ბედი მესამე პერიოდში გადაწყდა. დიდი შესვენებიდან დაბრუნების შემდეგ იოვან სტეფანოვმა სამქულიანი ზუსტად გაისროლა და სხვაობა 10 ქულამდე გაზარდა. ამას **მიხეილ ბერიშვილმაც** შორეული ტყორცნით უპასუხა და ვითელებს მეტოქისთვის ტემპის აწყობისკენ უბიძგა. მესამე ათწუთეულის დასაწყისში **ლაშა გამყრელიძის** საყვარელი სწრაფი თამაში გაჩაღდა და მხარეები დაცვაში ჩასვლას ვერ ასწრებდნენ, რომ კალათში ბურთს ბურთზე ილებდნენ. დროის მცირე მონაკვეთში ბესიკ ლეჟავამ სამი სამქულიანი ჩააგდო, მას **დიდიამ** და **გამყრელიძემაც** მიბაძეს, მეტოქეზე ორჯერ მეტი პერიმეტრიდან ნატყორცნი მიითვალეს და გადამწყვეტი რაუნდის წინ 70:43 დაწინაურდნენ. სწორედ ამ დროს გამოჩნდა, რომ "ვითას" ძალიან აკლდა ფლანგელი **ბუბა ბერიშვილი**. ერთი-ორი გამოცდილი ტანდაბალი კალათბურთელი ზურაბ ტომარაძის გუნდს აშკარად მოუხდებოდა. "აზოტს" კი მაღალ ტემპში თამაშისთვის საკმარისი რეზერვი აქვს - გამთამაშებელ ლაშა გამყრელიძეს სხვებთან ერთად ფეხს კარგად უწყობდა მეფარე იოვან სტეფანოვი, რომელიც მოედნის ერთი ნახევრიდან მეორემდე ჩასვლას არ აყოვნებდა, ბურთებსაც კარგად ხსნიდა და არც სროლის სიზუსტეში მოიკოჭლებდა. აქედან გამომდინარე, ლოგიკური იყო სტეფანოვის ფინალის საუკეთესო კალათბურთელად დასახელებაც. მან 29 წუთში 22 ქულა ჩააგდო, 9-ჯერ მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი-დაფარება მიითვალა.

ვიდრე გამარჯვებული გუნდის მთავარი მწვრთნელის მატჩისშემდგომ კომენტარს შემოგთავაზებდეთ, გეტყვით, რომ მეოთხე პერიოდში მწვრთნელებმა თავის გამოჩენის შანსი ახალგაზრდებს მისცეს. მოედანზე შესვლისას სხვებზე მეტი ოვაცია აზოტელმა მეფარემ **აკაკი დვალიშვილმა** დაიმსახურა. იგი ფარქვეშაც ბრძოლობდა და ერთი შორეული ტყორცნაც გამოიყენა. შეგახსენებთ, რომ აკაკი ამ ზაფხულს კადეტთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო.

დუდუ დადიანის თასის მეორედ დაუფლებამ მეტად გაახარა "აზოტის" მწვრთნელი **დავით უსტიაშვილი**: *"ამ ტურნირზე პირველი მატჩი ("მაკაბისთან") ძალიან ცუდად ვითამაშეთ, შემდეგი - დამაკმაყოფილებლად, დღეს - კარგად. "ვითას" დამარცხება მობილიზებისა და მტკიცე დაცვის წყალობით მოვახერხეთ. ალბათ თქვენც ატყობთ, რომ "აზოტი" თამაშს ნელ-ნელა აუმჯობესებს. ვიმედოვნებ, თვის ბოლომდე სათანადო კონდიციებს მივაღწევთ".*

დავით უსტიაშვილმა აღნიშნა, რომ სეზონის პირველი შეხვედრა მისმა გუნდმა ცუდად, ანუ ორიანზე ითამაშა, მეორე - სამიანზე, მესამე - ოთხიანზე, მეოთხე - ევროთასის მატჩი, "ამსტერდამის" წინააღმდეგ ფრიადზე თუ არ ჩავატარეთ, ოთხი ამერიკელით გაძლიერებული ჰოლანდიელების ძლევა გაგვიჭირდებაო.

ვაჟა **სიმონიშვილი**



მარცხნიდან: ვაკო ბეჟანიშვილი, იოვან სტეფანოვი, გიორგი მარკოიშვილი და დავით ბერძენიშვილი

## 7 ოქტომბერი

### ფინალი

**აზოტი–ვითა 88:66**

17:13, 17:14, 36:16, 18:23

აზოტი: გამყრელიძე (17 ქ. 10 პ. 3 ჩ), ბაბიაშვილი (4 ქ. 11 მ), სტეფანოვი (22 ქ. 9 მ), ბოისა (2 ქ), დიდია (6 ქ. 5 მ), ლეჟავა (16 ქ. 3 ჩ), ცეკვავა (2 ქ), ლიპარტელიანი (1 ქ), დანელიანი, გოგობერიშვილი (7 ქ), დვალიშვილი (5 ქ), ჭოჭუა (6 ქ. 3 პ).

ვითა: ძიძიგური (6 ქ), ნ. ნოზაძე (5 ქ), ბეჟანიშვილი (5 ქ), მ. ბერიშვილი (12 ქ. 9 მ. 4 ჩ), მარხვაშვილი (10 ქ), მარკოიშვილი (6 ქ), ბერძენიშვილი (9 ქ), ლ. ნოზაძე (2 ქ. 6 მ), გვიმრაძე (11 ქ), გასიტაშვილი.

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. კუპატაძე

### III ადგილი

**ავიამშენი–თსუ 89:66**

20:20, 23:20, 17:14, 29:12

ავიამშენი: ბერაია (4 ქ), შანიძე (14 ქ), მინაშვილი (23 ქ. 10 მ), ხოშტარია (11 ქ), ნიკოლაძე (7 ქ), კვიმსაძე (9 ქ), ტულუში (15 ქ. 11 მ. 8 პ), იმნაძე (6 ქ), ბარბაქაძე, როდუმტა (13 მ).

თსუ: ფანჩულიძე (10 ქ), ჩიტაშვილი (19 ქ. 8 მ. 7 პ. 5 ჩ), მათიაშვილი (15 ქ), ჯგერენაია (4 ქ), კეიდია (11 ქ. 11 მ), ელანიძე (2 ქ), ივანეიშვილი (5 ქ).

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, ნ. ანდღულაძე

### V ადგილი

**დინამო–მაკაბი 87:93**

23:24, 8:19, 24:28, 32:22

დინამო: გულისაბედაშვილი (10 ქ. 6 ჩ), ქლენტი (17 ქ. 6 პ. 3 ჩ), ლაფანაშვილი (15 ქ), ნანიტაშვილი (8 ქ), მაისურაძე (10 ქ. 8 მ. 3 პ), ათანელიშვილი (7 ქ), ახალკაცი (11 ქ), ფაიქრიძე (9 ქ).

მაკაბი: ხიზანიშვილი (2 ქ), ი. ბერიშვილი (8 ქ. 8 პ), დ. ბერიშვილი, სორდია (11 ქ), დოლიძე, გ. შერმადინი (40 ქ. 15 მ. 5 პ. 3 დ), იოსელიანი (1 ქ), ახმედიანი, ვაშაკიძე (6 ქ. 3 ჩ), კოლუაშვილი (2 ქ), კორკოტაძე (14 ქ. 4 პ), ს. შერმადინი (9 ქ. 7 მ).

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, ხ. გაბედავა

## 6 ოქტომბერი

### A ჯგუფი

**ავიამშენი–ვითა 75:87**

21:27, 14:19, 27:19, 13:22

ავიამშენი: შანიძე, მინაშვილი (19 ქ. 9 მ), ხოშტარია (21 ქ. 3 პ. 3 ჩ), ნიკოლაძე (7 ქ), კვიმსაძე (1 ქ), ტულუში (16 ქ. 4 პ), იმნაძე (4 ქ), ბარბაქაძე (3 ქ), როდუმტა (4 ქ. 7 მ), სუხიშვილი.

ვითა: ნ. ნოზაძე (10 ქ. 3 ჩ), ბეჟანიშვილი (15 ქ. 10 მ. 5 პ), მ. ბერიშვილი (11 ქ. 8 მ), მარხვაშვილი (14 ქ. 7 პ), მარკოიშვილი (9 ქ), ბერძენიშვილი (16 ქ), ლ. ნოზაძე (2 ქ), გვიმრაძე (10 ქ).

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. არეშიძე

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ვითა | 2 | 2 | 0 | 4 |
| 2. ავიამშენი | 2 | 1 | 1 | 3 |
| 3. დინამო | 2 | 0 | 2 | 2 |

### B ჯგუფი

**აზოტი–თსუ 75:60**

19:16, 21:21, 21:10, 14:13

აზოტი: გამყრელიძე (5 ქ. 10 მ. 7 პ), ბაბიაშვილი (17 ქ. 7 მ), სტეფანოვი (11 ქ), ბოისა (4 ქ. 8 მ), დიდია (6 ქ), ლეჟავა (31 ქ. 7 მ. 3 პ), ცეკვავა, გოგობერიშვილი (3 ჩ), ჭოჭუა (1 ქ).

თსუ: არწივიძე (2 ქ), ფანჩულიძე (11 ქ. 6 მ), ჩიტაშვილი (9 ქ. 3 პ), მათიაშვილი (8 ქ. 12 მ. 5 ჩ), მამაცაშვილი (4 ქ. 7 მ), ჯგერენაია (2 ქ), კეიდია (12 ქ. 7 მ), ხეცურიანი (9 ქ), ტყეშელაშვილი (3 ქ).

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. აზოტი | 2 | 1 | 1 | 3 |
| 2. თსუ | 2 | 1 | 1 | 3 |
| 3. მაკაბი | 2 | 1 | 1 | 3 |

## ბორისა მთელი ძალით ათამაშდა

**რუსულ** საკალათბურთო სუპერლიგაში **ვლადიმერ ბოისას** "სპარტაკ-პრიმორიემ" შინ 81:68 მოუგო სანკტ პეტერბურგის "სპარტაკს". სეზონის პირველი გამარჯვების მთავარი შემოქმედი ქართველი ლეგიონერი ვლადიმერ ბოისა გახლდათ. ვოვა ორივე გუნდში საუკეთესო იყო 19 ქულით, 8 მოხსნით, 3 პასითა და 2 ჩაჭრით. თავიდან სტუმრები დაწინაურდენ, მაგრამ ბოისას წყალობით "პრიმორიემ" თამაში ჯერ გაათანაბრა, შემდეგ კი დაწინაურდა. ბოისას განსაკუთრებით საშუალო მანძილიდან სროლებში უყოჩაღია.

ძიუდო | ევროპის ჩემპიონატი. U21

# ლიპარტელიანი, ბაზანდარაშვილი, მუქერია

**პრაღაში**, გუშინ დასრულებულ ძიუდოისტთა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატში ჩვენმა ფალავნებმა დიდი წარმატებით იჭიდავეს - ტურნირი ოქროს 1 და ვერცხლის 2 მედლით დაასრულეს. კონტინენტის ჩემპიონი **ვარლამ ლიპარტელიანი** (90) გახდა, **ზვიად ბაზანდარაშვილმა** (73) და **ლევან მუქერიამ** (+100) მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლები წააგეს.

სამივე ფალავანმა კარგა ხნის წინათ მოიხვეჭა პერსპექტიულის სახელი. მუქერია ჭაბუკთა ნაკრებში სისტემატურად ხვდებოდა და საერთაშორისო ტურნირებში ჭიდაობის გვარიანი გამოცდილებაც გააჩნია, დანარჩენები კი ამ მხრივ ვერ დაიკვეხნიან. სამივე ფალავანი ამ რანგის შეჯიბრების დებიუტანტია. სხვებთან ერთად, ლიპარტელიანმა ამ წარმატებით ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტსა და კლუბ "საგარეჯოს" დამფუძნებელ გია ნაცვლიშვილსაც გაუმართლა იმედები. იმის მიუხედავად, რომ მისთვის ეს პირველი სერიოზული უცხოური წარმატებაა, სწორედ ნაცვლიშვილის დაჟინებით, კლუბი მას ყოველწლიურად უფორმებდა კონტრაქტს, რითაც ხელს უწყობდნენ ზრდა-დაოსტატებაში.

ლიპარტელიანმა 5 შეხვედრიდან სამი წმინდად მოიგო. აქედან ორი მეტოქე პირველ ორ წრეში - ჩეხი მიშალ კრპალეკი და მოლდოველი ივან რემარენკო იპონზე დასცა, ნახევარფინალში კი ძალიან ძლიერ მეტოქეს, საბერძნეთში გადახვეწილ ტენტორე მასმანიდისს (თედორე აბელაშვილს) ორი ვაზარი გაუკეთა. ჩვენებურს ყველაზე მეტად მეოთხედფინალში გაუჭირდა ფრანგ



ზვიად ბაზანდარაშვილი ფინალში ნაგების შემდეგ

ედვინ ჰოვანისიანთან, რომელსაც კოკათი აჯობა. ფინალში საქმე სუფთა მოგებამდე არ მისულა, მაგრამ გერმანელი დინო პფაიფერის დამარცხება დიდად არც გასჭირვებია - მეტოქეს კოკაც აართვა, იუკოცა და ვაზარიც, თავად კი ქულა არ დაუთმია.

ფინალამდე გორელი ზვიად ბაზანდარაშვილიც ძლევამოსილად მივიდა, მაგრამ იქ რუს მიხაილ მაჩინთან წმინდად დამარცხდა. ტურნირზე მან 5 შეხვედრა გამართა. აქედან 4 მოიგო. მათ შორის, 3 - წმინდად. საწყის ორ შეხვედრაში საბერძნეთში გადახვეწილი ვასილიოს კვაშილავა და უნგრელი აკოშ ჰერედი დააიპონა. მერე გერმანელ კრისტოფერ ვოლკს ქულებით გაუსწორდა, ნახევარფინალში კი თურქ სერჰატ ისმაელ კამბურს დაახლოებით 2 წუთში სუფთად გაუსწორდა. ფინალში რაც მოხდა, უკვე გითხარით, მაგრამ ეს ნაგება მის შესაძლებლობებს ჩრდილს ვერ აყენებს. ბოლო წლებში მან საგრძნობლად მოუმატა, შინაურ ტურნირებში ეს ტექნიკური მოჭიდავე 73-ზე არანაკლები წარმატებით გამოდის 81-შიც, სამომავლოდ რომელ წონაშიც უნდა დარჩეს, ლიდერებს ნამდვილად დაუფრთხობს ძილს.

ლევან მუქერია პირველ ევროპულ მედალთან 2005 წელს, იტალიურ ლინიანოში, ევროპის ახალგაზრდულ ფესტივალზეც ახლოს იყო, მაგრამ ბრინჯაოსთვის შეხვედრაში ლამის მოგებული ბრძოლა წააგო და მეხუთეზე დარჩა. კარგად მახსოვს, როგორ იჯდა მაშინ გამოსასვლელთან და სახეზე ხელებაფარებული და გალახული ბავშვივით ტიროდა. მუქერიამ ახლა კაცურად აიღო რევანში - რუმინელს სტანჩუს ნახევარფინალში გადაეყარა და თუმცა თავიდან გაფრთხილებით აგებდა, შეხვედრის მიწურულს იპონზე დააგდო. მუქერია პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი რუს მაგომედ ნაზმუდინოვს ვაზარით აჯობა. მეოთხედფინალში ბელარუსი გეორგი ივანკო კიდევ უფრო დაჩაგრა - ჯერ ვაზარი აართვა, მერე კი მთლად იპონზე დასცა. სამწუხაროდ, ფინალში თავადაც ასე სუფთად წააგო ჰოლანდიელ ჯეფრი ვან ემდემთან და მთელი ჯავრი ტატამზე იყარა, რომელსაც მძლავრად დაჰკრა მუშტი. ალსანიშნავია, რომ ჰოლანდიელი ფიზიკურად მასზე ბევრად დიდი იყო. არადა, ტანად პატარა არც მუქერიაა.

სამწუხაროდ, ჩვენი გუნდის სხვა წევრებმა ამჯერად ვერაფრით გაგვახარეს - ვერც ერთი მათგანი შვიდეულშიც კი ვერ მოხვდა. განსაკუთრებით მოულოდნელი **ამირან პაპინაშვილის** (60) წარუმატებლობაა, რომელმაც შარშან ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში რამდენიმე ტურნირზე საქართველოსა თუ უცხოეთში საკმაოდ დამაჯერებლად იჭიდავა. თუმცა გამოუცდელი და ახალბედა არც **სანდრო იაკობაშვილს** (66), **ნიკოლოზ კუციასა** (81) და **კონსტანტინე მუკვანს** (100) ეთქმით. მეტიც - თითქმის ყველა მათგანი ახლავე მიიჩნევა ეროვნული ნაკრების სათადარიგო წევრად, მაგრამ კუციას გარდა, ყველამ იმდენად სუსტ ფალავნებთან წააგო, მერე სანუგეშოში გადართვის საშუალებაც არ მიეცათ.

ირაკლი **თავაძე**

## რიგის კომერციული...

**რიგაში** დამთავრდა კომერციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით გამოვიდა და წარმატებითაც იჭიდავა - 1 ოქროს, 3 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. **ჩემპიონი ლაშა გუჯეჯიანი** (+100) გახდა, **ზაზა კედელაშვილმა** (66), **დავით ქევხიშვილმა** (73) და **ირაკლი ცირეკიძემ** (90) ვერცხლის მედლები მოიპოვეს, **ნესტორ ხერგიანი** (60) კი მესამეზე გავიდა.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი — მსოფლიო ჩემპიონატი. U 20

## ცამეტი ჩვენიანი ოციანეებში

ერევანში, 2 ოქტომბერს დაიწყო 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატმა გოგონათა და ჭაბუკთა შორის. საქართველოდან სომხეთის დედაქალაქში 13 მოჭადრაკე გაემგზავრა - 9 ვაჟი და 4 გოგონა: **დავით ჯოჯუა, თორნიკე სანიკიძე, გიორგი მარგველაშვილი, ლევან ბრეგაძე, დავით ბენიძე, ზურაბ ჯავახაძე, გაიოზ ნიგალიძე, ალექსი ტერ-კარაპეტიანი, ბელა ხოტენაშვილი, სოფიკო გურამიშვილი, სალომე მელია, ელისაბედ ზარქუა** და **მადონა ბოკუჩავა.**

როგორც ვაჟებში, ისე გოგონებში გამარჯვება ძალიან რთულია - ჭადრაკის გაახალგაზრდავების გამო 20-წლამდე ასაკის უამრავი დიდოსტატია მსოფლიოში; ერევანშიც ბევრი ცნობილი მოჭადრაკე ვიხილეთ: ჩინელი **ვანკ ჰაო** (2643); ჰოლანდიელი **დანიელ სტელვახენი** (2639); ებრაელი **მაქსიმ როდშტეინი** (2615); ჩეხი **ვიქტორ ლაზნიჩკა** (2610); რუსი **ილდარ ხაირულინი** (2567); ეგვიპტელი **ამირ ბასემი** (2561) და სხვები.

ქალებში პირველი ნომერი ინდოელი **ჰარიკა დრონოვალია** (2480); მეორე - რუსი **ელენა ტაიროვა** (2391); მესამე მონღოლი **ბახტიაგ მონგონტული** (2389). ქართველები ფავორიტებად უფრო ქალებში ითვლებიან: **ბელა ხოტენაშვილი** მეცხრეა (2328); **სოფიკო გურამიშვილი** (2307) - მეათე. ჩვენგან საუკეთესო მაჩვენებელი **სალომე მელიას** აქვს - 2365, მეხუთე.

სამი ტურის შემდეგ ხოტენაშვილი და გურამიშვილი მაქსიმალური შედეგით ლიდერობდნენ, მაგრამ მეოთხეში ქულები დაკარგეს - ბელამ წააგო, სოფიკომ კი ყაიმით ითამაშა. მეხუთე ტურში გურამიშვილი შავებით დამარცხდა დრონოვალისთან, ბელამ კი მოიგო და 4 ქულით ლიდერთა შორის დაბრუნდა. ცუდად დაიწყო ჩემპიონატი მელიამ, თუმც მეხუთე ტურისთვის სამი ქულის მოგროვება მაინც მოახერხა და შანსი აქვს წარმატებისთვის იბრძოლოს.

მეექვსე ტურის წინ ხოტენაშვილს ოთხი ქულით მეოთხე ადგილი უკავია, გურამიშვილი 3,5-ით მეცხრეა; მელია სამით - მეთვრამეტე; ზარქუას და ბოკუჩავას ორი-ორი ქულა აქვთ და შესაბამისად 39-ე და მე-40-ე ადგილზე არიან.

ჭაბუკებში უფრო ცუდად გვაქვს საქმე: საუკეთესო შედეგი დავით ჯოჯუას აქვს - 3 ქულა და 21-ე ადგილი. თორნიკე სანიკიძე ასევე 3 ქულით ოცდამეათეა; მეორმოცეა გიორგი მარგველაშვილი - 2,5 ქულა. ამდენივეთი 42-ეა ლევან ბრეგაძე. სხვათა შედეგები ასეთია: 57. დავით ბენიძე - 2 ქულა; 59. ზურაბ ჯავახაძე - 2; 60. გაიოზ ნიგალიძე - 2; 78. ალექსი ტერ-კარაპეტიანი - 0,5.

სულ ვაჟებში 80 მონაწილეა, გოგონებში - 58.

**ზვიად შათირიშვილი**

ევროპის საკლუბო ჩემპიონატი

## ჩემპიონობას ვშორდებით

თურქულ ქემერში მიმდინარე ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე ქართული "ინტერპლასტ-თბილისი" პირველი ადგილიდან გვარიანად ჩამოჩეს. წინ "მონტე-კარლო" გაიჭრა და ისეთი შემადგენლობა ჰყავს, პირველობის ხელიდან გამშვები არ ჩანს. არადა, ქართველებს კი შეგვეძლო ფრანგების დამარცხება.

მეოთხე ტურში, შაბათს დავუპირისპირდით "მონტე-კარლოს". პირველ დაფაზე **ქეთევან არახამია** შავებით ეთამაშებოდა **ჰუმპი კონერუს** და დამარცხდა. მეორეზე **სოფიო გვეტაძემ** თეთრებით **პია კრამლინგთან** ქულა გაიყო; მესამეზე **ნანა ძაგნიძემ** მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონი **ჭუ ჩენი** დაამარცხა შავებით და მატჩის ბედი **მაია ლომინეიშვილი-მონიკა სოცკოს** პარტიას უნდა გადაეწყვიტა. ქართველი თეთრებით იყო და უპირატესობაც მოიპოვა, მოგებაც შეეძლო, მაგრამ ენდშპილში მთლად ზუსტი ვერ იყო და ყაიმით დაკმაყოფილდა.

ტურნირის უძლიერეს გუნდთან 2:2 კარგი შედეგი იყო, მთავარი მომდევნო შეხვედრებში წარმატება იყო. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. მეხუთეში რუსულ "კრასნოტურინსკს" შევხვდით. პირველ დაფას **ლელა ჯავახიშვილი** დაუბრუნდა და თეთრებით ევროპის 2005 წლის ჩემპიონ **ეკატერინა ლაჰნოსთან** დიდხანს არ უბრძოლია - ყაიმი. მეორეზე კვლავ გვეტაძე ვიხილეთ - მისი მეტოქე ჩინელი **ჰიუ იფანი** იყო. ჩინელი რეიტინგით ბევრად სჯობს ქართველს და ჩვენდა სამწუხაროდ, დაამტკიცა კიდეც უპირატესობა. ჩამოვრჩით და მესამე-მეოთხე დაფების იმედზე ვიყავით, სადაც ძაგნიძე და ლომინეიშვილი თამაშობდნენ. ეს წყვილი აქამდე საუკეთესო იყო გუნდში. ძაგნიძემ კვლავ შესანიშნავად ითამაშა და **ეკატერინა კოვალევსკაია** დაამარცხა (ძაგნიძემ ზედიზედ მეხუთე პარტია მოიგო ამ ტურნირზე). ამით ანგარიში გათანაბრდა. საბოლოო შედეგი ისევ ლომინეიშვილს უნდა დაეფიქსირებინა.

ქართველმა კარგადაც გაითამაშა დებიუტი, უპირატესობა მოიპოვა და შუა თამაშში პაიკიც მოინადირა. ყურადღებით თამაში მართებდა მხოლოდ და ალბათ გამარჯვება შორს არ იქნებოდა, მაგრამ ლომინეიშვილმა რატომღაც მსუბუქი ფიგურის შეწირვა მოისურვა და ალმოჩნდა, რომ ზუსტად ვერ გათვალა: **ტატიანა შუმიაკინამ** თავი კარგად დაიცვა, შეტევა მოიგერია და ზედმეტი ფიგურით გადავიდა ენდშპილში. აქ კი მოგებას მხოლოდ ტექნიკური საშუალებები სჭირდებოდა, რაც შუმიაკინას სათანადო აღმოაჩნდა. 2,5:1,5 რუსების სასარგებლოდ.

"მონტე-კარლომ" "ლადია კაზანი" 2,5:1,5 დაამარცხა და 9 ქულით ლიდერობს. "თბილისს" 7 ქულა აქვს. ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტური დარჩა.

**ზვიად შათირიშვილი**

რაგბი — საქართველოს თასი. ნახევარფინალი

## თბილისური ფინალი ქუთაისში: ლოკომოტივი-ყოჩები



ლელო-ლოკომოტივი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**6 ოქტომბერი. ვაკე**

**ლელო-ლოკომოტივი 23:25**

ლელო: (15-9) ყიასაშვილი, ზაალიშვილი, თოდუა, ფირფილაშვილი, ცერცვაძე, ხმალაძე, ჭინჭარაული; (1-8) სანიკიძე, ცხოვრებაშვილი, სხილაძე, იორდანაშვილი, ჯალალონია, მძინარიშვილი, სარდანაშვილი, ახალაია - *2ლ (ხმალაძე, ცერცვაძე); 2გ,3ს (ყიასაშვილი)*

ლოკომოტივი: (15-9) ასათიანი, მარსაგიშვილი, ნადირაძე, ბერძენიშვილი, გუგავა, კვინიხიძე, ლვინჯილია; (1-8) პეტრიაშვილი, ხეჩიკოვი, მალალდაძე, გუჯაბიძე, კახიანი, ნიშნიანიძე, სპანდერაშვილი (ზ. მაისურაძე 41, სბ), ბერიშვილი - *3ლ (გუგავა, ნიშნიანიძე, კვინიხიძე); 2გ,2ს (კვინიხიძე*

მსაჯი: მ. ჩაჩუა

**საქართველოს თასის ფავორიტების შეხვედრას მთელი თამაშის მანძილზე შესატყვისი დაძაბულობაც თან ახლდა. გამარჯვებულის ვინაობა მხოლოდ ბოლო წამებზე გახდა ცნობილი, როცა ირაკლი ყიასაშვილმა 45 მეტრიდან საჯარიმო ვერ გაიტანა და ფინალის საგზური "ლოკომოტივს" ერგო 25:23.**

არადა, მატჩის დასაწყისი ლელოელებს ცუდს არაფერს უქადდა. მათი პირველივე შეტევა 10 ნომერმა **ლაშა ხმალაძემ** ლელოთი დაასრულა, რომელიც ყიასაშვილმა გარდასახა - 7:0. ეს ანგარიში 32-ე წუთამდე უცვლელი იყო. აქ ისევ ყიასაშვილმა გამოიჩინა თავი და თავისიანები საჯარიმო კიდევ უფრო დააწინაურა - 10:0.

ლოკომოტიველმა **ბობა კვინიხიძემ** საპასუხო საჯარიმო 18 მეტრიდან სამ წუთში გაიტანა. 3:10. ორი წუთის შემდეგ რკინიგზელებმა ანგარიშის გათანაბრებაც შეძლეს. ლელოელებმა მოედნის ცენტრში ხელდახელ ბურთაობისას უხეში შეცდომა დაუშვეს, რითაც კარგად ისარგებლა "ლოკომოტივის" გარემარბმა **ლექსო გუგავამ** და ცენტრიდან მეტოქის ლელომდე ირბინა. კვინიხიძემ კარის წინიდან გარდასახა. 10:10.

პირველი ნახევარი ამით არ დასრულებულა. ყიასაშვილმა საჯარიმოდან კიდევ ერთხელ დაარტყა ზუსტად და თავისი გუნდი ასევე კიდევ ერთხელ დააწინაურა - 13:10.

მეორე ნახევრის დასაწყისში ისევ ლელოს უპირატესობა აღინიშნა, ყიასაშვილმა საჯარიმოდან სხვაობა 43-ე წუთზე გაზარდა 16:10. ამის შემდეგ "ლოკომოტივმა" შეცვლაზე შემოსული, ეროვნული ნაკრებიდან მობრუნებული მესამეხაზელის **ზვიად მაისურაძის** წყალობით შერკინებაში თამაში დაალაგა და ნელ-ნელა უპირატესობაც მოიპოვა. 53-ე წუთზე რკინიგზელებმა ხუთმეტრიანი დერეფნიდან მოლი ააგორეს, მიაწვნენ, მაისურაძე მოულოდნელად მოწყდა, მაგრამ ზედ ლელოს ხაზთან შეაჩერეს, თუმცა მან შეძლო იქვე მიმყოლი **გიგა ნიშნიანიძისთვის** აეგდო ბურთი. ლელო კვინიხიძემ გარდასახა - 17:16, "ლოკომოტივი" პირველად გავიდა წინ, ორ წუთში კი კვინიხიძემ საჯარიმოს გატანაც შეძლო - 20:16.

მაგრამ "ლელო" დანებებას არ აპირებდა. 59-ე წუთზე მათ მეტოქის ოცდაორთან საკუთარი აუტი მოიგეს, რამდენიმე მოკლე დარტყმით წინ წაიწიეს, მერე ბურთი მარცხნივ გრძელ ფრთაზე ჩაათამაშეს და **თორნიკე ცერცვაძემ** კიდესთან ახლოს დაალელოვა მეტოქე. გარდასახვა ყიასაშვილმა კიდიდან ზუსტად დაარტყა - 23:20.

"ლოკომოტივმა" პასუხი ათ წუთში გასცა. რკინიგზელებმა თითქმის იმავე პოზიციიდან ააგორეს მოლი, მაისურაძე ისევ მოსწყდა, მაგრამ ამჯერად მოკლე ფრთიდან შეუტია და ლელოს ხაზთან მიახლოებულმა შიგნით კვინიხიძეს შემოუგდო. ბობამ ლელო კი გაიტანა მაგრამ გარდასახვა გაუცუდდა - 25:23.

მატჩის დასრულებამდე საკმარისი დრო იყო დარჩენილი. თუმცა აღარაფერი შეცვლილა. არადა ლელოელ ყიასაშვილს თავისიანებისთვის გამარჯვების მოტანაც შეეძლო. მან ორი საჯარიმო ვერ გაიტანა, რაც "ლელოს" დამარცხებად დაუჯდა.

**7 ოქტომბერი. სინათლე**

**ყოჩები-დინამო 26:10**

ყოჩები: (15-9) კუპრეიშვილი, გეგენავა, ჟამუტაშვილი, ადანაია, ნიჟარაძე სბ, კიკნაძე, ხელაძე; (1-8) ყალიჩავა, მეტრეველი (კიკნაველიძე 38), ასეიშვილი, ბელაშვილი, არჩუაშვილი, ახვლედიანი (თოთაძე 65), კუჭუხიძე (კობახიძე 38), დგებუაძე სბ (ჯოხაძე 75); *2ლ (კობახიძე, კიკნაძე); 2გ,3ს,ა (კიკნაძე)*

დინამო: (15-9): ოდიშარია, აგიაშვილი, ხონელიძე, მაისურაძე (ლირსიაშვილი 68), შიოშვილი (გრუდკო 59), ავლოხაშვილი, რამიშვილი; (1-8) გაგნიძე, სვანიძე, მირცხულავა, ხორბალაძე, ცხადაძე, ხვიჩია, ჭიჭინაძე, აზალაძე სბ - *ლ (მირცხულავა); გ,ა (ოდიშარია)*

მსაჯი: უ.ნარიმანიძე.

**მეორე ნახევარფინალისტის ვინაობა "ყოჩებისა" და "დინამოს" დაპირისპირებაში გაირკვა. დამამშვიდებელ ჯგუფში გამარჯვებულმა დინამოელებმა მეტოქეს, რომელიც მოწინავეთა შორის საუკეთესო იყო, მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, თუმცა მეორე ტაიმის შუაწელში მაინც გატყდნენ და ფინალში "ყოჩებმა" გააღწიეს 26:10.**

ანგარიში 30-ე წუთზე გაიხსნა. თავისიანების არეკნით დაწინაურება 35 მეტრიდან ყოფილმა "ყოჩმა" და ამჟამად "დინამოს" ფულბეკმა **დათო ოდიშარიამ** შეძლო. ანგარიშის გათანაბრებმა "ყოჩებმა" ტაიმის მიწურულსლა შეძლოს **დავით კიკნაძის** ზუსტი საჯარიმო დარტყმის შემდეგ - 3:3.

დაძაბულობა არც მეორე ტაიმში შენელებულა. "ყოჩების" თამაში უფრო ორგანიზებული გამოცდილი ვეტერანის, **კახა კობახიძის** შეცვლაზე შემოსვლის შემდეგ გახდა. კიკნაძემ ტაიმის პირველ 15 წუთში ჯერ არეკნი გაიტანა, შემდეგ საჯარიმოც ზუსტად დაჰკრა და 53-ე წუთისთვის თავისი გუნდი ექვსი ქულით დააწინაურა - 9:3.

გადამწყვეტი უპირატესობა "ყოჩებმა" გააზრებული ფეხით თამაშის შემდეგ მოახერხა. 65-ე წუთზე, კობახიძის მიერ მეტოქის ზურგსუკან დაკიდებული ბურთისთვის ბრძოლაში, "ყოჩებმა" ხუთმეტრიანი დერეფანი გამოიმუშავა, მოლი ააგორა და და კობახიძემ ლელო გაიტანა. გარდასახვა კიკნაძემ ზუსტად დაარტყა - 16:3.

ორ წუთში, მოედნის საკუთარი ნახევრიდან შეტევა ასევე ფეხით გადაკიდებით კიკნაძემ დაიწყო. ბურთთან ყველაზე უმალ შუამარბი **დავით ჟამუტაშვილი** გაჩნდა, რომელიც იქვე შებოჭეს, მაგრამ ცხრა ნომერმა **გოგა ხელაძემ** რაკიდან ბურთი სწრაფად გამოიტანა და იქვე კიკნაძეს აუგდო, რომელიც ორ მოწინააღმდეგეს შორის გაძვრა და ლელომდე 30 მეტრი მარტომ ირბინა, გარდასახვაც თვითონვე გაიტანა 23:3. სამ წუთში მანვე საჯარიმოც შეაგდო - 26:3.

დარჩენილ დროში "დინამომ" ერთი კიდევ გაიბრძოლა და საკმაოდ ეფექტური ლელოს გატანაც მოახერხა. მოედნის საკუთარი ნახევრიდან მეტოქის ხაზი ჯერ 9 ნომერმა **ლევან რამიშვილმა** გაჭრა, მერე ბურთი მეორეხაზელმა **მამუკა ცხადაძემ** გაიტაცა და თითქმის ლელომდე მიაღწია, იქ წარმოქმნილი რაკიდან ბურთი მესამეხაზელმა **ლაშა აზალაძემ** გამოიტანა და ხაზსიქით გადაალწია. ოდიშარიამ გარდასახა - 10:26.

**მეტის მიღწევა "დინამომ" ბოლო ხუთ წუთში ველარ მოახერხა. შედეგად 27 ოქტომბერს, ქუთაისში, ფინალში "ლოკომოტივის" მეტოქე "ყოჩები" იქნება.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

მძლეოსნობა

## თბილისიც კენიელებისაა

გუშინ, თბილისმა ოლიმპიური პრიზიორის **მაია აზარაშვილის** სახელობის საერთაშორისო გარბენს უმასპინძლა. საქართველოს დედაქალაქში ეს შეჯიბრება მეორედ გაიმართა, მსოფლიოს 12 ქვეყნის მძლეოსნებმა 10-კილომეტრიანი დისტანცია სპორტის დეპარტამენტის შენობიდან, რუსთაველის გამზირისა და ბარათაშვილის ხიდის გავლით, ეროვნულ სტადიონამდე დაფარეს.

ფინიშზე პირველმა კენიელმა მორბენალმა **ჯონათან კოლეგეიმ** მიირბინა და ათასი დოლარიც მას დარჩა. მეორე ადგილზე ასევე კენიელი **ელიშა სავე** გავიდა, მესამეზე კი - უკრაინელი **ვიაჩესლავ პრიხოდკო**. ქართველთაგან საუკეთესო **გიორგი შეკრელიძე** იყო, რომელიც გამარჯვებულს თითქმის ორწუთნახევრით ჩამორჩა. ქალებშიც კენიელმა სპორტსმენმა იმარჯვა, **სუზან კურუიმ** შანსი არავის დაუტოვა და 800 დოლარი მიიღო. საუკეთესო ქართველი აქაც მეექვსე იყო, **გიული დეკანაძე**. გამარჯვებულები თავად სეულის ოლიმპიადის პრიზიორმა მაია აზარაშვილმა, ეროვნული სტადიონის დირექტორმა **ირაკლი მეძმარიაშვილმა**, სპორტის დეპარტამენტის შეფმა **დავით ნამგალაურმა** და სხვებმა დააჯილდოეს.

ქალები: სუზან კურუი (კენია) - 35.33:28, კატარინა კორმანენკო (უკრაინა) - 36.17:84, იულია ვილენარი (გერმანია) - 36.25:10... 6. გიული დეკანაძე (საქართველო) - 38.28:14.

ვაჟები: ჯონათან კოლეგეი (კენია) - 30.41:90, ელიშა სავე (კენია) - 30.45:85, ვიაჩესლავ პრიხოდკო (უკრაინა) - 32.31:64.. 6. გიორგი შეკრელიძე (საქართველო) - 33.05:76

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



გამარჯვებულებს ჯილდოდ ქართული ღვინოც ერგოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

IRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

# ბრწყინვალე ოთხეული



ფრანგები და ინგლისელები ზეიმობენ





ფიჯელთა ლოცვა თამაშის შემდეგ

არ ვიცი, რამდენად არის ავსტრალიის ან ზელანდიის ნაგება მოულოდნელობა. აი, ორივეს ერთად დამარცხება კი ნამდვილად სენსაციაა. აქამდე გამართულ ხუთ მსოფლიო თასზე ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ან ერთს ან მეორეს ფინალში არ ეთამაშოს, არათუ ნახევარფინალში... აი, ფიჯის რომ მოეგო, რა თქმა უნდა, სენსაცია იქნებოდა... შოტლანდიასაც ჰქონდა შანსი.

**6 ოქტომბერი. მარსელი**

**ავსტრალია-ინგლისი 10:12**

ავს: (15-9) ლეითემი, ეშლი-კუპერი (მიჩელი 64), მორტლოკი, გიტო, ტუკირი, ბარნსი, გრეგანი; (1-8) დანინგი, მური (ფრაიერი 73), შეპერდსონი (ბაქსტერი 64), შარპი, ვიკერმანი, ელსომი (მაკმენიმენი 64), სმითი (ვოო 64), პალუ (ჰოილზი 75) - *ლ (ტუკირი); გ,ს (მორტლოკი)*

ინგ: (15-9) რობინსონი, საკი, ტეიტი, ქეთი (ფლუდი 64), ლუსი, ვილკინსონი, გომერსოლი (რიჩარდსი 22-28); (1-8) შერიდანი, რიგანი (ჩატერი 52), ვიკერი (სტივენსი 59), შოუ, ქეი, ქორი, მუდი (ვორსლი 66), ისტერი (დალალიო 69) - *4ს (ვილკინსონი)*

მსაჯი: ალენ როლანი (ირლ)

ახლა ხომ ვერავინ იტყვის, რომ ავსტრალია პირადად დაამარცხა **ჯონი ვილკინსონმა**. ჯონიმ შაბათს გაიტანა შვიდიდან ოთხი საჯარიმო: ოთხივე - გასატანი და დანარჩენი - არცთუ გაუტანლები. ავსტრალია დაამარცხა მთელმა ინგლისმა და საკუთარმა სისუსტემ.

სტატისტიკური მონაცემების უმრავლესობა დაახლოებით თანაბარი იყო - ბურთი, ტერიტორია, 22, ბოჭვების რაოდენობა. ამასთან, ავსტრალიის უკანა ხაზი გაცილებით უკეთ ბურთაობდა და უფრო ხშირად ჭრიდა უპირატესობას ხაზს. მეტი ბურთი რომ ჰქონდათ, ეს აუცილებლად გადაიზრდებოდა ქულებშიც, მაგრამ...

საიდან უნდა ჰქონოდა ავსტრალიას მეტი ბურთი? და აი, ნაგების გასაღებიც; ავსტრალიის შერკინებამ პირნმინდად დათმო ძალისმიერი თამაში - მოლსა და რაკში წარმოუდგენლად ბევრი, 9 საკუთარი ბურთი დაკარგა და ამდენივე შეტევის შესაძლებლობა დაუთმო მეტოქეს. ინგლისის ასეთივე მაჩვენებელი სულ 5 დაკარგული ბურთია და ამას დაუმატეთ ავსტრალიელთა მიერ ნაგებული 2 საკუთარი შერკინება. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ბოლო 20 წუთში ინგლისელები ჯარიმის ნაცვლად შერკინებას ითხოვდნენ და მეტოქის ბურჯების უმწეობის წყალობით გვარიანი დროც გაიყვანეს.

პირველი მეოთხედფინალის ქრონოლოგია ასეთი იყო. პირველ 15 წუთში **სტირლინგ მორტლოკმა** სამიდან ერთი საჯარიმო გაიტანა - 3:0, ავსტრალია. 23-29-ე წუთები: **ვილკინსონი**, სამიდან 2 ზუსტი ჯარიმა - 6:3, ინგლისი. ერთადერთი ლელო: 34 წუთზე ავსტრალიამ ხანრძლივი შეტევის შემდეგ გრძელ ფრთაზე ჩაათამაშა ბურთი, **ბერიკ ბარნსმა** ცერად ირბინა, ხელის ერთი ცრუ დაქნევის შემდეგ მორტლოკს გაატანა, ლელოსთან ახლოს გამართულ რაკში 9 ნომრად დადგა და მიაწოდა **ტუკირის**, რომელმაც ბოჭვის შემდეგაც მოახერხა ბურთის ხაზსიქით გადადება. **მორტლოკმა** გარდასახა - 10:6, ავსტრალია.

მეორე ტაიმში ინგლისი ძალიან უფრთხილდებოდა ბურთს. 52-ე და მე-60 წუთებზე **ვილკინსონმა** ორჯერ ზუსტად დაარტყა - 12:10, ინგლისი. ავსტრალია მუდმივად ცდილობდა ბურთის ხაზზე გატანას და ინგლისს ძალიან უჭირდა მორტლოკის შეკავება. ავსტრალიის კაპიტანს მუდმივად წინ მიჰქონდა ბურთი, მაგრამ ინლისმა უჯარიმოდ დაიცვა თავი, არც 22-ში შეუშვა მეტოქე და ავსტრალია იძულებული გახდა, არეკნებზე გადასულიყო - **ლეითემმა და ბარნსმა** (54, 62) ორჯერ ააცილეს შორიდან. ამას მოჰყვა ვილკინსონის უშედეგო არეკნი და აცილებული საჯარიმო ზუსტად ცენტრიდან. და კულმინაცია 78-ე წუთზე: **სტირლინგ მორტლოკი**, 45-ე მეტრიდან და ძალიან მახვილი კუთხიდან საჯარიმოს ურტყამს და ოდნავ აცილებს!

ინგლისმა მეოთხედფინალში მეორედ დაამარცხა ავსტრალია (პირველად 1995 წელს, რობ ენდრიუს არეკნით) და ამას დაუმატეთ მოგება წინა მსოფლიო თასის ფინალში, სიდნეიში. 1991 წლის, თვიქნემის ფინალიც სტუმარმა გუნდმა, ავსტრალიამ მოიგო.

**6 ოქტომბერი. კარდიფი**

**ზელანდია-საფრანგეთი 18:20**

ზელ: (15-9) მაკდონალდი, როკოთოკო, მულიაინა, მაკალისტერი სბ 46, სივივატუ, კარტერი (ევანსი 56, ტოეავა 71) კელეჰერი (ლეონარდი 56); (1-8) ვუდკოკი, ოლივერი (ჰორი 56), ჰეიმენი, რობინსონი (ჯეკი 50), ვილიამსი, კოლინზი (მასოი 63), მაკქოუ, სოოიალო - *2ლ (მაკალისტერი, სოოიალო); გ,2ს (კარტერი)*

საფ: (15-9) ტრაი, კლერი, მარტი, ჟოზიონი, ემონსი (დომინისი 69), ბოსი (მიშალაკი 68), ელისალდი; (1-8) მილუ (პუ 41), იბანესი (შარჟევსკი 52), დევილიე, პელუ (შაბალი 52), თიონი, ბეტსენი (არინორდოკი 5), დუზოტუარი, ბონერი - *2ლ (დუზოტუარი, ჟოზიონი); 2გ (ბოსი, ელისალდი); 2ს (ბოსი)*

მსაჯი: ვეინ ბარნსი (ინგ)

პირველი ტაიმი ინწურებოდა, საფრანგეთი უიმედოდ, 0:13 აგებდა და სრულიად ნამხდარი იყო. როგორც **ბერნარ ლაპორტმა** წინასწარ გამოაცხადა, **ლიონელ ბოსი** და **დამიენ ტრაი** ფეხით უბაგუნებდნენ ბურთს მეტოქის ნახევარზე და რა? არაფერი, მასპინძლები უბურთოდ იყვნენ დარჩენილები. ვერც კარში უმიზნებდნენ: ტრაიმ -არეკნი, ბოსიმ და **ელისალდმა** თითო საჯარიმო ააცილეს.

**დანიელ კარტერმა** კი ორი ჯარიმა გაიტანა (14, 31), ხოლო 15-20 წუთებზე **ლუკ მაკალისტერმა** მოაწყო ორი გარღვევა. პირველის შემდეგ **ალი ვილიამსის** ლელო ვიდეორეფერიმ გააუქმა, მაგრამ მალე მაკალისტერმა **ჯერი კოლინზთან** გაითამაშა რალაც საფეხბურთო "კედლის" მსგავსი და მიზანსაც უწია. კარტერმა გარდასახა. ჯამში - 13:0, ხოლო მე-40 წუთზე ბოსიმ ნერვები მოთოკა და 40 მეტრიდან გაიტანა - 3:13.

45-ე წუთი. ბოსის ლელოში ჩაკიდების შემდეგ მაკალისტერი უბურთოდ ბოჭავს ჟოზიონს, სინბინში მიდის და ფრანგების 10 ნომერს ახლოდან გააქვს ჯარიმა - 6:13. კარტერი აცილებს არეკნს, ფრანგები კი ხელით თამაშზე გადადიან. მასპინძლები ორჯერ ილებენ რიცხობრივ მეტობას გრძელ ფრთაზე - **არინორდოკი** მიზანს ვერ ალწევს, მაგრამ ორი ფაზის შემდეგ **დუზოტუარი** აკეთებს ფინტს და მიზანს უწევს. ბოსი ზუსტად ურტყამს და 55-ე წუთზე ანგარიში თანაბარია - 13:13. აქვე აკოჭლებული **დანიელ კარტერი** მოედნიდან გადის, მეწყვილე **კელეჰერთან** ერთად და სკამზე იკავებს ადგილს. აქ მჯდომ ყველა ზელანდიელს ძალიან შეშფოთებული გამომეტყველება აქვს.

"ოლ ბლექსი" ისევ გადადის მეტოქის ნახევარზე, ფაზებს აბამს და 63-ე წუთზე მრავალჯერადი მოლის შემდეგ **როდნი სოოიალო** მიფორთხავს ლელოში. 18:13, მაგრამ მაკალისტერი ვერ გარდასახავს.

ფრანგები ხელით თამაშს განაგრძობენ. 69-ე წუთზე ბოსის **ფრედერიკ მიშალაკი** ცვლის და პირველივე ბურთის მიღების შემდეგ... ცენტრთან ახლოს **არინორდოკიმ** საკუთარი შერკინებიდან გამოიტანა ბურთი და ტრაის მიაწოდა. **ტრაიმ** იქვე გაჭრა ხაზი და მიშალაკს გაატანა. **მიშალაკმა** ბევრი ირბინა, 22-ში შესულს კი უეჭველი შებოჭვა ელოდა, მაგრამ პაუზა გააკეთა, შემობრუნდა შიგნით გაატანა ბურთი **იანიკ ჟოზიონს** - 18:18. ურტყამს **ჟანბატისტ ელისალდი** - 20:18!

და ბოლო 10 წუთი. უმეტესად - ფრანგების 22-ში. ზელანდია ნაბიჯს ნაბიჯზე იგებს. ორჯერ გადააბეს ოცზე მეტი ფაზა ერთმანეთს და სანუკვარ ხაზიდან ნახევარ მეტრში შეჩერდნენ. აი, ამის შემდგომ დაფიქსირებული თამაშის ჯამური სტატისტიკაც - ბურთი: 71-29, ტერიტორია: 63-37, ოცდაორში: 8 წუთი-2 წუთი, ბოჭვები: ზელანდია-36, საფრანგეთი-178!

და, ამის მიუხედავად, საფრანგეთმა უჯარიმოდ და ლელოს გაუშვებლად დაიცვა თავი. ერთადერთი ხსნა იყო არეკნი, რომლის დარტყმაც მხოლოდ მაშინ მოიფიქრა **ლუკ მაკალისტერმა**, როცა ფრანგებმა მეტოქე უკუაგდეს და კარამდე 50 მეტრი იყო!

ეს მოხდა მე-80 წუთზე. **დამიენ ტრაიმ** ბურთი თავის 22-ში დაიჭირა და აქეთ-იქით სირბილი დაიწყო დროს გასაყვანად, მაგრამ ბოლომდე გაყვანა ვერ მოახერხა. ფრანგების 22 და ზელანდიის ბოლო შეტევა, მაგრამ უკვე საკუთარი ნახევრიდან. რამდენიმე ფაზის შემდეგ ბურთი ზედახორიდან ფრანგების მხარეს გადმოვარდა, **ელისალდმა** აილო, გიჟივით გაიქცა კიდის ხაზისკენ და მაყურებლებში დაუბათქუნა!

საფრანგეთმა მეორედ დაამარცხა ზელანდია მსოფლიო თასზე (პირველად, 1999 წლის ნახევარფინალში) "ოლ ბლექსი" კი ზედიზედ მეხუთედ გამოეთხოვა ჩემპიონობაზე ოცნებას მთავარი ფავორიტის რანგში, თუმცა, ასე ნაადრევად ეს პირველად მოხდა - "ოლ ბლექსი" ერთადერთი გუნდი იყო, რომელიც აქამდე მუდმივად გადიოდა ნახევარფინალში.

**7 ოქტომბერი. მარსელი**

**სამხ.აფრიკა-ფიჯი 37:20**

აფრ: (15-9) მონტგომერი, პიტერსენი, ფური, შტაინი, ჰაბანა, ჯეიმზი, დუპრე; (1-8) დურანი (სტენკამპი 53), ჯ. სმითი, დუპლესი, ბ. ბოთა (მულერი 75), მეტფილდი, ბურხერი, ჟ. სმითი, როსუ (ფანპირდენი 50) - *5ლ (ფური, ჯ.სმითი, პიტერსენი, ჟ.სმითი, ჯეიმზი); 3გ (მონტგომერი); 2ს (შტაინი, მონტგომერი)*

ფიჯ: (15-9) ლიგაირი, დელასაუ, რატუვოუ (ლოვობალავუ 64), რაბენი სბ 56, ბობო, ბაი, რაულუნი; (1-8) დუისი, კოტო (გადოლო 71), ქიოდრავუ (რაილომო 55), ლეავერე (ლევარავუ 73), რაუაკა, ნაევო, ქერა (რატუვა 71), კოიამაიბოლე - *2ლ (დელასაუ, ბობო); 2გ,2ს (ბაი)*

მსაჯი: ალან ლუისი (ირლ)

პირველი ტაიმი ზუსტად ისე დასრულდა, როგორც ზელანდია-საფრანგეთი. 44-წუთზე **სერემაია ბაიმ** ლიონელ ბოსის მიბაძა - 6:13 და ჰაერში... არა, არაფერიც არ დატრიალებულა. **ჯეიპი პიტერსენმა** ლელო გაიტანა, **პერსი მონტგომერიმ** გარდასახა, ანგარიში 20:6 გახდა და ფიჯელი **სერუ რაბენი** სინბინში წაბრძანდა.

აი, ამის მერე დატრიალდა თუ დატრიალდა! და ფიჯიმ ითამაშა ნამდვილი, ეშხიანი, სრულიად ნატურალური რაგბი. **ვილიმონი დელასაუმ** ცენტრიდან პირდაპირ ლელოში დაიკიდა ბურთი და დამიწებაც ყველას დაასწრო. ვიდეორეფერიმ ლელო ალწუსა და ბაიმ გარდასახა - 13:20. კიკოფის შემდეგ ბაიმ საკუთარი 22-დან გამოჭრა აფრიკელთა ხაზი, **მოსესე რაულუნიმ** განავრცო შეტევა და **სირელი ბობო** ლელოში გადაგორდა. ვიდეორეფერიმ ისევ დაადასტურა და ბაიმ ანგარაში გაათანაბრა - 20:20!

რაბენი მხოლოდ მაშინ დაბრუნდა მოედანზე, როცა **მონტგომერიმ** ახლოდან გაიტანა საჯარიმო - 23:20, 63-ე წუთზე. მომდევნო შვიდიოდ წუთში სამხრეთმა აფრიკამ ბეწვის ხიდზე გაიარა. ფიჯი ორჯერ ძალიან ახლოს იყო ლელოსთან. ჯერ რაკიდან მიძალელებების შემდეგ, მიზნიდან ნახევარ მეტრში ხელიდან წინ გაუვარდათ ბურთი, მერე კი გრძელ ფრთაზე შეტევის შემდეგ **იფერეიმი რაუაკა** ბურთიანად ლელოში იყო, მაგრამ **ჯეიპი პიტერსენმა** ბურთის დამიწება არ დაანება და ხაზზე გადაათრია. ეს იყო კულმინაცია და აი, სენსაცია ეს იქნებოდა, თუ იქნებოდა!

ამის შემდეგ ბაიმ ააცილა არეკნი, ბოლო 10 წუთში კი აფრიკამ მოლებითა და ორი ლელოთი გატეხა მამაცი მეტოქე - 37:20.

**7 ოქტომბერი. სენ დენი**

**არგენტინა-შოტლანდია 19:13**

არგ: (15-9) კორლეტო, ბორხესი, მ.კონტეპომი (სენილიოსა 67), ფ.კონტეპომი, აგულა, ერნანდესი, პიშო; (1-8) რონსერო, ლედესმა, სკელსო (პასანი 57), ი. ფერნანდეს-ლობე (ალვარესი 51), ალბასეტე, ოსტილია (ლეგისამონი 56), ხ. ფერნანდეს-ლობე, ლონგო - *ლ (ლონგო); გ,3ს (ფ.კონტეპომი); ა (ერნანდესი)*

შოტ: (15-9) რ. ლემონი (საუსველი 68), შ. ლემონი, ვებსტერი, დუი (ჰენდერსონი 41), პატერსონი, პარქსი, ბლერი (კაზიტერი 57); (1-8) ქერი (სმითი 57), ფორდი (ს.ლოუსონი 68), ი. მარი, ჰაინსი, ჰემილტონი (მაკლიოდი 57), ვაითი, ჰოგი (ბრაუნი 57), ტეილორი - *ლ (კაზიტერი), გ (პატერსონი), 2ს (პარქსი, პატერსონი)*

მსაჯი: ჟოელ ჟუტჟი (საფ)

მეოთხე თამაშმა ღირსეულად დააბოლოვა მეოთხედფინალური სესია. გამარჯვებულის ვინაობა უკანასკნელ წუთამდე ბეწვზე ეკიდა.

33-ე წუთზე **გონსალო ლონგომ დან პარქსს** დაუფარა და ლელოში პირველმა მიუსწრო ბურთს - არგენტინა 13:3 დაწინაურდა, მაგრამ შესვენებამდე **ქრის პატერსონმა** შეამცირა სხვაობა - 6:13. მძიმე, ჯაგაჯუგიანი და აბრაგნებიანი თამაში იყო.

**ფელიპე კონტეპომის** ჯარიმისა და **ხუან ერნანდესის** არეკნის შემდეგ არგენტინა თითქოს უსაფრთხო მანძილზე დაშორდა მეტოქეს (19:6 54-ე წუთზე) მაგრამ საქმე ასე გაგრძელდა:

შოტლანდიას სხვა გზა არ ჰქონდა და ხელით შეუტია - ძალიან ლაზათიანი, ორივე ფლანგზე გაშლილი შეტეის შემდეგ **ქრის კაზიტერმა** ახლოდან დაალელოვა არგენტინა. პატერსონმა კიდიდან გარდასახა - 13:19 და დარჩენილ 15 წუთში თავისიანებს გადარჩენის შანსი დაუტოვა.

ბოლოს შოტლანდიას ის დაემართა, რაც საქართველოს - ირლანდიასთან. ჯერ მეტოქის 22-ში 10 მეტრიანი დერეფანი ნააგო, დასრულებამდე 2 წუთით ადრე კი მეტოქის 5-მეტრიან ზოლში დამკვიდრდა და მოლებით შეუტია. არგენტინის ნახევარფინალისტობა ჰაერში დაეკიდა, მაგრამ როცა შერკინებით შეტევის რესურსი ამოიწურა, **პარქსმა** ფეხით უხეიროდ დაკიდა ბურთი ლელოში და შეტევა ჩაშალა.

ჩვენი არ იყოს, შოტლანდიასაც დარჩა სულ ბოლო, ერთ შეტევის დრო, მეტოქის 22-ში შერკინებაც მიიღო, მაგრამ ისევ ჩვენსავით, ბურთი წინა გაუვარდა.

თავის მეექვსე მსოფლიო თასზე არენტინამ პირველად გააღწია ნახევარფინალში.

**ნიკოლოზ აბაშიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

### მემფისი პაუელს გამოცდის

რუსეთის "სპარტაკის" ექს-ფორვარდმა **ქასიბ პაუელმა** "მემფის გრიზლისთან" წინასწარი კონტრაქტი გააფორმა.

კალათბურთელი ამ კლუბში საწვრთნელ შეკრებას გაივლის და თუ საგამოფენო თამაშებში თავს გამოიჩენს, "მემფისის" სრულუფლებიანი მოთამაშე გახდება.

### უნიკახას ველში გამოაკლდა

ესპანეთის "უნიკახას" ჩეხმა ფორვარდმა **ირჟი ველშმა** ბარძაყის ტრავმა მიიღო და დაახლოებით ორი კვირა გამოეთიშა აქტიურ კალათბურთს. ევროლიგის მოახლოებული სტარტის წინ, ეს კლუბისთვის დიდი დანაკლისია.

თავის დროზე NBA-ში მოთამაშე ველშმა, ტრავმა ერთ-ერთი წინასასეზონო საკონტროლო მატჩის დროს მიიღო.

### უდრიხმა თითი მოიტეხა

"სან ანტონიო სპურსის" ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე თითი მოიტეხა სლოვენიელმა ლეგიონერმა **ბენო უდრიხმა**. მცველს თაბაშირი დაადეს. ორი კვირის შემდეგ, უდრიხს განმეორებით სამედიცინო გამოკვლევას ჩაუტარებენ, რის შემდეგაც ცნობილი გახდება მისი მოედანზე დაბრუნების ზუსტი თარიღი.

უდრიხისთვის მომავალი სეზონი მეოთხე იქნება "სპურსის" შემადგენლობაში. გასულ წელს, სლოვენიელმა ჩემპიონების რიგებში 73 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 4.7 ქულას, 1.7 გადაცემასა და 1.1 მოხსნას აგროვებდა.

### უეიდი ყველაზე პოპულარულია

გასული სეზონის შედეგების მიხედვით, ევროპაში NBA-ის ყველაზე პოპულარულ კალათბურთელად "მაიამი ჰიტის" მცველი **დუენი უეიდი** დასახელდა. მან უკან ჩამოიტოვა "დენვერის" გამთამაშებელი **ალენ აივერსონი** და ასოციაციის რამდენიმე ევროპელი ლეგიონერი.

ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც NBA-ის ხელმძღვანელობამ ევროპაში ლიგის ატრიბუტიკის რეალიზაციის შედეგები გამოაქვეყნა. გასულ სეზონში განსაკუთრებული მოთხოვნით, სწორედ "ჰიტის" 3-ნომრიანი მაისურა სარგებლობდა.

### ნეტსმა არმსტრონგი გაიფორმა

"ნიუ ჯერსი ნეტსმა" 39 წლის მცველ **დერელ არმსტრონგთან** ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ვეტერანი კალათბურთელის ხელფასი 1.2 მილიონი დოლარი იქნება.

*"დერელს ძალიან უნდოდა "დალასში" თამაში, სადაც რამდენიმე სეზონი აქვს გატარებული. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მას "ნეტსში" მეტი სათამაშო დრო ექნება"*, - განაცხადა კალათბურთელის აგენტმა **გლენ შვარცმანმა**.

13-წლიანი კარიერის განმავლობაში, არმსტრონგმა 790 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 9.6 ქულა და 4.2 შედეგიანი გადაცემა დააგროვა. მიჩნეულია, რომ მან თავისი საუკეთესო სეზონი 1999-2000 წლებში, "ორლანდოს" რიგებში გაატარა.

### ბარნიანი ტორონტოში რჩება

2006 წლის დრაფტის პირველი ნომერი **ანდრეა ბარნიანი**, "ტორონტო რეპტორზში" კიდევ მინიმუმ ორი წელიწადი დარჩება.

იტალიის ნაკრების ფორვარდმა კანადურ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელების შესახებ რომში გამოაცხადა, სადაც ის თავის გუნდთან ერთად საჩვენებელი თამაშების ჩასატარებლად ჩავიდა.

### ტიანლიანს გარანტიას არ აძლევენ

წლეულს, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში კიდევ ერთი ჩინელი კალათბურთელი ითამაშებს. ეს გახლავთ 2007 წლის დრაფტის მეექვსე ნომერი **ი ტიანლიანი**, რომელმაც "მილუოკი ბაქსთან" გააფორმა კონტრაქტი.

"მილუოკის" მთავარმა მწვრთნელმა **ლარი კრისტკოვიაკმა** განაცხადა, რომ ჩინელს არანაირი პრივილეგია არ ექნება და ის სხვა კალათბურთელების მსგავსად იბრძოლებს სათამაშო დროის მოსაპოვებლად.

*"უსამართლობა იქნება, ტიანლიანს რაღაცის გარანტიები მივცეთ იმის სანაცვლოდ, რომ მას დრაფტის მაღალი ნომერი ჰქონდა. სეზონის სტარტის წინ, ყველაფერი ვარჯიშებსა და საგამოფენო მატჩებში გაირკვევა"*, - ამბობს მწვრთნელი.

### მოკრივეე შაკილ ონილი

"მაიამის" ვეტერანმა ცენტრმა **შაკილ ო'ნილმა** სეზონისთვის მზადების უცნაური ხერხი აირჩია. ზაფხულში, შაკი რეგულარულად გამოდიოდა მოკრივეების წინააღმდეგ წესების გარეშე ბრძოლებში.

*"ყოველდღე ვჩხუბობდი იმათ წინააღმდეგ, ვინც ბრძოლაში მიწვევდა. რა თქმა უნდა, მძიმე ტრავმების თავიდან ასაცილებლად, კრივის წესებს ვიყენებდით. გარდა ამისა, დიდ დროს ვატარებდი ნადირობაზე, რეგულარულად ვცურავდი და ბევრს ვკითხულობდი. პირველად, ბოლო წლების განმავლობაში, სეზონისთვის სრულფასოვნად მზადების შესაძლებლობა მომეცა. ადრე ამისთვის მხოლოდ 10-15 დღე მქონდა"*, - ამბობს შაკი.

### ჯექსონი მეომრებს უკაპიტნებს

მომავალ სეზონში, "გოლდენ სტეიტ უორიორზს" ახალი კაპიტანი ეყოლება. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **დონ ნელსონმა** ეს მისია მცველ **სტივენ ჯექსონს** დააკისრა, რომლის ასისტენტები **ბაირონ დევისი** და **მეტ ბარნსი** იქნებიან.

შეგახსენებთ, რომ "გოლდენ სტეიტში" ჯექსონი გასული სეზონის მსვლელობისას "ინდიანადან" გადავიდა.

### NBA ევროპაში

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბებმა, NBA Europe Live-ის ეგიდით ძველ კონტინენტზე ტურნე დაიწყეს. პირველი მატჩები გამართეს "ბოსტონმა", "ტორონტომ" და "მინესოტამ".

**ბოსტონი–ტორონტო 89:85**

**ბოსტონი:** პირსი (21 ქ. 3 მ. 3 პ), გარნეტი (19 ქ. 16 მ. 2 პ. 1 ჩ), ჰაუსი (14 ქ), ალენი (10 ქ. 4 პ).

**ტორონტო:** ფორდი (15 ქ. 5 პ), ბარნიანი (13 ქ. 3 მ), ბოში (12 ქ. 9 მ), კალდერონი (12 ქ. 3 პ).

**ეფესი–მინესოტა 81:84**

**ეფესი:** ნიკოლა (24 ქ. 5 ნ. 4 პ. 3 ჩ), ჰათსონი (15 ქ. 18 მ), გრეგორი (10ქ).

**მინესოტა:** დევისი (12 ქ), გომესი (12 ქ. 13 მ), ჯეფერსონი (11 ქ. 17 მ), გრინი (10 ქ).

## მძლეოსნობა

სკანდალი

# მერიონ ჯონსს ათი წელი ემუქრება



მერიონ ჯონსი

ცნობილი ამერიკელი მძლეოსნის **მერიონ ჯონსის** აღიარებამ დიდი აურზაური გამოიწვია. როგორც უკვე ვწერდით, სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ სიდნეის ოლიმპიადამდე ორი წლის განმავლობაში აკრძალულ პრეპარატებს იღებდა.

ჯონსის სენსაციურ აღიარებას პირველი ამერიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი გამოეხმაურა. *"მერიონმა უნდა დააბრუნოს მედლები, რომლებიც მან დოპინგის გამოყენებით მოიპოვა. ეს ჩვენი კომიტეტის აუცილებელი მოთხოვნაა"*, - განაცხადა აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **პიტერ უბეროტმა**.

შეგახსენებთ, რომ 2000 წელს, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე მერიონ ჯონსმა ხუთი მედალი მოიპოვა, მათ შორის სამი - ოქროსი.

მაგრამ, ამერიკელი მძლეოსნისთვის ყველაფერი ასე მარტივად არ დასრულდება. აქტიური კარიერის დროს, ჯონსი ხშირად აცხადებდა, რომ ის არასოდეს იღებდა აკრძალულ პრეპარატებს. შესაბამისად, ამერიკის სამხრეთი ოლქის ფედერალური პროკურორი **მაიკლ გარსია,** მერიონს ცრუ ჩვენებების მიცემისთვის წაუყენებს ბრალს. გარდა ამისა, ჯონსი დოპინგის გამოყენებაში, ფინანსურ მაქინაციებსა და ფულის გათეთრებაშია ეჭვმიტანილი. თუ ამ ბოლო ორი პუნქტის მიხედვით მძლეოსანს დამნაშავედ სცნობენ, სპრინტის ექს-დედოფალს 10-წლიანი პატიმრობა ემუქრება. მერიონს განაჩენის 2008 წლის 11 იანვარს გამოუტანენ.

## ჩოგბურთი

ATP. სიახლე

# კალენდარი შეიცვალა




პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ (ATP) დანაპირები შეასრულა: 2009 წლიდან, მამაკაც ჩოგბურთელებს განსხვავებული კალენდრით მოუწევთ ასპარეზობა. მთავარი სიახლე ის არის, რომ შეიქმნება ტურნირების ახალი სერია, რომლის სახელწოდება იქნება - "500" (ასეთ ტურნირში გამარჯვებისთვის, ჩოგბურთელს 500 სარეიტინგო ქულა დაერიცხება). ამ სერიის შეჯიბრებებს 10 ქალაქი უმასპინძლებს. რაც შეეხება დღეს არსებული "მასტერსის" სერიის ტურნირებს (სულ 9), მათ სახელი გადაერქვათ და 2009 წლიდან "1000"-ის სერიის ტურნირებად მოიხსენიებენ (გამარჯვებული 1000 ქულას მიიღებს).

"500"-ის სერიის ტურნირების საერთო საპრიზო ფონდი 20.7 მილიონ დოლარს მიაღწევს, რაც 118 პროცენტით მეტია 2008 წლის სეზონთან შედარებით. აგრეთვე, ATP 200 მილიონ დოლარს დახარჯავს შეჯიბრებებზე საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

"500"-ის სერიის ტურნირები როტერდამში, დუბაიში, აკაპულკოში, მემფისში, ბარსელონაში, ვაშინგტონში, პეკინში, ტოკიოში, ბაზელსა და ვალენსიაში გაიმართება. ამ სერიის მე-11 ტურნირს, შესაძლოა ჰამბურგმა უმასპინძლოს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ამ ქალაქის ტურნირს "მასტერსის" სტატუსი ჩამოერთმევა.

აგრეთვე გადაწყდა, რომ 2009 წლიდან მოყოლებული, ოთხი სეზონის განმავლობაში, წლის შემაჯამებელ ჩემპიონატს ლონდონი უმასპინძლებს.

## ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**5 ოქტომბერი**

**კაროლინა–პიტსბურგი 4:1**

2:0, 2:0, 0:1

**გოლები**: 1:0 ე. სტაალი-1 (გლისონი-1, ჯ. ჰემილტონი-1), 2:0 ე. სტაალი-2 (ე. კოული-1, ჯ. ჰემილტონი-2), 3:0 ლედი-1 (ჯას. უილიამსი-2, საიდენბერგი-1), 4:0 ჯ. ჰემილტონი-1 (ბრინდამორი-2, რ. უიტნი-1), 4:1 რეკი-1 (მაკინი-1, გონჩარი-1).

**კოლამბუსი–ანაჰაიმი 4:0**

2:0, 0:0, 2:0

**გოლები**: 1:0 ნეში-1 (ფიოდოროვი-1, ვიბორნი-1), 2:0 ფიოდოროვი-1 (ნეში-1, ჰეინსი-1), 3:0 ნეში-2 (რასელი-1, მოდინი-1), 4:0 ჰეინსი-1 (ჟერდიოვი-1, ნეში-2).

**ბაფალო–აილენდერსი 4:6**

3:3, 1:2, 0:1

**გოლები**: 1:0 შპაჩეკი-1 (ბ. კემპბელი-1, გოსტადი-1), 1:1 ვაშიჩეკი-1 (ჟერვე-1, შატანი-1), 2:1 დ. რუა-1 (აფინოგენოვი-1), 2:2 ფედოტენკო-1 (გერინი-1, კომრი-1), 2:3 კამპოლი-1 (ფედოტენკო-1, კომრი-2), 3:3 სტეფორდი-1 (პეი-1, შპაჩეკი-1), 3:4 კომრი-1 (ფედოტენკო-2, გერინი-2), 4:4 ვანეკი-1 (პაეტში-1, კალინინი-1), 4:5 კომრი-2 (გერინი-3, მ-ა. ბერჟერონი-1), 4:6 ჰანტერი-1 (სილინჯერი-1, ჟერვე-2).

**ატლანტა–ვაშინგტონი 1:3**

0:2, 1:0, 0:1

**გოლები**: 0:1 ნიულანდერი-1 (ბექსტრიომი-1), 0:2 ერსკინი-1, 1:2 ლიტლი-1 (კოვალჩუკი-1, ჟიტნიკი-1), 1:3 ვიქ. კოზლოვი-1 (გრინი-1, ოვეჩკინი-1).

**დალასი–ბოსტონი 4:1**

1:0, 2:1, 1:0

**გოლები**: 1:0 ჯ. ლუნდკვისტი-1 (ნისკანენი-1, ბარნსი-1), 2:0 ჰაგმანი-2 (ი. იოკინენი-1, ნისკანენი-2), 3:0 მოროუ-1 (ზუბოვი-2, მოდანო-1), 3:1 პ. ბერჟერონი-1 (მეფერი-1, სავარი-1), 4:1 ზუბოვი-1 (ბუშე-2, მოროუ-1).

**ვანკუვერი–სან ხოსე 1:3**

0:3, 0:0, 1:0

**გოლები**: 0:1 ჯ. ტორნტონი-2 (ერჰოფი-1, მაკლარენი-1), 0:2 რიონიკი-1 (მიტჩელი-1, მიურეი-1), 0:3 რიონიკი-2 (მიურეი-2, მ. მიხალეკი-1), 1:3 ბ. მორისონი-1 (რეიმონდი-1).

**6 ოქტომბერი**

**ტორონტო–მონრეალი 4:3 (ო)**

1:1, 1:2, 1:0

**გოლები**: 0:1 დანდენო-1 (სმოლინსკი-1, ბეგინი-1), 1:1 უაიტი-1 (სტინი-2, მაკეიბი-1), 1:2 მარკოვი-1 (ჰიგინსი-2, ს. კოივუ-1), 1:3 კოსტიცინი-1 (კოვალიოვი-2, ბრისბუა-1), 2:3 პონიკაროვსკი-1 (სუნდინი-3, ანტროპოვი-1), 3:3 პონიკაროვსკი-2 (სუნდინი-4), 4:3 ტ. კაბერლე-1 (სუნდინი-5, კუბინა-1).

**აილენდერსი–ბაფალო 3:2**

0:1, 1:0, 2:1

**გოლები**: 0:1 შპაჩეკი-2 (ბ. კემპბელი-2, სტეფორდი-1), 1:1 კამპოლი-2 (ჰანტერი-1, სიმი-1), 2:1 კომრი-3 (გერინი-4, ფედოტენკო-3), 3:1 კომრი-4 (ფედოტენკო-4, გერინი-5), 3:2 ჰეხტი-1 (კონოლი-1, პომინვილი-1).

**ვაშინგტონი–კაროლინა 2:0**

1:0, 1:0, 0:0

**გოლები**: 1:0 ოვეჩკინი-1 (ვიქ. კოზლოვი-1, ერსკინი-1), 2:0 იურჩინა-1 (სიომინი-1, ბექსტრიომი-2).

**ფლორიდა–ნიუ ჯერსი 1:4**

1:1, 0:2, 0:1

**გოლები**: 0:1 მადენი-1 (ეშემი-1, პანდოლფო-1), 1:1 კ. მერფი-1 (ვეისი-1, ო. იოკინენი-1), 1:2 მადენი-2 (კლარკსონი-1), 1:3 გრინი-1 (ელიაში-1), 1:4 მოტო-1 (პარიზე-2).

**ოტავა–რეინჯერსი 2:0**

2:0: 0:0, 0:0

**გოლები**: 1:0 მეზაროში-1 (მ. ფიშერი-2, ალფრედსონი-1), 2:0 ალფრედსონი-4 (სპეცა-4).

**პიტსბურგი–ანაჰაიმი 5:4**

1:1, 2:1, 2:2

**გოლები**: 0:1 კუნიტცი-2 (ბოშემენი-2, პრონგერი-3), 1:1 სიკორა-1 (გ. რობერტსი-1, კრისტენსენი-1), 1:2 გეტცლაფი-2 (ბოშემენი-3), 2:2 კ. არმსტრონგი-1 (გ. რობერტსი-2), 3:2 მალკინი-1 (სიკორა-1), 3:3 კუნიტცი-3 (ბოშემენი-4), 4:3 სიკორა-2 (ლარაკი-1, მალკინი-2), 5:3 მელოუნი-1 (კროსბი-1, სკუდერი-1), 5:4 პერი-3 (გეტცლაფი-1, კუნიტცი-1).

**ტამპა ბეი–ატლანტა 5:2**

1:0, 2:1, 2:1

**გოლები**: 1:0 პროსპალი-2 (ლეკავალიე-1, რეინჯერი-2), 1:1 მარიან ჰოსა-1, 2:1 პროსპალი-3 (სენტ ლუისი-4, კუბა-2), 3:1 ბ. რიჩარდსი-1, 4:1 ლეკავალიე-3, 4:2 ვიაჩ. კოზლოვი-1 (ენსტრიომი-1, ტ. უაიტი-1), 5:2 ბ. რიჩარდსი-2 (სენტ ლუისი-5, კუბა-3).

**ედმონტონი–ფილადელფია 5:3**

0:0, 3:3, 2:0

**გოლები**: 1:0 სტაიოსი-1 (ჰორკოფი-1, ჰემსკი-1), 1:1 ჯ. კარტერი-1 (ლუპული-1, ქობურნი-1), 2:1 პენერი-1 (ჰემსკი-2, ჰორკოფი-2), 2:2 ბრიერი-3 (ს. განიე-3, ნუბლი-2), 2:3 ს. განიე-1 (ბრიერი-1, კ. ტიმონენი-1), 3:3 სანდერსონი-1 (რისონერი-2, ბროძიაკი-1), 4:3 პიტკანენი-1 (ს. განიე-2, კოლიანო-2), 5:3 სანდერსონი-2 (ბროძიაკი-2).

**ნეშვილი–დალასი 5:1**

1:0, 2:0, 2:1

**გოლები**: 1:0 ლეგვანდი-1 (ერატი-2, ჰამჰუისი-1), 2:0 დუმონი-2 (ჟიდლიცკი-2, არნოტი-2), 3:0 ლეგვანდი-2 (ერატი-3, დე ვრისი-2), 3:1 ბარჩი-1 (ოტი-1, ბუშე-3), 4:1 გელინასი-1 (სმიტსონი-1, ჰამჰუისი-2), ლეგვანდი-3 (ორტმაიერი-1, ერატი-4).

**მინესოტა–კოლამბუსი 3:2**

1:1, 0:1, 2:0

**გოლები**: 0:1 ჰეინსი-2 (ჟერდიოვი-2, ჩიმერა-1), 1:1 ბუშარი-2 (ბელანჟე-2, როლსტონი-2), 1:2 ფუტი-1 (ნოვოტნი-1, ჟერდიოვი-3), 2:2 ბელანჟე-1 (როლსტონი-3, კარნი-1), 3:2 ბერნსი-1 (ბუშარი-1, როლსტონი-4).

**ჩიკაგო–დეტროიტი 4:3 (ბ)**

0:1, 1:2, 2:0, 0:0

**გოლები**: 0:1 რაფალსკი-1 (ლიდსტრიომი-2, ზეტერბერგი-2), 0:2 ლიდსტრიომი-1 (სამუელსონი-1, ზეტერბერგი-3), 1:2 ტ. რუუტუ-1 (მ. იოჰანსონი-1, კეინი-1), 1:3 ჰოლმსტრიომი-2 (რაფალსიკ-2, ზეტერბერგი-4), 2:3 ვიშნევსკი-1 (კ. ადამსი-1, სოპელი-1), 3:3 ლანგი-1 (სამსონოვი-1, სიბრუკი-1).

**ბულიტები გაიტანეს**: კეინი (ჩიკაგო).

**ფინიქსი–ბოსტონი 1:3**

0:2, 1:0, 0:1

**გოლები**: 0:1 პ. ბერჟერონი-2 (ხარა-1, სავარი-2), 0:2 კობესიუ-1 (აქსელსონი-1), 1:2 ნ. კაპანენი-1 (დოუნი-2, ვრბატა-2), 1:3 შტურმი-1 (კრეისი-1, კესელი-1).

**კალგარი–ვანკუვერი 3:4 (ო)**

1:0, 0:3, 2:0, 0:1

**გოლები**: 1:0 სერიჩი-1 (ჰუსელიუსი-1, ლომბარდი-1), 1:1 ოლუნდი-1 (კესლერი-1, ბ. მორისონი-1), 1:2 ნესლუნდი-1 (კრაიჩეკი-1, ლუონგო-1), 1:3 შენონი-1 (დ. სედინი-1, ჰ. სედინი-1), 2:3 ლენგკოუ-3 (ტანგეი-2, ერიქსონი-1), 3:3 ლენგკოუ-4 (ტანგეი-3, იგინლა-2), 3:4 დ. სედინი-1 (ოლუნდი-1, ნესლუნდი-1).

**ლოს ანჯელესი–სენტ ლუისი 3:5**

1:0, 2:1, 0:4

**გოლები**: 1:0 დ. ბრაუნი-1 (კოპიტარი-3, კამალერი-1), 2:0 კამალერი-4 (კოპიტარი-4, დ. ბრაუნი-2), 2:1 მეიერსი-1 (რუჩინსკი-1, ვაგნერი-1), 3:1 დ. ბრაუნი-2 (ნადი-1, კოპიტარი-5), 3:2 ტკაჩუკი-2 (სტემპნიაკი-1, კარია-2), 3:3 ბექსი-1 (მაკკლემანი-1, სტემპნიაკი-2), 3:4 უ. ჯონსონი-1 (უეიტი-1, კარია-3), 3:5 მეიერსი-2.

ფორმულა 1. ჩინეთის გრან-პრი

# ლუისმა საკუთარ თავს უღალატა

ამ რბოლაში ყველაფერი იყო: რთული კლიმატური პირობები, ბრიტანელი **ლუის ჰემილტონის** ("მაკლარენი") შესაძლო გაჩემპიონების ინტრიგა და ლიდერის გამოთიშვა. საერთო ჯამში, ჩინეთის გრან-პრიმ ამ სეზონში, ალბათ, ყველაზე საინტერესო რბოლა გვაჩუქა. სწორედ ამ ეტაპის წყალობითაა, რომ ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი რბოლით ადრე, ჩემპიონის ტიტულისთვის ერთბაშად სამი პილოტი იბრძოლებს. ასეთი რამ, ფორმულა 1-ს კარგა ხანია არ ახსოვს.

შაბათს, კვალიფიკაციის მოგების შემდეგ, ლუის ჰემილტონს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში თითქოს ხელი აღარ უნდა შეშლოდა. თუ ახალგაზრდა ბრიტანელი რბოლას მოიგებდა, ბოლო ეტაპის წინ ის კონკურენტებისთვის მიუწვდომელი რჩებოდა. ეს ვარაუდი რბოლის სტარტსა და პირველი წრეებიდანვე გამყარდა. პირველ პოზიციაზე მდგომმა ბრიტანელმა ლიდერობა შეინარჩუნა და თავიდანვე დაიწყო კომფორტული უპირატესობის შექმნა.

სტარტზე **ფერნანდო ალონსომ** ("მაკლარენი") მესამე პოზიციის დაკავება სცადა, **ფელიპე მასას** ("ფერარი") შეუტია და გაასწრო კიდეც, მაგრამ ბრაზილიელის კონტრშეტევაც კარგი იყო და მასამ ესპანელი მეოთხე ადგილზე დააბრუნა.

სამი წრის შემდეგ, ჰემილტონის უპირატესობა მეორე ადგილზე მყოფ **კიმი რაიკონენზე** ("ფერარი") 2 წამს შეადგენდა. ბრიტანელმა ისეთი ტემპი აილო, რომ მისი შეჩერება შეუძლებელი ჩანდა. სანამ პირველად შევიდოდა ბოქსებში (მე-15 წრე), ლუისმა ექვსჯერ შეძლო საუკეთესო წრის ჩვენება და მე-13 წრეზე მისი უპირატესობა 8.2 წამს შეადგენდა.

მაგრამ რბოლის საბოლოო შედეგზე საუბარი ნაადრევი იყო, რადგან ყოველ წამს წვიმას ელოდნენ, რასაც შესაძლოა დიდი არეულობა გამოეწვია.

ჰემილტონი მე-15 წრეზე შევიდა ბოქსებში და ტრასაზე მე-4 ადგილზე დაბრუნდა. ამასთან, ბრიტანელმა მხოლოდ საწვავი შეივსო და საბურავები არ გამოცვალა. როგორც შემდეგ გაირკვა, სწორედ ეს აღმოჩნდა ბრიტანელისთვის საბედისწერო შეცდომა. ამასობაში, უკვე რაიკონენმა მოუხშირა საუკეთესო წრეებს და როცა ის მე-19 წრეზე ბოქსებში შევიდა, ჰემილტონს 24 წამს უგებდა, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა წინ გასასვლელად და ტრასაზე დაბრუნებული ფინელი, კვლავ ლუისის უკან აღმოჩნდა. ასე რომ, პირველი პიტ-სტოპის შემდეგ, ლიდერთა ოთხეულში ცვლილებები არ მომხდარა.

ტრასის მომსახურე პერსონალმა ახალი ინფორმაცია გაავრცელა: წვიმა 10 წუთში წამოვიდოდა. მანამდე ჰემილტონმა კიდევ ორჯერ აჩვენა წრეზე საუკეთესო დრო და რაიკონენს 5.3 წამით დაშორდა. იქვე ალონსომ მასას შეუტია და საბოლოოდ ჩამოართვა მას მესამე პოზიცია.

ამ დროს, წვიმაც წამოვიდა და სულ მალე, რაიკონენი კუდზე მიაჯდა ჰემილტონს. ფინელის პირველმა შეტევამ შედეგი არ გამოიღო. მეორე ეპიზოდში, ლუისმა შეცდომა დაუშვა, მაგრამ კიმიმ ვერც ამით ისარგებლა. და აი, 28-ე წრეზე, რაიკონენის მესამე შეტევის შემდეგ, "ფერარის" პილოტი რბოლის ლიდერი ხდება. ჰემილტონისთვის ეს წარუმატებლობა საგანგაშო არ უნდა ყოფილიყო, რადგან მეორე ადგილი ჩემპიონობის გარანტიას იძლეოდა - საერთო ჩათვლაში მისი უახლოესი მდევარი ალონსო მასზე უკან იყო. მაგრამ ისიც აშკარად ჩანდა, რომ ბრიტანელს ტრასაზე პრობლემები ჰქონდა - მან 29-ე წრის გავლას რაიკონენზე 6 წამით, ხოლო ალონსოზე 7 წამით მეტი მოანდომა.

ბრიტანელისთვის უიღბლო გამოდგა 30-ე წრე. ჰემილტონი ბოქსებში შესასვლელად მიემართებოდა, როცა ერთ-ერთ მოსახვევში ბოლიდი ვერ დაიმორჩილა და ტრასის მიღმა აღმოჩნდა. ლუისმა სასწრაფოდ სტიუარდებს უხმო და მათ მანქანის ტრასაზე გაგორება სთხოვა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა და ჩემპიონატის ლიდერი რბოლას გამოეთიშა.

ეტაპის შემდეგ, ამ ეპიზოდს კომენტარი თავად ჰემილტონმა გაუკეთა, რომელმაც განაცხადა, რომ ტრასიდან გადავარდნის მიზეზი გაცვეთილი საბურავები იყო: *"მინდა ბოდიში მოვუხადო გუნდს, რადგან მათ ამ უიქ ენდზე ბრწყინვალედ იმუშავეს. საბურავები მთლიანად გაცვეთილი იყო და თითქოს ყინულზე დავდიოდი. მთელი წელიწადი შეცდომა არ დამიშვია და ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში შევცდი. შეცდომები ბრაზილიაში ავინაზღაურო დანაკარგი"*, - განაცხადა ბრიტანელმა.

ძირითადი კონკურენტის გარეშე დარჩენილმა რაიკონენმა ყოველგვარი პრობლემის გარეშე ჩაამთავრა რბოლა და ახლოსაც არ მიუშვა ალონსო. ფინელისთვის ეს სეზონში მეხუთე მოგება იყო. ამასთან, კიმი "ფერარის" ისტორიაში შევიდა - ეს გამარჯვება მე-200 იყო "სკუდერიას" არსებობის ისტორიაში.

მაშ ასე, ბრაზილიის გრან-პრის წინ, ერთბაშად სამი პილოტი აცხადებს ჩემპიონობაზე პრეტენზიას. უფრო მომგებიან სიტუაციაში კვლავინდებურად ჰემილტონია, რომელიც თანაგუნდელ ალონსოს 4 ქულას უგებს. რაიკონენი კი, ბრიტანელს 7 ქულით ჩამორჩება.

*"დღეს მომხდარს სასწაულს ვერ ვუწოდებთ. ჩემპიონობის შანსი გაჩნდა, მაგრამ ის კვლავინდებურად მიზერულია - ლუისისთვის 4 ქულის ამოქაჩვა რთული იქნება. კიდევ რაღაც არაორდინალური უნდა მოხდეს, რომ ტიტული შევინარჩუნო. თუ ბრაზილიაში მოვლენები სტანდარტული სცენარით განვითარდება, ამ ჩამორჩენის აღმოფხვრა არარეალურად მეჩვენება"*, - აცხადებს ალონსო, რომელსაც საბოლოო გამარჯვებისთვის ეტაპის მოგებასთან ერთად, ჰემილტონის მესამე ან უფრო დაბალი ადგილი სჭირდება.

დასასრულს, არ შეიძლება არ აღინიშნოს "ტორო როსოს" ბოლოდროინდელი პროგრესი. უნიჭიერეს **სებასტიან ფეტელს** ერთი ადგილი არ ეყო იმისთვის, რომ პოდიუმზე ასულიყო, ხოლო მისი თანაგუნდელი **ვიტანტონიო ლიუცი** მეექვსე ადგილზე გავიდა.



ჰემილტონის ჩემპიონობა გადაიდო

**ჩინეთის გრან-პრი**

| | |
|---|---|
| 1(2). კიმი რაიკონენი ("ფერარი", ფინეთი) | 1:37.58,395 |
| 2(4). ფერნანდო ალონსო ("მაკლარენი", ესპანეთი) | +9,800 |
| 3(3). ფელიპე მასა ("ფერარი", ბრაზილია) | +12,8 |
| 4(17). სებასტიან ფეტელი ("ტორო როსო", გერმანია) | +53,500 |
| 5(10). ჯენსონ ბატონი ("ჰონდა", ბრიტანეთი) | +1.08,600 |
| 6(11). ვიტანტონიო ლიუცი ("ტორო როსო", იტალია) | + 1.13,600 |
| 7(8). ნიკ ჰაიდფელდი ("BMW-ზაუბერი", გერმანია) | + 1.14,200 |
| 8(5). დევიდ ქულთარდი ("რედ ბული", ბრიტანეთი) | + 1.20,700 |
| 9(13). ჰეიკი კოვალაინენი ("რენო", ფინეთი) | + 1.21,100 |
| 10(7). მარკ უებერი ("რედ ბული", ავსტრალია) | + 1.24,600 |
| 11(18). ჯანკარლო ფიზიკელა ("რენო", იტალია) | + 1.26,600 |
| 12(19). ალექსანდრ ვიურცი ("უილიამსი", ავსტრია) | 1 წრე |
| 13(12). იარნო ტრული ("ტოიოტა", იტალია) | 1 წრე |
| 14(20). ტაკუმა სატო ("სუპერ აგური", იაპონია) | 1 წრე |
| 15(16). რუბენს ბარიკელო ("ჰონდა", ბრაზილია) | 1 წრე |
| 16(15). ნიკო როსბერგი ("უილიამსი", გერმანია) | 2 წრე |
| 17(22). საკონ იამამოტო ("სპაიკერი", იაპონია) | 3 წრე |
| 18(9). რობერტ კუბიცა ("BMW-ზაუბერი", პოლონეთი) | 23 წრე |
| 19(1). ლუის ჰემილტონი ("მაკლარენი", ბრიტანეთი) | 26 წრე |
| 20(6). რალფ შუმახერი ("ტოიოტა", გერმანია) | 31 წრე |
| 21(21). ადრიან სუტილი ("სპაიკერი", გერმანია) | 32 წრე |
| 22(14). ენტონი დევიდსონი ("სუპერ აგური", ბრიტანეთი) | 45 წრე |

**საუკეთესო წრე:** ფელიპე მასა - 1.37,454

**საერთო ჩათვლა**

1. ლუის ჰემილტონი ("მაკლარენი") - 107; 2. ფერნანდო ალონსო ("მაკლარენი") - 103; 3. კიმი რაიკონენი ("ფერარი") - 100; 4. ფელიპე მასა ("ფერარი") - 86; 5. ნიკ ჰაიდფელდი ("BMW-ზაუბერი") - 58; 6. რობერტ კუბიცა ("BMW-ზაუბერი") - 35; 7. ჰეიკი კოვალაინენი ("რენო") - 30; 8. ჯანკარლო ფიზიკელა ("რენო") - 21; 9. ნიკო როსბერგი ("უილიამსი") - 15; 10. დევიდ ქულთარდი ("რედ ბული") - 14; 11. ალექსანდრ ვიურცი ("უილიამსი") - 13; 12. მარკ უებერი ("რედ ბული") - 10; 13. იარნო ტრული ("ტოიოტა") - 7; 14. სებასტიან ფეტელი ("ტორო როსო") - 6; 15. ჯენსონ ბატონი ("ჰონდა) - 6; 16. რალფ შუმახერი ("ტოიოტა") - 5; 17. ტაკუმა სატო ("სუპერ აგური") - 4; 18. ვიტანტონიო ლიუცი ("ტორო როსო") - 3; 19. ადრიან სუტილი ("სპაიკერი") - 1.

**კონსტრუქტორთა თასი**

1. ფერარი - 186; 2. BMW-ზაუბერი - 94; 3. რენო - 51; 4. უილიამსი - 28; 5. რედ ბული - 24; 6. ტოიოტა - 12; 7. ტორო როსო - 8; 8. ჰონდა - 6; 9. სუპერ აგური - 4; 10. სპაიკერი - 1.

## TV სპორტი

**8 ოქტომბერი. ორშაბათი**

**I არხი**

22:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლიონი.
14:10 არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-ბოკა ხუნიორსი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-დეპორტივო.
18:05 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ტოტენჰემი.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:15 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:15 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ნიურნბერგი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ვიგანი.
08:45 სპორტული ისტორია.
09:00 ფრენბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
11:03 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ჰოლანდია
11:32 სპორტის სამყარო.
12:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. იაპონიის ღია პირველობა. ფინალი.
13:52 ავტოსპორტი. A1 ჰოლანდია.
15:33 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-სანდერლენდი.
17:17 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. მიმოხილვა.
18:00 ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
20:00 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
20:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
21:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-რეალი.
22:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ვიგანი.
00:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-იუვენტუსი.
02:45 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. სეზონის წინ.
04:28 ფრენბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
06:31 სპორტდოსიე.

**EUROSPORT**

10:30 მოტორსპორტი. საკვირაო ჟურნალი.
11:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთი.
11:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. მონცა. იტალია.
12:30 ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. სანკტ-პეტერბურგი. რუსეთი.
13:30 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო თასი. გუნდები. მაგდებურგი. გერმანია.
15:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. I დღე. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
18:30 სნუკერი.
19:30 მულტისპორტი.
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:45 სნუკერი.
23:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
02:45 მულტისპორტი.
03:15 მოტორსპორტი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. დრამენი (ნორვეგია)-ფლენსბურგი (გერმანია).
13:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. გუმერსბახი (გერმანია)-ვეუსპრემი (უნგრეთი).
14:00 ახალი ამბები.
16:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. მონცა. იტალია.
17:00 კალათბურთი.
18:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. გუმერსბახი (გერმანია)-ვეუსპრემი (უნგრეთი).
19:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. დრამენი (ნორვეგია)-ფლენსბურგი (გერმანია).
20:00 ახალი ამბები.
20:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
21:00 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ლიტვის გრან-პრი.
23:00 არმ-რესტლინგი.
23:30 კალათბურთი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ექსტრემალური სპორტი.
02:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**კალათბურთი**

**მსოფლიო ჩემპიონატი**

ქალები

| | |
|---|---|
| საფრანგეთი-ლიტვა | 65:67 |
| ჩეხეთი-ბელგია | 75:50 |
| რუსეთი-ლატვია | 67:36 |
| ესპანეთი-ბელარუსი | 70:54 |
| საფრანგეთი-ბელგია | 63:72 |
| ჩეხეთი-ლიტვა | 93:54 |
| ლატვია-ბელარუსი | 63:72 |
| რუსეთი-ესპანეთი | 74:68 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ფუენლაბრადა-ხუვენტუდი | 73:97 |
| რეალი-ვალენსია | 68:61 |
| ლეონი-გრანადა | 64:74 |
| ვალიადოლიდი-ბარსელონა | 77:86 |
| ხირონა-ბაუგრესი | 78:76 |
| მანრესა-მენორკა | 87:79 |
| მურსია-ბილბაო | 68:67 |
| ესტუდიანტესი-უნიკახა | 69:64 |
| გრან კანარია-ქ. სან ფერნანდო | 68:61 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| რიეტი-მილანი | 92:79 |
| ვარეზე-სნაიდერო | 62:83 |
| კანტუ-სკაფატი | 70:60 |
| მონტეპასკი-აველინო | 83:77 |
| მონტეგრანარო-კლიმამიო | 75:79 |
| სავოლინი-ბენეტონი | 85:69 |
| ვირტუსი-ბიელა | 81:92 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ვიში-კლერმონი | 52:46 |
| ნანსი-ჰსქ | 88:76 |
| რუანი-სტრასბური | 83:73 |
| ჰავრი-გრაველინი | 104:110 |
| ორლეანი-პო ორტეზი | 68:65 |

**ჰოკეი**

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| ხიმიკი-ავანგარდი | 4:2 |
| სკა-სპარტაკი | 3:1 |
| აკ ბარსი-დინამო | 2:3 |
| ნეფტეხიმიკი-მვდ | 1:2 |
| ტორპედო-ლოკომოტივი | 5:5 |
| ცსკა-სევერსტალი | 4:2 |
| მეტალურგი (მ)-ამური | 2:1 |
| ტრაქტორი-ვიტიაზი | 2:1 |
| ლადა-სიბირი | 4:2 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ჰანოვერი-კრეფელდი | 2:1 |
| დიუსელდორფი-იზერლონი | 7:4 |
| აისბარენი-შტრაუბინგი | 3:3 ო.ბ. 4:3 |
| აუგსბურგი-ინგოლშტადტი | 3:2 |
| კიოლნი-ფრანკფურტი | 3:3 ო.ბ. 4:3 |
| მანჰაიმი-დუისბურგი | 5:1 |
| ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 7:2 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| კოშიცე-ტრენჩინი | 1:3 |
| ჟილინა-მიკულაში | 5:3 |
| კეჟმაროკი-ტრენჩინი | 3:2 |
| ნიტრა-პოპრადი | 4:5 |
| სკალიცა-ზვოლენი | 9:1 |
| სლოვაკეთი (ახ)-კოშიცე | 0:1 |
| სლოვანი-მარტინი | 2:3 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| კიეკო-ვაკ | 4:2 |
| ილვესი-პელიკანსი | 2:2 |
| კერპეტი-იუვასკიულა | 4:0 |
| ლუკო-ტპს | 4:0 |
| ესეტი-კაიპა | 3:2 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ზლინი-სლავია | 2:7 |
| ლიბერეცი-ლიტვინოვი | 5:2 |
| სპარტა-ბუდეიოვიცე | 1:4 |
| კლადნო-ზნოიმო | 4:2 |
| პლზენი-პარდუბიცე | 2:0 |
| სლოვანი-კარლოვი ვარი | 1:1 ო.ბ. 2:1 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ლუგანო-ლანგნაუ | 4:4 |
| ცუგი-ბერნი | 3:2 |
| ფრიბურგი-კლოტენი | 3:1 |
| სერვეტი-დავოსი | 3:2 |
| რაპერსვილი-ციურიხი | 4:3 |
| ბაზელი-ამბრი | 2:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ლინჩოპინგი-მოდო | 7:2 |
| ლულეა-ფერიესტადი | 6:4 |
| ბრინესი-ავ 71 | 4:5 |
| ტიმრა-აიკ | 2:2 |
| მორა-იურგორდენი | 3:0 |
| ფროლუნდა-სიოდერტალიე | 4:2 |

**ჩოგბურთი**

**ATP. მეცი**

| | |
|---|---|
| მიურეი-რობრედო | 6:0, 2:6, 3:6 |

**WTA. შტუტგარტი**

| | |
|---|---|
| ანენი-გოლოვინი | 2:6, 6:2, 6:1 |

**WTA. ტაშკენტი**

| | |
|---|---|
| პარმენტიე-აზარენკა | 7:5, 6:2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### კალათბურთი

## სპანულისი ტრავმირებულია

საბერძნეთის "პანათინაიკოსის" ახალწვეულმა **ვასილის სპანულისმა** მარცხენა ფეხის ტრავმა მიიღო და ორი კვირით გამოეთიშა ვარჯიშებს. ამის შესახებ კლუბის ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება.

შეგახსენებთ, რომ სპანულისი შარშან "ჰიუსტონ როკეტსში" თამაშობდა, მაგრამ NBA-ში ფეხი ვერ მოიკიდა და ევროპაში დაბრუნება გადაწყვიტა.

## ფენერმა ყოფილი სანანტონიოელი დაიმატა

ევროლიგის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, თურქეთის "ფენერბაჰჩემ" "სან ანტონიო სპურსის" ყოფილ ფორვარდთან **ჯეიმს უაიტთან** გააფორმა კონტრაქტი.

გასულ სეზონში, 25 წლის კალათბურთელმა NBA-ის რეგულარულ ჩემპიონატში 6 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 8.3 ქულა და 3.3 მოხსნა დააგროვა. უაიტი "სან ანტონიოში" პლეიოფის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე გადავიდა.

### კრივი

## ტაისონი იბრაჰიმოვის სეკუნდანტი იქნება?

13 ოქტომბერს, მოსკოვში საინტერესო ბრძოლა გაიმართება. სუპერმძიმე წონაში WBO-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი **სულთან იბრაჰიმოვი** კრივის ლეგენდას, **ევანდერ ჰოლიფილდს** შეხვდება.

ამ ბრძოლისთვის მოსკოვში ჩასვლას აპირებს კიდევ ერთი ცნობილი ამერიკელი მოკრივე **მაიკ ტაისონი**, რომელმაც იბრაჰიმოვის სეკუნდანტის როლი უნდა შეასრულოს.

*"ამ მომენტისთვის, მაიკის მოსკოვში ვიზიტი ჯერ კიდევ შესაძლებელია. მისმა ადვოკატებმა არიზონას შტატის სასამართლოს შესაბამისი თხოვნით მიმართეს, მაგრამ მოსამართლემ ტაისონს რუსეთში გამგზავრების ნება არ მისცა, რადგან ეს ვოიაჟი დასვენების ფორმად ჩათვალა. ახლა ადვოკატები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ეს ვიზიტი არა დასვენებას, არამედ ჩემს გუნდში სეკუნდანტის როლში მუშაობას ემსახურება"*, - აცხადებს იბრაჰიმოვი.

შეგახსენებთ, რომ ტაისონი ნარკოტიკების შენახვაშია ეჭვმიტანილი და სავარაუდოდ, 19 ნოემბერს სასამართლო მას ოთხწლიან პატიმრობას მიუსჯის.

### მძლეოსნობა

## პიტკამიაკი საუკეთესო ევროპელია

ევროპის წლის საუკეთესო მძლეოსან მამაკაცად ფინელი **ტერო პიტკამიაკი** გამოცხადდა. შუბის მტყორცნელმა ევროპის მძლეოსნობის ფედერაციის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში გაიმარჯვა.

ამ სეზონში, 24 წლის პიტკამიაკიმ ოსაკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა. ფინელმა შუბი 90.33 მეტრზე ტყორცნა.

გამოკითხვაში მეორე-მესამე ადგილებზე ჩეხი **რომან შერბლე** (ათჭიდი) და ესტონელი **გერდ კანტერი** (ბადროს ტყორცნა) გავიდნენ.

### რალი

მსოფლიო ჩემპიონატი
კატალონიის რალი (XII ეტაპი)

1. **ლოები** ("სიტროენი", საფრანგეთი) - 3:22.50,5; 2. **სორდო** ("სიტროენი", ესპანეთი) - +13,8; 3. **გრონჰოლმი** ("ფორდი", ფინეთი) - +39,8; 4. **ჰირვონენი** ("ფორდი", ფინეთი) - +1.25,8; 5. **დიუვალი** ("სიტროენი", ბელგია) - +2.28,7; 6. **პ.სოლბერგი** ("სუბარუ", ნორვეგია) - +2.54,1; 7. **ლატვალა** ("ფორდი", ფინეთი) - +3.38,2; 8. **ატკინსონი** ("სუბარუ", ავსტრალია) - +4.22,4.

**საერთო ჩათვლა:** 1. **გრონჰოლმი** - 96 ქულა; 2. **ლოები** - 90; 3. **ჰირვონენი** - 74; 4. **სორდო** - 39; 4. **პ.სოლბერგი** - 34; 6. **ჰ.სოლბერგი** ("ფორდი", ნორვეგია) - 28; 7. **ატკინსონი** - 26; 8. **ლატვალა** - 19.

**კონსტრუქტორთა თასი:** 1. **ფორდი** - 170 ქულა; 2. **სიტროენი** - 131; 3. **სუბარუ** - 64; 4. **სტობარტი** - 57; 5. **კრონოსი** - 39; 6. **შკოდა** - 6.

### ავტოსპორტი

ფორმულა 1. ერთი საქმის ისტორია

# გამოძიება დასრულდა, დაივიწყეთ სენა...

***დასასრული. დასაწყისი №235, 236***

აქ ტრასაზე, მან გამარჯვებებიც იხილა და მარცხიც არაერთი იწვნია, რამდენჯერმე სიკვდილსაც ჩახედა თვალებში - განსაკუთრებით პირველ ხანებში, როცა გაუმართლებლად რისკავდა ხოლმე. მოგვიანებით, სენამ საკუთარ თავს აუკრძალა მსგავსი რამ.

პილოტს არ შეიძლება მეგობრები ჰყავდეს თავის კოლეგებს შორის - ეს წესი აირტონმა ძალიან მალე გაითავისა: აქ ყველანი კონკურენტები არიან, ყველა პირველობისთვის იბრძვის. აქვე არსებობს გარკვეული წესები, მათ შორის დაუწერელიც. ამ წესების დამრღვევებს სენა სასტიკად უსწორდებოდა: სიტყვებით პრეს-კონფერენციაზე და ინტერვიუებში და... მუშტებით პირადად შეხვედრისას. აირტონი მაქსიმალისტი იყო და ამავდროულად, უკომპრომისო. ის გრძნობდა, რომ რბოლები მისთვის არ იყო მხოლოდ უაზრო ვირაჟები ასფალტზე, რბოლა გაცილებით ბევრს ნიშნავდა. სენა იშვიათად საუბრობდა მაღალფარდოვნად და საერთოდაც, ერიდებოდა საზოგადოებაში საკუთარი აზრების გამოხატვას. მაგრამ ერთხელ, ადრიანის განცხადებით, აირტონმა მორიგი სასიკვდილო მანევრის შემდეგ, გვერდით ღმერთის არსებობა იგრძნო. მან ის დაინახა: ეს არ იყო წვერებიანი მოხუცი და არც ქრესტომატიული ანგელოზი შარავანდედით თავზე. ეს იყო რაღაც სასიამოვნო, თბილი ნათება, რომელიც სულიერად ამშვიდებდა და წინსვლის ძალას აძლევდა.

მაგრამ ამჯერად, იმოლაში ყველაფერი სხვაგვარად წარიმართა. სენა იქ საკმაოდ ანერვიულებული ჩავიდა: წინა რბოლებში შევმახერის წარმატებული გამოსვლის გამო. აირტონმა ტრასა შეამოწმა - აღმოჩნდა, რომ ცოტა ხნის წინათ საფარი შეეცვალათ. რამდენიმე წრის გავლის შემდეგ იგრძნო, რომ ტრასასთან მოჭიდება საკმაოდ ცუდი გახლდათ და ბოლიდი შესამჩნევად ცურავდა. მაგრამ არა უშავს, მას წვიმაში გაცილებით სველ ტრასაზეც უვლია და ყოველთვის გამარჯვებული რჩებოდა. გაცილებით უსიამოვნო იყო ის, რომ ამ სეზონში ფორმულას ბოსებმა შეცვალეს წესები - აკრძალეს ბოლიდებში ახალი ელექტრო-ტექნიკური სისტემების გამოყენება. მათ გამოაცხადეს, რომ ავტომატიკამ პილოტი კომპიუტერული ტექნიკის ინჟინრად აქცია. ამიერიდან, მანქანაზე კონტროლი მხოლოდ პილოტის საქმე იქნება, რაც ხელმძღვანელთა აზრით, უფრო სანახაობრივს გახდის რბოლებს. მაგრამ სრული კონტროლი სრულ პასუხისმგებლობას ნიშნავს და ის შეცდომის ალბათობას ზრდის. სენა არა უშავს, გამოცდილი პილოტია, მაგრამ რა ქნან ახალგაზრდა, დამწყებმა მრბოლელებმა? სწორედ მაშინ, აირტონმა წარმოსთქვა თავისი წინასწარმეტყველური სიტყვები: "ძალიან გაგვიმართლებს, თუ ამ სეზონში უბედურ შემთხვევებს თავიდან ავიცილებთ". ვინ იფიქრებდა, რომ ის ამ დროს თავის თავზე ლაპარაკობდა...

უსიამოვნებები უკვე საკვალიფიკაციო რბოლების დროს დაიწყო. პარასკევს ავარიაში მოყვა რუბენს ბარიკელოს "ჯლორდანი". 22 წლის ბრაზილიელი მძიმე მდგომარეობაში კლინიკაში დააწვინეს და გონსმოსულმა პირველი ვინც დაინახა, სენა იყო. რუბენსი აირტონის პროტეჟედ ითვლებოდა - ამ სიმპათიურ ბრაზილიელში ის თავის თავს ხედავდა, ოღონდ 12 წლით ახალგაზრდას.

მომდევნო დღეს, თითქმის იმავე დროს დაიმტვრა ავსტრიელი როლანდ რატცენბერგერი. სენა სასწრაფოდ ავარიის ადგილას გაეშურა. დაათვალიერა ის ნარჩენები, რაც ბოლიდისგან დარჩა და მიხვდა: აქ ცოცხალი ვერავინ გადარჩებოდა. გარშემო მყოფთ ეშინოდათ სენასთან მიახლოება: ჩემპიონი გაფითრებული იდგა და შესამჩნევად კანკალებდა - ეს იყო სიკვდილის პირველი შემთხვევა, რომელიც მან რბოლის დროს იხილა. მისი მოღვაწეობის პერიოდში, ფორმულა 1-ში არავინ დამტვრეულა.

იმავე ღამეს, შოკურ მდგომარეობაში მყოფმა სენამ დარიანს დაურეკა: ხუთი წუთი ხმის ამოღება ვერ შეძლო, უბრალოდ, ყურმილში ქვითინებდა. ადრიანმა მისი დაწყნარება დაიწყო, მაგრამ უცებ ასეთი სიტყვები გაიგონა:

- არ მინდა ხვალ ტრასაზე გასვლა!

- კი მაგრამ, დღევანდელი შემთხვევის შემდეგ, რბოლას არ გააუქმებენ? - გაოცებულმა იკითხა ადრიანმა.

- გააუქმებენ?! რას ამბობ! შენ რა, მათ არ იცნობ? აქ ხომ დიდი ფულია საქმეში... არა, ეს შეუძლებელია,- ყრუდ ჩაილაპარაკა სენამ.

მომდევნო დღეს, ჩუმი და დათრგუნული, ის თავის ბოლო რბოლაზე გავიდა. და მხოლოდ შვიდი წრის გავლა მოასწრო...

... ადრიან გალისტეუს ჩვენება საქმეში ჩაიდო. "როგორ გაბედეს ასეთ მდგომარეობაში მყოფი პილოტის გაშვება? - კითხულობდა პასარინი. ეს კიდევ ყველაფერი არ იყო. აღმოჩნდა, რომ რატცენბერგერი იმწუთსავე დალუპულა, ექიმებმა კი განაცხადეს, თითქოს ის კომაში იყო. საქმე ისაა, რომ თუ პილოტი პირდაპირ ტრასაზე იღუპება, რბოლა აუცილებლად უნდა შეწყდეს.

ბოლოს, პროკურორმა ექსპერტების ტექნიკური დასკვნაც მიიღო: აღმოჩნდა, რომ სენას ბოლიდის ავარიის მიზეზი, უშუალოდ რბოლის წინ საჭის კოლოფის გამოცვლა გახდა. აირტონმა დაიჩივლა, რომ უხერხულად გრძნობდა თავს ბოლიდში. ამიტომაც, მექანიკოსებმა სასწრაფოდ შუაზე გაჭრეს კოლოფი, შიგნით მილის ნაჭერი ჩააკერეს და საჭე დააგრძელეს. ამ ოპერაციის დროს არანაირი გამოთვლები არ ჩატარებულა და მილმა, მოსახვევში შესვლისას, დატვირთვებს ვერ გაუძლო და გადატყდა. სენამ მარჯვნივ მოხვევა სცადა და საჭე, უბრალოდ, ხელში შერჩა. ასეთ სიტუაციაში ნებისმიერი დიდი მრბოლელიც ვერაფერს შეცვლიდა.

ახლა უკვე გასაგები იყო მექანიკოსების უცნაური დუმილი, გუნდის ბოსის არადამაჯერებელი საუბარი, რომელიც დიდი ხანი უარყოფდა, რომ ბოლიდზე იყო "შავი ყუთი", რომელმაც გადაიღო სენას ბოლო რბოლის დეტალები. ამ საქმეზე სამწელიწადნახევარი მუშაობის შემდეგ, მოწმეების დაკითხვისა და ექსპერტების დასკვნების შესწავლის საფუძველზე, პასარინიმ ბრალდება წაუყენა ექვს ადამიანს: გუნდის მფლობელს, მთავარ კონსტრუქტორსა და ტექნიკურ დირექტორს, აგრეთვე ავტოდრომის დირექტორს, ტრასის თანამფლობელსა და რბოლის დირექტორს. სასამართლო იმოლაში გაიმართა და პასარინის გასაკვირად, გაამართლა ყველა ბრალდებული: სასამართლოს დასკვნაში ეწერა, რომ საჭე ავარიის შემდეგ გადატყდა და არა მანამდე. თუ რატომ აწყობდა სასამართლოს დასკვნის ამგვარი ფორმულირება, მომდევო დღეს პასარინის იმოლას მერმა აუხსნა:

- ფორმულა 1 დიდი ფულია, ძალიან დიდი. რბოლები ინახავს მთელს ქალაქს და თუ გნებავთ, მთელს ქვეყანასაც. სასამართლო სხდომის წინ, "ფორმულას" წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ თუ ვინმეს გამოუტანენ, ისინი აღარასოდეს ჩავლენ იტალიაში. არა, სასამართლოზე ზეწოლა არ ყოფილა. თუმცა, ჩვენ ადამიანები ვართ, ყველანი აქ ვცხოვრობთ...

პასარინიმ არაფერი უპასუხა, არც ხელი ჩამოართვა მერს. დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში, ერთთვიანი შვებულება აიღო და იტალიიდან გაემგზავრა...

ბრაზილიაში, წრის ფორმის ობელისკთან ერთ მსუქან მამაკაცს შეამჩნევდით. ყვავილების პროფილსა და ოთხ ენაზე ამოტვიფრულ წარწერას: რბოლა, შეჯიბრი - ეს ყველაფერი ჩემს სისხლშია. ეს ჩემი ნაწილია, ჩემი ცხოვრების ნაწილი. და ხელმოწერა - აირტონ სენა.




სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმშარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უზულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა